გეოგრაფია 11

მასწავლებლის წიგნი

Don't copy

Don't copy

სარჩევი

შესავალი 5

I თავი – სახელმძღვანელოს აგებულება

1. მოსწავლის წიგნის სტრუქტურა 7
2. პარაგრაფის (ქვესაკითხის) ენა და სტრუქტურა 7
3. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა და სახელმძღვანელო.....9
4. სახელმძღვანელო, საერთაშორისო ორგანიზაციები და მდგრადი განვითარების 17 მიზანი.....10

II თავი – ეროვნული სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოს თანხვედრა

1. შესავალი. გეოგრაფიის საგნის სწავლება საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები).....12
2. საგნის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები საშუალო საფეხურისთვის (X–XII კლასებისთვის).....12
3. XI კლასი: საშუალო საფეხურის სტანდარტით გეოგრაფიის კურსის მისაღწევი შედეგები 13
4. საშუალო საფეხურის სტანდარტის შესაბამისად, XI კლასის სახელმძღვანელოს მიზნებისა და შინაარსის რუკა.....15

III თავი

1. კლიმატის გლობალური ცვლილება (მატრიცა) 21
2. კლიმატის გლობალური ცვლილება (ალტერნატიული მატრიცა).....53
3. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები (მატრიცა) 86
4. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები (ალტერნატიული მატრიცა) 106
5. შეფასების რუბრიკა – სოლოტაქსონომია.....128

IV თავი – პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებს

1. ჯგუფური სამუშაო 134
2. დისკუსია 136
3. პრეზენტაცია 137
4. კომიქსი.....139
5. სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი 140
6. სვოტ-ანალიზი 143
7. რეფერატი.....143
8. სამოქმედო გეგმა.....147
9. სარეკლამო პოსტერი 147

Don't copy

Don't copy

შესავალი

ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სტანდარტის თანახმად, მე-11 კლასის გეოგრაფიის კურსი მოიცავს ორ თემას:

I. კლიმატის გლობალური ცვლილება;

II. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები.

შესაბამისად, სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია საკითხები, რომელთა მეშვეობით მასწავლებელი სწავლა-სწავლების პროცესში ამუშავებს თემას – კლიმატის გლობალური ცვლილება. ხოლო, მეორე ნაწილში წარმოდგენილია თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები.

სახელმძღვანელო შედგება სამი ნაწილისგან:

- ❖ მოსწავლის წიგნი;
- ❖ მოსწავლის რვეული;
- ❖ მასწავლებლის წიგნი.

მოსწავლის წიგნში მოცემულია 36 ქვესაკითხი (ექვს საკითხად). თითოეული საკითხი შერჩეულია იმგვარად, რომ მოსწავლეს, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის შესაბამისად, გაუადვილდეს და გაუღრმავდეს თემის შესწავლა. პარაგრაფებში (ქვესაკითხებში) მოწოდებული ინფორმაცია და დავალებების პაკეტი საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა დეკლარაციული, პირობისეული და პროცედურული ცოდნა მიიღონ. თითოეულ ქვეთემას ასრულებს კომპლექსური დავალებების მოსწავლის ბარათი (შესაბამისი მატრიცა წარმოდგენილია მასწავლებლის წიგნში). კომპლექსური დავალებების პაკეტი დამუშავებულია საშუალო საფეხურის ცნებებისა და ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად. შერჩეული საკითხი, ქვეცნებების, თემის საკვანძო შეკითხვებისა და მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად, მეთოდურად, სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით იძლევა საშუალებას, მოსწავლეებს განუვითაროს განმავითარებელი შეფასების სოლოტაქსონომიით განსაზღვრული უმაღლესი საფეხური – გაფართოებული აბსტრაქტული დონე. ასევე, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე, საკითხის შესახებ აირჩიოს როგორც საზღვარგარეთ არსებული ერთ-ერთი ქვეყნის, რეგიონის, ისე საქართველოს მაგალითი და დაამუშაოს ის. ქვესაკითხები (პარაგრაფები) ლოგიკურად გამომდინარეობს ერთმანეთისგან როგორც საკითხის ფარგლებში, ისე საკითხებს შორის, რაც ხელს უწყობს ცოდნის თანდათანობით კონსტრუირებას, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის შესაბამისად და ავითარებს შესაბამის მეტაკოგნიტურ უნარებს. პარაგრაფები, უმეტესად, კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის მაგალითზე გა-

Don't copy

ნაზოგადებს გლობალურ კანონზომიერებებს, გამოწვევებსა და ცვლილებებზე მოქმედ ფაქტორებს, ასევე, მათი შესწავლისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და ტერმინოლოგიას. მოსწავლის რვეული მოსწავლის წიგნს ეფუძნება. მასში მოცემული დავალებები სრულდება წერილობით საკლასო ან საშინაო დავალების სახით. მასში დამატებით რესურსად მოცემულია კონტურული რუკები, რომლებზე მუშაობაც (თქვენი არჩევანის შემთხვევაში) მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, შეისწავლონ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. მოსწავლის წიგნსა და სამუშაო რვეულში წარმოდგენილია რუკები, ფოტოები, ცხრილები და დიაგრამები. ამავე დროს, სახელმძღვანელო მოსწავლეს ნაბიჯ-ნაბიჯ ასწავლის მათ შექმნასა და გამოყენებას, ხოლო მასწავლებელს სთავაზობს მეთოდურ და ტექნიკურ რჩევებს, როგორ განუვითაროს მოსწავლეებს ეს მნიშვნელოვანი უნარები, ასევე კონკრეტულ რეკომენდაციებს სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპების შესახებ.

Don't copy

I თავი
სახელმძღვანელოს აგებულება

1. მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

სახელმძღვანელოში პირველ თემად წარმოდგენილია: კლიმატის გლობალური ცვლილება (16 ქვესაკითხი/პარაგრაფი), რომელიც მუშავდება სამ საკითხად (თავი):

- ❖ ჰაერი და წყალი;
- ❖ ნიადაგი;
- ❖ სიცოცხლე.

მეორე თემაა: გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები (20 ქვესაკითხი/პარაგრაფი), რომელიც მუშავდება სამ საკითხად (თავი):

- ❖ პოლიტიკური რუკის ცვლილება;
- ❖ საერთაშორისო წესრიგი და გამოწვევები;
- ❖ გლობალიზაცია.

თითოეული საკითხის სტრუქტურაა:

- **შესავალი,** სადაც მიმოხილულია ქვეთემაში წარმოდგენილი საკითხების აქტუალურობა, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეებს უღვივდებათ ქვეთემაში განსახილველ საკითხთა შესახებ ინტერესი;
- **ქვესაკითხი (პარაგრაფი),** რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს საკითხის ფარგლებში გაეცნოს და კონსტრუირება გაუკეთოს თემის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო ასპექტს;
- **კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათი**. ორი ერთმანეთის ალტერნატიული კომპლექსური დავალების ინსტრუქცია მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის, რეგიონის ან საქართველოს მაგალითზე დაფუძნებით.

2. პარაგრაფის (ქვესაკითხის) ენა და სტრუქტურა

პარაგრაფებში (ქვესაკითხები) ინფორმაცია გადმოცემულია მოსწავლის ასაკობრივი განვითარების თავისებურების გათვალისწინებით. ამ მიზნით შერჩეულია სამეცნიერო-პოპულარული სტატიის სტრუქტურა და ენა. სამეცნიერო ტერმინები, უმეტესად, ტექსტშივე იხსნება ან ჩანაცვლებულია მოსწავლისთვის გასაგები, ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული სინონიმებით.

Don't copy

პარაგრაფი იწყება ქვესაკითხის შესახებ განვლილი წლების სასკოლო კურიკულუმის მეშვეობით ფორმირებული (სხვადასხვა საგანი) წინარე ცოდნის გააქტიურებით (შესავალი). აქვეა წარმოდგენილი ქვესაკითხის აქტუალურობა და გამოწვევა – შეკითხვები შემდგომ დასამუშავებელი ტექსტის შესახებ.

ავტორებს მიგვაჩნია, რომ ამგვარი თხრობა – სტრუქტურა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაიგონ ტექსტში მოცემული ინფორმაცია. ენობრივი სიმარტივე, სამეცნიერო მოსაზრებებისა თუ ფაქტების გადმოცემის ასაკობრივ თავისებურებებზე მორგება, საშუალებას მისცემს მასწავლებლებს სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევაში.

- **რუბრიკა გაიხსენე** მოსწავლეებს ახსენებს სხვადასხვა სასწავლო საგანში საბაზო თუ საშუალო საფეხურზე მიღებულ ცოდნას;
- **შინაარსი (ტექსტი)** – იყოფა რამდენიმე ნაწილად, რათა მოსწავლეს გაუმარტივდეს საკითხის შესახებ ინფორმაციის აღქმა. შეიცავს დიაგრამებს, ცხრილებს, რუკებსა და ფოტომასალას, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებასა და გააზრებას, მიღებული ცოდნის შემდგომ გამოყენებას;
- **რუბრიკაში ცნობარი** მოთავსებულია ძირითადი ტექსტის გაგებისთვის საჭირო დამხმარე ინფორმაცია;
- **რუბრიკა – მედია** მოიცავს საკითხის შესახებ ინტერნეტრესურსებს. QR კოდის მეშვეობით, მოსწავლეებს, სურვილის შემთხვევაში, საშუალება აქვთ, წაიკითხონ და უყურონ მრავალფეროვან ინფორმაციას. რუბრიკა ეხმარება საშუალო საფეხურზე სავალდებულო უცხო ენის შესწავლის პროცესსაც;
- **რუბრიკა დედამიწის მეგობართა ფორუმი,** არსებითად, რამდენიმე ტიპის („ჯგუფური სამუშაო“, „პრეზენტაცია“, „მდგრადი განვითარების მიზნები“, „გააქარწყლე მოსაზრება“, „დისკუსია“, „დილემა“) დავალებისგან შესდგება. დავალებების ტიპიდან და შინაარსიდან გამომდინარე, უმჯობესია ის შესრულდეს საკლასო გარემოში;
- **რუბრიკა დავალება** შედგება პრაქტიკული სამუშაოსგან, რომელიც სრულდება რუკის, ცხრილებისა თუ დიაგრამის გამოყენებით. ასევე, შეკითხვების ნაწილი ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ არგუმენტირებული მსჯელობისა და ანალიზის მნიშვნელოვანი უნარების განვითარებას. მასწავლებელს საშუალება აქვს, კლასისა და მოსწავლეების მზაობის მიხედვით, გამოიყენოს საკლასო და საშინაო დავალებად;
- **ლექსიკონი** – ზოგიერთ შემთხვევაში, პარაგრაფს თან ერთვის ლექსიკონი. გეოგრაფიული ტერმინები, უმეტესწილად, პარაგრაფის ტექსტშივე განიმარტება ან ჩანაცვლებულია მოსწავლისთვის გასაგები სიტყვებით/სინონიმებით.

Don't copy

3. სწავლა–სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა და სახელმძღვანელო

ტრადიციული სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლისთვის მასწავლებლისგან ან სახელმძღვანელოდან ცოდნის გადაცემაზე. გაკვეთილი წინასწარ მკაცრად გაწერილი პროცესია და გაკვეთილის გეგმის შესაბამისად იმართება. სწავლების ასეთი გაგებისგან განსხვავდება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა. კონსტრუქტივისტული სწავლების პროცესში მოსწავლე ხდება მთავარი გენერატორი, მასწავლებელი კი ამ პროცესის ხელის შემწყობია.

კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ შემეცნების პროცესი ინდივიდის მიერ გარემოს კვლევით შემეცნების პროცესია. ცოდნა ფორმირდება ნაბიჯ-ნაბიჯ, ძიების, კონსტრუირების საშუალებით. ამ პროცესის უკეთ წარმართვის ერთ-ერთი გზაა, მოსწავლემ დაინახოს საკითხთან დაკავშირებული პრობლემა, დილემა და დაიწყოს პრობლემის გამომწვევი მიზეზის, შედეგის, გამოსწორების გზების ძებნა. ხშირად უცნობი საკითხის შესახებ დასმული დავალების პირობა მოსწავლეში მისი უკეთ გაცნობისა და შემეცნების სურვილს აღძრავს. კარგია, თუ დავალების პირობა არა მარტო ცოდნის დაგროვების, არამედ სქემატურად გადამუშავების საშუალებასაც იძლევა. ასეთი მიდგომით სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა საერთო მიზნის გამო (ჯგუფური სამუშაო), არგუმენტების ფორმულირება და ფაქტებით გამყარება საგნობრივი კამათის დროს (დისკუსია), დამატებითი ინფორმაციის მოძიება-დახარისხება, ანალიზი და წარდგენა. ამ და სხვა მსგავსი აქტივობებით მოსწავლეები ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას, მასწავლებელი კი ცდილობს, იყოს მხარდამჭერი და ხელის შემწყობი.

სწავლა-სწავლების პროცესში შემეცნების კარგი საშუალებაა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, რომლის დროსაც დავალების პირობით განსაზღვრული პროდუქტის შესაქმნელად მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპების გავლით ეძებენ, იგებენ და იყენებენ საკითხის შესახებ ინფორმაციას.

კონსტრუქტივისტული მიდგომის შესაბამისად, კარგია ასევე, თუ მოსწავლეს ღია კითხვების მეშვეობით ვუბიძგებთ, დაფიქრდეს განსახილველ საკითხზე, წავახალისებთ მასში, ძიებისა და კვლევის გზით, საკითხზე საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბების პროცესს.

მაშ, როგორ უნდა შეიქმნას სახელმძღვანელო ისე, რომ, ერთი მხრივ, მოსწავლისთვის ძიებისა და ცოდნის კონსტრუირების პროცესის ხელშემწყობი გახდეს და, მეორე მხრივ, არ დაემსგავსოს ტრადიციული გაკვეთილისთვის განკუთვნილ „ადექი მოყევის“ ფორმატს?

ამ მიზნით ავტორებმა გადავწყვიტეთ, ამა თუ იმ საკითხის შესახებ მოკლე შესავალი ტექსტის შემდეგ დაგვესვა კითხვები მოსწავლეებისთვის და მათზე პასუხების ძებნის პროცესად გვექცია პარაგრაფებში მოცემული შინაარსის გაცნობა. დამხმარე საშუალებად გამოვიყენეთ შინაარსის ქვესაკითხებად დაყოფა, რომლებიც, ძირითადად, ხელს უწყობს მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზშედეგობრიობის გააზრებას. საკითხის გააზრებისთვის საჭირო ინფორმაციის ნაწილი მოვათავსეთ რუბრიკაში – ცნობარი. ასევე ვეცადეთ, სურვილის შემთხვევაში, მეტად დაგვეინტერესებინა მოსწავლეები დამატებითი ინფორმაციის მოძიებით (რუბრიკა – მედია), მაგრამ არა ისე, რომ დამოუკიდებლად სახელმძღვანელოს არ შეეძლოს, დაფაროს საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვა-

Don't copy

ლისწინებული თემები, სამიზნე ცნებები, საკვანძო შეკითხვები და დაამკვიდროს შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები. განსხვავებული შეხედულებების გაცნობის, ძიების, ანალიზის უნარის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად ყველა პარაგრაფს დავალებად ერთვის ღია კითხვების ბაზა და რუბრიკა „დედამიწის მეგობართა ფორუმი“.

მასწავლებლის წიგნში არსებულ სასწავლო კურიკულუმში, ორ მატრიცაში (თითოეულ მატრიცაში წარმოდგენილია 3-3 საკითხის შესახებ ორი ალტერნატიული კომპლექსური დავალების პირობა და შესრულების ეტაპები) თითოეულ კომპლექსურ დავალებას ერთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (სოლოტაქსონომია). სახელმძღვანელოში მოთავსებული სხვა დავალებებიც, ბუნებრივია, შეიძლება შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით, ნიმუშად კი შეგიძლიათ გამოიყენოთ, მასწავლებლის წიგნში არსებული სოლოტაქსონომიის ზოგადი რუბრიკა.

სწავლა-სწავლების პროცესში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად ვიყენებთ განმსაზღვრელ შეფასებასაც, როდესაც მასწავლებელი წერს ქულას, „რომელსაც არ ახლავს თან განმარტება, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შედეგი გაუმჯობესდეს“ (განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 2008).

ავტორები მასწავლებლებს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით განმსაზღვრელ შეფასებად გირჩევთ, გამოიყენოთ მოსწავლის დეკლარაციული, პირობისეული და პროცედურული ცოდნის შეფასება.

4. სახელმძღვანელო, საერთაშორისო ორგანიზაციები და მდგრადი განვითარების 17 მიზანი

სახელმძღვანელოს შედგენისას მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ავტორებმა ვიხელმძღვანელეთ მსოფლიოში მსგავსი თემატიკის სახელმძღვანელოთა შემქმნელების გამოცდილებითა და მეთოდური რჩევებით.

მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ორივე თემა, საკითხების ფართო სპექტრიდან და მსოფლიოში დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ავტორებისგან, მასწავლებლისგან, კონტექსტუალურ და საერთო მიდგომის გათვალისწინებას მოითხოვს. მაგალითად, კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილების ან დარეგულირების ღონისძიებები, მსოფლიო პოლიტიკური გამოწვევებთან და ცვლილებებთან გამკლავება წარმოუდგენელია საერთო ძალისხმევის (საერთაშორისო ორგანიზაციების) გარეშე. ამიტომაც, მოსწავლის წიგნს გამჭოლად გასდევს ინფორმაცია, საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურისა და მათ მიერ სხვადასხვა საკითხის შესახებ მიდგომისა თუ უკვე გაწეული ძალისხმევის შესახებ.

ჩვენი თანადროულ მსოფლიო პოლიტიკას (გლობალურ, რეგიონალურ, ქვერეგიონალურ თუ ქვეყნების დონეზე) გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე წარმართავს მდგრადი განვითარების მისაღწევად „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ მიერ განსაზღვრული 17 მიზანი.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია, სახელწოდებით: „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის

Don't copy

დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“. რეზოლუციაში მოცემულია მიღწევის 17 მიზანი და 169 ამოცანა. მოგვიანებით ჩამოყალიბდა 17 მიზნისა და 169 ამოცანისთვის ინდიკატორებიც. მდგრადი განვითარების ამგვარი საერთო ხედვა და მიზნების მიღწევისკენ სწრაფვა მსოფლიოს გარშემო ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას აერთიანებს სიღარიბისა და შიმშილის აღმოსაფხვრელად, ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გასაუმჯობესებლად, თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალაქების მდგრადობის მისაღწევად, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ საბრძოლველად, ოკეანეებისა და ხმელეთის ეკოსისტემების დასაცავად, ყველა დონეზე, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების ასაშენებლად.

მნიშვნელოვანია, ყველა ეს ღირსეული მიზანი შესრულდეს. ამისთვის კი საჭიროა არამარტო სამთავრობო დონეზე ძალისხმევა, მოსახლეობის გაცნობიერებული ჩართულობა. ავტორებს მიგვაჩნია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საჭიროების დასანახად, ჩვენს მოსწავლეებს (მოქალაქეებს) დაეხმარება XI კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მოსწავლის წიგნში მოცემული საკითხების შინაარსი და დავალებები (მაგ. რუბრიკა „დედამიწის მეგობართა ფორუმი“). სახელმძღვანელო მათ დააფიქრებს მიზნების მიღწევის საჭიროებებზე და გაუღვივებს სურვილს ლოკალურ და გლობალურ დონეზე მონაწილეობა მიიღონ ქვეყნისა და პლანეტის მშვიდობიანი და ჰარმონიული (მდგრადი) განვითარების პროცესში.

მდგრადი განვითარების მიზნებისა და კლიმატის გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ სამიტიგაციო ღონისძიებების შესახებ საკლასო განხილვებში ჩართვით მოსწავლეები უკეთ გააცნობიერებენ მაგალითად, მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში სამიტიგაციო ღონისძიებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის რთულ ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. დეკლარატიულ ცოდნაზე დაფუძნებით, პროცედურული ცოდნის დახმარებით ეცდებიან ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები (პირობისეული ცოდნა).

ამგვარად, მოზარდები სასკოლო ასაკშივე მოემზადებიან და ჩაერთვებიან დედამიწაზე დღეს და სამომავლოდ არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დასაძლევად მიმართულ საერთო საკაცობრიო ძალისხმევაში.

ჩვენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად მოსწავლის წიგნის დასაწყისშივე გთავაზობთ მდგრადი განვითარების 17 მიზნის შესახებ ინფორმაციას; პარაგრაფებში, საკითხებიდან გამომდინარე, მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობასა თუ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა მოსაზრებებს; დავალებების პაკეტში („დედამიწის მეგობართა ფორუმი“, „დავალება“, „კომპლექსური დავალება“) განსახილველ საკითხთა ფართო სპექტრს.

Don't copy

II თავი
ეროვნული სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოს თანხვედრა

1. შესავალი. გეოგრაფიის საგნის სწავლება საშუალო საფეხურზე (X–XII კლასები)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურის გეოგრაფიის კურსი მოიცავს გლობალურ გამოწვევებსა და პრობლემებს. მის ფარგლებში ფართოვდება და ღრმავდება საბაზო საფეხურზე გეოგრაფიაში შეძენილი ცოდნა. სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღიწერება თემების, საკითხების, ქვესაკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

2. საგნის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები საშუალო საფეხურისთვის (X–XII კლასებისთვის)

გეოგრაფიული გარსი

- გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს;
- ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.

მოსახლეობა და მეურნეობა

- ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. შხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს;
- მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;
- სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.

მდგრადი განვითარება

- ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს;
- მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.

Don't copy

3. XI კლასი: საშუალო საფეხურის სტანდარტით გეოგრაფიის კურსის მისაღწევი შედეგები

საფეხურის შედეგები საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.,

გეო.საშ.1.:

„გეო." – მიუთითებს საგანს „გეოგრაფია";

„საშ." – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1" – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე (გეოგრაფია)		
შედეგების ინდექსები	**მოსწავლემ უნდა შეძლოს**	**სამიზნე ცნებები**
გეო.საშ.1.	გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდ – როსფეროს, ბიოსფეროს, ნოოსფეროს, დედამიწის შინაგანი აგებულების) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	გეოგრაფიული გარსი **(შედეგები 1,2,3,4,)**
გეო.საშ.2.	ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად;	მოსახლეობა და მეურნეობა **(შედეგები 3,4)**
გეო.საშ.3.	მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	მდგრადი განვითარება **(შედეგები 1,2,3,4,)**
გეო.საშ.4.	მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	

სასწავლო თემები

1. კლიმატის გლობალური ცვლილება
2. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა უნდა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანამიმდევრობა.

სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, მისი აღწერა და შეფასების ინდიკატორები, რომლებშიც ნაჩვენებია, როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში

Don't copy

თემა: კლიმატის გლობალური ცვლილება

თემა გულისხმობს მოსახლეობისა და მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად გამოწვეულ კლიმატის ცვლილების შედეგების შესწავლას გლობალურ დონეზე. მათი დამანგრეველი და ზიანის მომტანი საფრთხეების შერბილებას, მიტიგაციასა და პრევენციას.

სარეკომენდაციო საკითხები:

1. მყინვარების დნობა;
2. ჰიდროლოგიურ-მეტეროლოგიური ბუნებრივი საფრთხეები;
3. ლტოლვილები, დევნილები;
4. ენერგიის ალტერნატიული წყაროები (მწვანე ენერგეტიკა);
5. „მწვანე ეკონომიკა;
6. ჰაერის დაბინძურება;
7. მტკნარი წყლის პრობლემა;
8. ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები-მიტიგაცია და პრევენცია.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების (მთლიანობა, რიტმულობა) დასადგენად და მათი დაკავშირება კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან (მყინვარების დნობა, ჰიდროლოგიურ-მეტეროლოგიური ბუნებრივი საფრთხეები).

მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის (ლტოლვილები, დევნილები, ენერგიის ალტერნატიული წყაროები, „მწვანე ეკონომიკა“) დაკავშირება კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან.

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რესურსების რაციონალურად მოხმარება და მართვა მომავალი თაობების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად (ჰაერის დაბინძურება, მტკნარი წყლის პრობლემა, ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები-მიტიგაცია და პრევენცია)

თემა: გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები

თემა გულისხმობს პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მიზეზებისა შედეგების შესწავლას. კერძოდ, იმის გაანალიზებას, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი გარემო ქვეყნის კონფიგურაციას, მათ საზღვრის ტიპებს, გლობალურ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებსა და განვითარებაზე. როგორ უნდა ვმართოთ ეს პროცესები სათანადოდ, რათა თავიდან ავიცილოთ გართულებები და მოსალოდნელი საფრთხეები.

სარეკომენდაციო საკითხები:

1. ქვეყნების კონფიგურაცია, საზღვრის ტიპები;
2. ქვეყნების დაჯგუფება – ჩრდილოეთი და სამხრეთი;
3. პოლიტიკური და კულტურული გლობალიზაცია;
4. სოციალური გლობალიზაცია: ჯანდაცვა, განათლება, შიმშილი;
5. კონფლიქტები, რესურსული „ომები“, ტერორიზმი;
6. უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა.

Don't copy

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:
გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გააანალიზოს გეოგრაფიული გარსის ზეგავლენა მსოფლიო ქვეყნების მახასიათებლებსა (მაგ.: ქვეყნების კონფიგურაცია, საზღვრის ტიპები) და გლობალურ პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პროცესებზე (ქვეყნების დაჯგუფება – ჩრდილოეთი და სამხრეთი, პოლიტიკური და კულტურული გლობალიზაცია);

მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პოლიტიკურ პროცესებსა და მოსახლეობის ძირითად სოციალურ მახასიათებლებს (ჯანდაცვა, განათლება, შიმშილი) შორის ურთიერთზეგავლენის გაანალიზება.

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გლობალურ პოლიტიკურ პროცესებზე (კონფლიქტები, რესურსული „ომები“, ტერორიზმი, უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა) მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით მსჯელობა.

4. საშუალო საფეხურის სტანდარტის შესაბამისად, XI კლასის სახელმძღვანელოს მიზნებისა და შინაარსის რუკა

სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემებიდან XI კლასის სახელმძღვანელოში მუშავდება თემები: კლიმატის გლობალური ცვლილება; გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები.

საკითხები:

ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს საკითხებს.

პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ, თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ. XI კლასის სახელმძღვანელო მოიცავს ორ თემას (კლიმატის გლობალური ცვლილება; გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები). მოსწავლის წიგნში ორივე თემა შედგება სამ-სამი საკითხისგან, სადაც მუშავდება 36 ქვესაკითხი (პირველ თემაში – 16, მეორე თემაში – 20). ყველა საკითხის შემდეგ წარმოდგენილია სემესტრული პროექტი (ჯგუფური სამუშაო) და კომპლექსური დავალებების მოსწავლის ბარათი. კომპლექსური დავალებების სახით გთავაზობთ საკითხის შესახებ ალტერნატიულ არჩევანს, როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს მაგალითზე. ვფიქრობთ, სახელმძღვანელოს ამგვარი სტრუქტურა სწავლა-სწავლების პრაქტიკულ ეტაპზე საშუალებას მოგცემთ, მიაღწიოთ სტანდარტით გათვალისწინებულ მიზნებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებლებს სავალდებულო თემის ფარგლებში შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ, გადააადგილოთ, შეამციროთ ან გააუმჯობესოთ საკითხები, რომელთა განხილვასაც ავტორები გთავაზობთ.

Don't copy

III თავი – თემა: კლიმატის გლობალური ცვლილება (მატრიცა)

I თემის (კლიმატის გლობალური ცვლილება) მიზნებისა და შინაარსის რუკა

სამიზნე ცნებები და შედეგების ინდექსი		გეოგრაფიული გარსი **გეო.საშ.1.2.3.4.**	მოსახლეობა და მეურნეობა **გეო.საშ.3.4.**	მდგრადი განვითარება **გეო.საშ.2.3.4.**
საკითხი	**ქვესაკითხი**			
ჰაერი და წყალი	ატმოსფერო – ციხე-სიმაგრიდან ზარხუფამდე			
	საჰარა – ცვლილებების ციკლურობა			
	კლიმატის გლობალური ცვლილების შესწავლის ისტორია და სკეპტიკოსები			
	ჩადის ტბის კრიზისი			
	ტროპიკული მყინვარები			
	ოკეანის დონის მატება – სოლომონის კუნძულები, ლუიზიანა და ფლორიდა			
ნიადაგი	მიკროსამყარო პედოსფერო			
	მძიმე ლითონები ნიადაგში და „მჟავური წვიმები“			
	ნიადაგების დეგრადაცია და „მტვრის თასი“			
	ნიადაგის დამლაშება და დაბიცობება – გლობალური გამოწვევა			
	ნიდერლანდები – „მიწის შექმნა“			
სიცოცხლე	ცოცხალი პლანეტა			
	ვინ გააჩერებს „გადაშენებისკენ მიმავალ ესკალატორს“?			
	გათეთრება – მარჯნის პოლიპები			
	ლიდერობა და პასუხისმგებლობა			
	სუფთა ენერგია, მწვანე ეკონომიკა და შერბილება			

Don't copy

II თემის (გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები) მიზნებისა და შინაარსის რუკა

სამიზნე ცნებები და შედეგების ინდექსი		გეოგრაფიული გარსი **გეო.საშ.1.2.3.4.**	მოსახლეობა და მეურნეობა **გეო.საშ.3.4.**	მდგრადი განვითარება **გეო.საშ.2.3.4.**
საკითხი	**ქვესაკითხი**			
პოლიტიკური რუკის ცვლილება	დემოკრატია და ავტოკრატია			
	„ხალხთა საპყრობილის“ ნგრევა			
	3 ოქტომბერი – ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი			
	შოტლანდია და კატალონია			
	სომალი – ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრობლემა			
	„ჩრდილოეთის ტერიტორიები“ თუ „კურილიის კუნძულები“			
	„ახალი სამყაროს ათვისება“ და „არავისი მიწა“			
	ანტარქტიდა – მსოფლიო საკუთრება?			
საერთაშორისო წესრიგი და გამოწვევები	„ევროპის კონსტიტუცია“ და ევროსკეპტიციზმი			
	ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნები და „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია“			
	„ომის სამართალი“ და „რომის სტატუტი“			
	ტერორიზმი – საფრთხე საზღვრების გარეშე			
	გლობალური ჩრდილოეთი და გლობალური სამხრეთი			
	სიღარიბე და შიმშილი გლობალური გამოწვევა			
გლობალიზაცია	გლობალური წინააღმდეგობა – გლობალიზმი და ანტიგლობალიზმი			
	კულტურული გლობალიზაცია და გლოკალიზაცია			
	ვაქცინაცია – „ყვავილზე“ გამარჯვება			
	კოსმოსური ტურიზმი და „მარსის კოლონიზაცია“			
	„ერაზმუსი“ და „ბოლონიის პროცესი“			
	განიარაღება და „სტოქჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის ინსტიტუტი“			

Draft copy

I თემის საკითხები, ქვესაკითხები და თემის მკვიდრი წარმოდგენები

თემა: კლიმატის გლობალური ცვლილება		
საკითხი (თავი)	**ქვესაკითხი (პარაგრაფი)**	**თემის მკვიდრი წარმოდგენები**
ჰაერი და წყალი	ატმოსფერო – ციხე-სიმაგრიდან ზარხუფამდე	„სათბურის ეფექტი“ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს გლობალური ტემპერატურის რეგულირებაში;
	საჰარა – ცვლილე-ბების ციკლურობა	კლიმატის ცვლილება დედამიწაზე ციკლური პროცესის შედეგია;
	კლიმატის გლო-ბალური ცვლი-ლების შესწავლის ისტორია და სკეპტიკოსები	წყლის ორთქლი სათბურის აირებს შორის რაოდენობრივად ყველაზე დიდი ეფექტის მქონეა, თუმცა ნახშირორჟანგი ატმოსფეროში უფრო დიდი დრო რჩება და უფრო გრძელ ინფრაწითელ ტალღებს შთანთქავს;
	ჩადის ტბის კრიზისი	კლიმატის გლობალური ცვლილება ცვლის ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებს;
	ტროპიკული მყინვარები	კლიმატის გლობალური ცვლილება გარდა შელფური მყინვარებისა, ზემოქმედებს ტროპიკული მყინვარების დნობაზეც;
	ოკეანის დონის მატება – სოლომონის კუნძულები, ლუიზიანა და ფლორიდა	კლიმატის გლობალური ცვლილების გამო მსოფლიო ოკეანის დონის მატება საფრთხეს უქმნის სანაპირო ქვეყნების მოსახლეობას.
ნიადაგი	მიკროსამყარო პედოსფერო	მსოფლიოში მრავალი ტიპის ნიადაგებია, მათი ჩამოყალიბება დამოკიდებულია გეოსფეროთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ცვლილებაზე;
	მძიმე ლითონები ნიადაგში და „მჟავური წვიმები“	ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში იფრქვევა მძიმე ლითონები და ორგანიზმებისთვის მავნე აირები, რომლებიც საბოლოოდ ნიადაგში ხვდება;
	ნიადაგების დეგრადაცია და „მტვრის თასი“	გახშირებული გვალვები და გაუდაბნოება კლიმატის ლტოლვილთა/დევნილთა რიცხვის მატებას იწვევს;
	ნიადაგის დამლაშება და დაბიცობება – გლობალური გამოწვევა	არასწორ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატების გამოწვევა შეუძლია;
	ნიდერლანდები – „მიწის შექმნა“	ადამიანი უძველესი დროიდან ცდილობს დაიმორ-ჩილოს და გარდაქმნას ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი.

Don't copy

სიცოცხლე	ცოცხალი პლანეტა	დედამიწაზე ჩამოყალიბებული პირობები საშუალებას იძლევა სიცოცხლის არსებობისთვის;
	ვინ გააჩერებს „გადაშენებისკენ მიმავალ ესკალატორს“?	კლიმატის გლობალური ცვლილება საფრთხეს უქმნის პლანეტის ბიომრავალფეროვნებას;
	გათეთრება – მარჯნის პოლიპები	მარჯნის პოლიპების ევოლუცია მრავალი მილიონი წელიწადია მიმდინარეობს. სახეობა მოწყვლადია კლიმატის გლობალური ცვლილების მიმართ;
	ლიდერობა და პასუხისმგებლობა	ფტორირებული აირები ეკვივალენტ რაოდენობაში 25 ათასჯერ უფრო მეტი საფრთხის მომტანია, ვიდრე ნახშირორჟანგი;
	სუფთა ენერგია, მწვანე ეკონომიკა და შერბილება	შერბილების ღონისძიებების შედეგად შესაძლებელია სასიკეთოდ გარდავქმნათ ჩვენი საცხოვრებელი გარემო და წვლილი შევიტანოთ კლიმატის გლობალური ცვლილების დარეგულირებაში.

II თემის საკითხები, ქვესაკითხები და თემის მკვიდრი წარმოდგენები

თემა: გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები		
საკითხი (თავი)	**ქვესაკითხი (პარაგრაფი)**	**თემის მკვიდრი წარმოდგენები**
პოლიტიკური რუკის ცვლილება	დემოკრატია და ავტოკრატია	დემოკრატია მიიჩნევა კარგი მმართველობის ფორმად, რომელიც საშუალებას იძლევა ხალხმა არჩევნების გზით მართოს საკუთარი სახელმწიფო;
	„ხალხთა საპყრობილის“ ნგრევა	სახელმწიფოთა გაერთიანება ან იმპერიათა დაშლა პოლიტიკურ რუკაზე რაოდენობრივ ცვლილებებს იწვევს;
	3 ოქტომბერი – ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი	ტერიტორიული გაერთიანების მიუხედავად, რთულია განსხვავებული მართვის სტილის ეკონომიკების ჰარმონიზაცია და ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება;
	შოტლანდია და კატალონია	საზღვრების ურღვევობისა და თვითგამორკვევის პრინციპი სახელმწიფოთა შექმნის, ერთიანობისა და დაშლის საფუძველია;
	სომალი – ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრობლემა	აფრიკის კოლონიზაციის შედეგები დღემდე გამოძახილს ჰპოვებს კონტინენტზე მდებარე ზოგიერთი სახელმწიფოს ცხოვრებაში;
	„ჩრდილოეთის ტერიტორიები“ თუ „კურილიის კუნძულები“	მე-2 მსოფლიო ომის შედეგები დღემდე გავლენას ახდენს ზოგიერთ სახელმწიფოთა ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობაზე;
	„ახალი სამყაროს ათვისება“ და „არავისი მიწა“	„დიდი გეოგრაფიულ აღმოჩენების ეპოქაში“ ჩამოყალიბებული „აღმოჩენების დოქტრინა“ და „არავის მიწის“ კონცეფცია დღემდე სახელმწიფოთა დავის საგანს წარმოადგენს;
	ანტარქტიდა – მსოფლიო საკუთრება?	დღეს მსოფლიოში მოქმედებს ანტარქტიდის შესახებ შეთანხმებების სისტემა, რომლის თანახმადაც ის არცერთ სახელმწიფოს ეკუთვნის.

Don't copy

გამოწვევები და საერთაშორისო წესრიგი	„ევროპის კონსტიტუცია და ევროსკეპტიციზმი	სახელმწიფოთა ურთიერთინტეგრაციის ხარისხს ამ ქვეყნების მოქალაქეთა ნება განსაზღვრავს;
	ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნები და „ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია“	საერთო საფრთხეებისგან თავდასაცავად სახელმწიფოები კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციებს ქმნიან;
	„ომის სამართალი“ და „რომის სტატუტი“	ომისა და მშვიდობის დროს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ან ინდივიდის მიმართ ჩადენილი დანაშაული საერთო საკაცობრიო პრობლემას წარმოადგენს, მათზე რეაგირებისთვის და პრევენციისთვის იქმნება საერთაშორისო სამართალი და ინსტიტუტები;
	ტერორიზმი – საფრთხე საზღვრების გარეშე	არ არსებობს მიზეზი, რაც გაამართლებდა ტერორისტულ ქმედებას;
	გლობალური ჩრდილოეთი და გლობალური სამხრეთი	შემოსავლებისა და განვითარების დონის მიხედვით განარჩევენ გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებს;
	სიღარიბე და შიმშილი – გლობალური გამოწვევა	შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა.
გლობალიზაცია	გლობალური წინააღმდეგობა – გლობალიზმი და ანტიგლობალიზმი	ანტიგლობალიზმი, ძირითადად, ეკონომიკური გლობალიზაციისა და გლობალური თავისუფალი ბაზრის წინააღმდეგ მიმართულ მომძრაობას წარმოადგენს;
	კულტურული გლობალიზაცია და გლოკალიზაცია	გლობალური და ლოკალური ინტერესების გათვალისწინებით იქმნება გლოკალიზაციის პროცესი;
	ვაქცინაცია – „ყვავილზე“ გამარჯვება	ვაქცინაციის შედეგად, მსოფლიოში მოკვდავობის მაჩვენებლებმა დაიკლო;
	კოსმოსური ტურიზმი და „მარსის კოლონიზაცია“	კოსმოსური კვლევების წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო თანამშრომლობა და გლობალური ძალისხმევა;
	„ერაზმუსი“ და „ბოლონიის პროცესი“	სხვადასხვა ქვეყანაში მაცხოვრებელი სტუდენტთა და მკვლეართა დაახლოებისთვის მნიშვნელოვანია განათლების გლობალიზაცია;
	განიარაღება და „სტოქჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის ინსტიტუტი“	დედამიწაზე მასობრივი და ჩვეულებრივი შეიარაღების შესამცირებლად მნიშვნელოვანია მშვიდობისკენ მიმართული გლობალური ძალისხმევა.

Draft copy

III თავი

1. კლიმატის გლობალური ცვლილება (მატრიცა)

კლასი: XI **თემის სახელწოდება:** კლიმატის გლობალური ცვლილება **საათების სავარაუდო რაოდენობა** (განსაზღვრავს მასწავლებელი) **ძირითადი რესურსი:** სახელმძღვანელო			
სამიზნე ცნება	**საკითხი 1** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროზე	**საკითხი 2** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ნიადაგზე	**საკითხი 3** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე
გეოგრაფიული გარსი	**ქვესაკითხი:** გაძლიერებული სათბურის ეფექტის გამომწვევი მიზეზები **ქვეცნება:** • ატმოსფერო; • ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ქიმიური შემადგენლობა. **ქვესაკითხი:** მყინვარების დნობის ინტენსივობის ზრდა ტროპიკული მყინვარების მაგალითზე **ქვეცნება:** • მყინვარების დნობა; • წყლის ბრუნვა; • ხმელეთის წყლები; • შელფური და მთის მყინვარი; • ტროპიკული მყინვარი.		**ქვესაკითხი:** დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები **ქვეცნება:** • ბიომრავალფეროვნება
მოსახლეობა და მეურნეობა			**ქვესაკითხი:** ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება **ქვეცნება:** • ელექტროენერგეტიკა; • განახლებადი რესურსების გამოყენება; • ხელოვნურად ფტორირებული აირების წარმოება.

Don't copy

მდგრადი განვითარება		**ქვესაკითხი:** მძიმე ლითონები ნიადაგში და მჟავური წვიმების გამომწვევი მიზეზები **ქვეცნება:** • სათბური აირი; • ნიადაგის დეგრადაცია; • ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება. **ქვესაკითხი:** ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებები **ქვეცნება:** • საერთაშორისო ორგანიზაცია; • ხმელეთის ეკოსისტემა; • მდგრადი მიწათმოქმედება; • კლიმატის მდგრადობის მიღწევა; • პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის.	**ქვესაკითხი:** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და შერბილების ღონისძიებები **ქვეცნება:** • სუფთა ენერგიის წარმოება; • მწვანე ეკონომიკა.
კომპლექსური დავალება	**კომპლექსური დავალება 1** მყინვარის დნობა კილიმანჯაროზე (კომიქსის (საგაკვეთილო რესურსის) შექმნა)	**კომპლექსური დავალება 2** მიწათსარგებლობა და კლიმატის გლობალური ცვლილება (სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის შექმნა)	**კომპლექსური დავალება 3** შერბილების ღონისძიებები მსოფლიოში (სვოტ-ანალიზი)
რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებლად	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • ატმოსფერო – ციხესიმაგრიდან ზარხუფამდე; • საჰარა – ცვლილების ციკლურობა; • კლიმატის გლობალური ცვლილების შესწავლის ისტორია და სკეპტიკოსები; • ჩადის ტბის კრიზისი; • ტროპიკული მყინვარები და შეცვლილ გარემოსთან ადაპტაცია; • ოკეანის დონის მატება – სოლომონის კუნძულები, ლუიზიანა და ფლორიდა.	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • მიკროსამყარო პედოსფერო; • მძიმე ლითონები ნიადაგში და „მჟავური წვიმები“; • ნიადაგების დეგრადაცია და „მტვრის თასი“; • ნიადაგის დამლაშება და დაბიცობება – გლობალური გამოწვევა; • ნიდერლანდები – „მიწის შექმნა“.	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • ცოცხალი პლანეტა; • ვინ გააჩერებს „გადაშენებისკენ მიმავალ ესკალატორს“? • ლიდერობა და პასუხისმგებლობა; • სუფთა ენერგია, მწვანე ეკონომიკა და შერბილება.

Demo copy

	ტელესკოლა: 1. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები / კლიმატის ცვლილება; 2. როგორ შევქმნათ კომიქსი; 3. კილიმანრაჯოს მყინვარის დნობა კენიის პარკს ჭაობად აქცევს; 4. ფოტომტკიცებულება მყინვარის ეროვნული პარკი დნება; 5. კლიმატის ცვლილების გავლენა კენიის მდინარე მარას აუზზე.	**ტელესკოლა:** 1. პედოსფეროს ეკოლოგიური პრობლემები; 2. მდგრადი განვითარება 3. მდგრადი განვითარების მიზნები; 4. როგორ შევქმნათ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი; 5. მჟავა წვიმები; 6. სოფლის მეურნეობა და კლიმატის ცვლილება; 7. კლიმატის ცვლილების მიზეზები და შედეგები | National Geographic; 8. მიწათსარგებლობისა და კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ნიადაგის წყლისმიერ ეროზიაზე.	**ტელესკოლა:** 1. მდგრადი განვითარების მიზნები; 2. ადამიანთა აქტივობები, რომლებიც ხელს უშლის ბიომრავალფეროვნებას; 3. რისი გაკეთება შეგვიძლია გლობალური მიზნების მისაღწევად; 4. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება; 5. კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის გავლენა შრომის ბაზარზე; 6. კლიმატის ცვლილების შედეგები 7. კლიმატის ცვლილების შერბილება; 8. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარების მიზნები; 9. როგორ შევქმნათ ეფექტური სვოტ-ანალიზი.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- წყლის ორთქლი სათბურის აირებს შორის რაოდენობრივად ყველაზე დიდი ეფექტის მქონეა, თუმცა ნახშირორჟანგი ატმოსფეროში უფრო დიდი დრო რჩება და უფრო გრძელ ინფრაწითელ ტალღებს შთანთქავს;
- კლიმატის გლობალური ცვლილება, გარდა შელფური მყინვარებისა, ზემოქმედებს ტროპიკული მყინვარების დნობაზეც;
- ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში იფრქვევა მძიმე ლითონები და ორგანიზმებისთვის მავნე აირები, რომლებიც საბოლოოდ ნიადაგში ხვდება;
- არასწორ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატების გამოწვევა შეუძლია;
- დედამიწაზე ჩამოყალიბებული პირობები საშუალებას იძლევა სიცოცხლის არსებობისთვის;
- კლიმატის გლობალური ცვლილება საფრთხეს უქმნის პლანეტის ბიომრავალფეროვნებას;
- ფტორირებული აირები ეკვივალენტ რაოდენობაში 25 ათასჯერ უფრო მეტი საფრთხის მომტანია, ვიდრე ნახშირორჟანგი;
- შერბილების ღონისძიებების შედეგად შესაძლებელია სასიკეთოდ გარდავქმნათ ჩვენი საცხოვრებელი გარემო და წვლილი შევიტანოთ კლიმატის გლობალური ცვლილების დარეგულირებაში.

Draft copy

I კომპლექსური დავალება

თემა – კლიმატის გლობალური ცვლილება

საკითხი – კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროზე

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: გაძლიერებული სათბურის ეფექტის გამომწვევი მიზეზები; დნობის ინტენსივობის ზრდა ტროპიკული მყინვარების მაგალითზე.

ქვეცნება: ატმოსფერო, ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ქიმიური შემადგენლობა, კლიმატის გლობალური ცვლილება, წყლის ბრუნვა, ხმელეთის წყლები, შელფური და მთის მყინვარი, ტროპიკული მყინვარი.

საკვანძო შეკითხვა:

- რატომ იწვევს ადამიანის მიერ სათბურის აირების ატმოსფეროში გატყორცნა კლიმატის გლობალურ ცვლილებას?
- რატომ დნება ტროპიკული მყინვარები?

კომპლექსური დავალება:

მყინვარის დნობა კილიმანჯაროზე (საგაკვეთილო რესურსის, კომიქსის შექმნა)

წარმოიდგინე, რომ გეოგრაფიის მასწავლებელმა გთხოვა, გაუწიო ასისტენტობა მე-5 კლასისთვის კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად კილიმანჯაროზე მყინვარის დნობისა და გამოწვეული სხვა ცვლილებების ახსნის პროცესში. შენ უნდა შეისწავლო კონტექსტ-მაგალითი, გააანალიზო იგი და მასზე დაყრდნობით შექმნა **კომიქსი**, რომელშიც მოკლედ გადმოსცემ პრობლემის არსს და, გრაფიკული გამოსახულებების მეშვეობით, მოსწავლეებს გაუადვილებ საკითხის მნიშვნელობის აღქმას.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	<u>ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>
გეოგრაფიული გარსი • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით, ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	• გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს, ნოოსფეროს, დედამიწის შინაგანი აგებულების) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	• რა როლს ასრულებს თითოეული კლიმატწარმომქმნელი ფაქტორი და როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება ამბოსელის ეროვნულ პარკში ჭაობების წარმოქმნის პროცესში; **(გეოგრაფიული გარსი მ.წ.1)** • რა არის ჭაობის ჩამოყალიბების მიზეზები და როგორია მისი განვითარების პროცესი. **(გეოგრაფიული გარსი მ.წ.1)** • როგორ იმოქმედა, უმეტესად, ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეულმა კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ კენიისა და ტანზანიის ბუნებრივ გარემოზე; **(გეოგრაფიული გარსი მ.წ.2)**

Don't copy

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის კომიქსი?
- გაქვთ თუ არა კომიქსზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნათ კომიქსი და რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო კომიქსის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტებსგან უნდა შედგებოდეს კომიქსი?
- ვისთვის უნდა შევქმნა კომიქსი?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: გაძლიერებული სათბურის ეფექტის გამომწვევი მიზეზები.

ქვეცნება: ატმოსფერო, ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ქიმიური შემადგენლობა.

ნაბიჯი 1

- რა არის ატმოსფერო, რა მნიშვნელობა აქვს მას და რა შრეებისგან შედგება იგი? **§ 1**
- რა არის „სათბურის ეფექტი“ და რატომ მიიჩნევა იგი დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთ განმაპირობებლად? **§ 1**
- რამ განაპირობა „გაძლიერებული სათბურის ეფექტის“ წარმოქმნა და რა შედეგები მოჰყვა მას? **§ 1**

ნაბიჯი 2

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: მყინვარების დნობის ინტენსივობის ზრდა ტროპიკული მყინვარების მაგალითზე

ქვეცნება: კლიმატის გლობალური ცვლილება, წყლის ბრუნვა, ხმელეთის წყლები, შელფური და მთის მყინვარი, ტროპიკული მყინვარი.

- რა შედეგები მოჰყვება გლობალური საშუალო ტემპერატურის მატებას? **§ 1**
- რა არის კლიმატი და რა პროცესები ახდენს გავლენას მის ჩამოყალიბებაზე? **§ 2**
- რაზე ახდენს გავლენას კლიმატის ცვლილება? **§ 2**
- რა ტიპის ბუნებრივი ციკლურობა ახასიათებს კლიმატს? **§ 2**
- როგორ შეგროვდა კლიმატის გლობალური ცვლილების შესახებ გეოგრაფიული ცოდნა? **§ 3**
- რას ეფუძნება კლიმატის გლობალური ცვლილებების სკეპტიკოსთა მოსაზრებები? **§ 3**
- რა არგუმენტები აქვთ სკეპტიკოსთა პასუხად მეცნიერებს? **§ 3**
- რა გავლენას ახდენს კლიმატის გლობალური ცვლილება წყლის რესურსების არსებობაზე? **§ 4**
- როგორ წარმოიქმნება მყინვარი? **§ 5**
- რა არის „ტროპიკული მყინვარი“? **§ 5**
- რა გეოგრაფიულმა კანონზომიერებამ ჩამოაყალიბა ტროპიკულ გარემოში მყინვარები? **§ 5**
- რა ურთიერთმიმართებაა მყინვარებსა და მტკნარი წყლის ოდენობასა და ხარისხს შორის? **§ 5**
- რა გავლენას ახდენს მყინვარების ფართობზე კლიმატის გლობალური ცვლილება? **§ 5**
- რატომ დნება ტროპიკულ სარტყლებში 5400 მეტრზე დაბლა არსებული მყინვარები უფრო მაღლა მდებარე მყინვარებზე 2-ჯერ სწრაფად? **§ 5**
- რა კავშირია მეწყრის გააქტიურებასა და მთის მყინვარის დნობას შორის? **§ 5**

Draft copy

- რა სახის ზემოქმედებას მოახდენს ყინულის დნობა ლანდშაფტსა და ეკოსისტემაზე? **§ 5**
- რა არის ჰაერი და შემადგენლობის მიხედვით სხვადასხვა ადგილზე როგორ განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან? **§ 5**
- რა არის იმის მიზეზი, რომ კილომანჯაროზე თოვლი მოსვლისთანავე დნება? **კონტექსტმაგალითი**
- რა როლს ასრულებს თითოეული კლიმატწარმომქმნელი ფაქტორი და როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება ამბოსელის ეროვნული პარკში ჭაობების წარმოქმნის პროცესში? **კონტექსტმაგალითი**
- როგორ იმოქმედა უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეულმა კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ კენიისა და ტანზანიის ბუნებრივ გარემოზე? **კონტექსტმაგალითი**
- რა ფაქტორებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ამბოსელის ეროვნული პარკის 392 კმ^2 ტერიტორია ჭარბტენიან ლანდშაფტად იქცა? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი კომიქსი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად კომიქსია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

კონტექსტმაგალითი

კილიმანჯაროს მყინვარის დნობა კენიაში ეროვნულ პარკს ჭაობებად აქცევს

წყარო: https://www.aa.com.tr

გარემოსდაცვითი ექსპერტების თქმით, ამბოსელის ეროვნულ პარკში, მყინვარების დნობამ გამოიწვია უსახელო ჭაობებისა და ტბების გაჩენა.

ენდრიუ ვასიკე, 31.10.2021

ნაირობი, კენია

კილიმანჯაროს მთაზე, ტანზანიაში, თოვლი სწრაფად დნება და ეს ფაქტი ამბოსელის ეროვნულ პარკზე მკვეთრად აისახა.

72 წლის სტეფან კოიტალელი, რომელიც თოვლით დაფარული მთის მთისწინეთში ცხოვრობს, ბავშვობიდან ხედავდა, როგორ იცვლებოდა ბუნება.

„ბავშვობაში, ყოველ დილით, როცა ძროხებს საძოვრად გამოვიყვანდი, თოვლს ვხედავდი, მაშინ მთა ისეთი ნათელი იყო. ყველგან თოვლი იყო და როგორც დღეს მხოლოდ მთის წვერს არ ფარავდა მაშინ, შუა კალთებამდე ჩამოდიოდა. ეს ყველასთვის მშვენიერი სანახაობა იყო და ხალხი მის ფონზე აწყობდა მრავალ დღესასწაულს. დღესდღეობით თოვლი თითქმის გაქრა, ძლივს ჩანს, არ ვიცი რა დაემართა, სად გაქრა.“

Don't copy

ლეკუმოკ ლაკამაი, 53 წლის მომთაბარე მწყემსი კაჯიადოს ოლქის ენტონეტის რაიონიდან ამბობს: „ვიდრე გავიზრდებოდი, მშობლები მეუბნებოდნენ, რომ მთაზე ბევრი თოვლია. ჩვენი ბებიები და ბაბუებიც გვიყვებოდნენ თაობიდან თაობას გადაცემულ მთის შესახებ ხალხურ თქმულებებს. დღეს იმავე ამბებს ჩვენს შვილებს აღარ ვუყვებით, რადგან თოვლი აღარ არის“.

კოიტალელსა და ლაკამაის არასდროს სმენიათ ტერმინი „კლიმატის გლობალური ცვლილება“, თუმცა საკუთარ გარემოში გრძნობენ მას.

გაერო გვაფრთხილებს, რომ საშუალო გლობალური ტემპერატურის მატება იწვევს აფრიკის კლიმანჯაროს, კენიისა და რუვენზორის მთებზე მყინვარების გაქრობას.

„სააგენტო ანადოლუ“ ესაუბრა დოქტორ ომონდის (კენიის ბუნების კვლევისა და სწავლების ინსტიტუტის მთავარ აღმასრულებელ დირექტორს) მყინვარების დნობით ეკოსისტემაში გამოწვეულ ცვლილებებზე. მისი თქმით, მყინვარის დნობამ ამბოსელის ეროვნული პარკის 392 კმ^2 ტერიტორია ჭაობიან ლანდშაფტად აქცია.

მან ასევე განაცხადა, რომ კილიმანჯაროს მყინვარის დნობას დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვა. კენიის მხრიდან შედეგები დადებითი იყო.

„ეს დადებითია, რადგან ამბოსელი თავდაპირველად არ იყო ჭაობიანი ტერიტორია. მყინვარების დნობის შედეგად, ახლა ჭაობები გვაქვს. შესაბამისად, ის ფრინველების სამოთხედ იქცა. ჩვენ პარკში, წარსულისგან განსხვავებით, ახლა გვყავს ფლამინგოს მსგავსი ფრინველები. ვფიქრობთ, მომავალში ამბოსელის ეროვნულმა პარკმა განაცხადი გააკეთოს, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანმა ტერიტორიამ.“

მეცნიერთა აზრით, კილიმანჯაროზე თოვლი მოსვლისთანავე დნება. ასეთი მოვლენა ქმნის მიწისქვეშა წყლების უწყვეტ მიწოდებას და წყლით მარაგდება ეროვნული პარკი.

„ხანდახან ადგილობრივები სარგებლობენ ამ ჭაობებით. გვალვების დროს დასარწყულებლად აქ მოჰყავთ თავიანთი ცხოველები, რადგან ჭაობები იქცა წყლის მუდმივ რეზერვად“, – განაცხადა ომონდიმ.

კენიის ამ ნაწილში ძლიერი გვალვის მიუხედავად, პარკის ცხოვრება ყველგან აყვავებულია. აქ შეიძლება ნახოთ სპილოები, რომლებიც ტალახში ტრიალებენ, ზებრები, რომლებიც საძოვრებზე იკვებებიან.

მყინვარის დნობას დადებითი გავლენა აქვს კენიის მხარეს, მაგრამ ტანზანიაში ის დამანგრეველი ეფექტით ხასიათდება.

დოქტორი ომონდის თქმით: „მეორე მხარეს (კენიის ტერიტორიის პარკს მიღმა ტერიტორიასა და ტანზანიაში) მყინვარის დნობა არც თუ კარგ შედეგებს იწვევს. მაღალი ტემპერატურისა და გვალვის გამო ცხოველები აფართოებენ საარსებო საზღვრებს და ადამიანებსა და მათ შორის წარმოიქმნება კონფლიქტი“.

კლიმატოლოგებმა ქვეყნების მთავრობები გააფრთხილეს, რომ მყინვარის დნობა მთის ირგვლივ გამოიწვევს წყლის რესურსების ნაკლებობას, განსაკუთრებით ტანზანიის მხარეს. აქ მთიდან ჩამომდინარე ნაკადულები და მდინარეები ან სრულად დაშრა, ან მკვეთრად იკლო მათში წყლის დონემ.

Don't copy

პირველი კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები
კომიქსი

პირველი კომპლექსური დავალება **კომიქსის შექმნა თემაზე – მყინვარის დნობა კილიმანჯაროზე**	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	გეოგრაფიული გარსი
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული კლიმატწარმომქმნელი ფაქტორების მნიშვნელობა. შეუძლია, ფაქტების ანალიზზე დაყრდნობით, გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს ამბოსელის ეროვნულ პარკში ჭაობების წარმოქმნას. მოსწავლეს შეუძლია, ახსნას, რა სახის ზემოქმედებას მოახდენს ყინულის დნობა ლანდშაფტსა და ეკოსისტემაზე. შეუძლია, გააანალიზოს ჭაობის ჩამოყალიბების მიზეზები, განაზოგადოს პრობლემა და ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს კლიმატის გლობალური ცვლილება კენიისა და ტანზანიის ბუნებრივი გარემოს ფორმირებაზე. მოსწავლეს შეუძლია, შეაფასოს ის ზიანი, რომელიც, ადამიანის საქმიანობის შედეგად, კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესს აჩქარებს. მოსწავლეს შეუძლია, ჩამოაყალიბოს თეორია იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს „სათბურის ეფექტი“ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობაში, რა განაპირობებს „გაძლიერებულ სათბურის ეფექტს“ და რით უკავშირდება ეს პროცესები მყინვარების დნობის პროცესებს.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს კლიმატწარმომქმნელი ფაქტორების მნიშვნელობა. შეუძლია, აღმოაჩინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები ამბოსელის ეროვნულ პარკში ჭაობების წარმოქმნის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის. მოსწავლეს შეუძლია, დაინახოს ყინულის დნობას, ლანდშაფტსა და ეკოსისტემას შორის არსებული ურთიერთმიმართება. შეუძლია ჭაობის ჩამოყალიბების მიზეზებს შორის არსებული განსხვავების პოვნა. შეუძლია, გააანალიზოს კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა კენიისა და ტანზანიის ბუნებრივი გარემოს ფორმირებაზე. მოსწავლეს შეუძლია, ახსნას და აღწეროს ის ზიანი, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესს აჩქარებს. მოსწავლეს შეუძლია, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს „სათბურის ეფექტი“ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობაში, რა განაპირობებს „გაძლიერებულ სათბურის ეფექტს“ და რით უკავშირდება ეს პროცესები მყინვარების დნობის პროცესებს.

Draft copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, აღწეროს კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები. შეუძლია, აღწეროს ამბოსელის ეროვნულ პარკში ჭაობების წარმოქმნის პროცესი, მაგრამ უჭირს აღმოაჩინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები ჭაობების წარმოქმნის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის. მოსწავლეს შეუძლია, განიხილოს ყინულის დნობის, ლანდშაფტისა და ეკოსისტემის ჩამოყალიბების პროცესები, მაგრამ უჭირს მათ შორის არსებული ურთიერთმიმართების დანახვა. ვერ ახერხებს ჭაობის ჩამოყალიბების მიზეზებს შორის არსებული განსხვავების პოვნას. შეუძლია აღწეროს კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესი, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება კენიისა და ტანზანიის ბუნებრივი გარემოს ფორმირების პროცესთან. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ის ზიანი, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესს აჩქარებს. მოსწავლეს შეუძლია, აღწეროს „სათბურის ეფექტი“ და „გაძლიერებული სათბურის ეფექტი“, თუმცა უჭირს მისი დაკავშირება მყინვარების დნობის პროცესებთან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, განსაზღვროს კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები. შეუძლია, დაასახელოს ამბოსელის ეროვნულ პარკში ჭაობების წარმოქმნის ფაქტი, მაგრამ უჭირს მისი აღწერა. ვერ ახერხებს ჭაობის ჩამოყალიბების მიზეზების ჩამოთვლას. შეუძლია, დაასახელოს კლიმატის გლობალური ცვლილების ფაქტი, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება კენიისა და ტანზანიის ბუნებრივი გარემოს ფორმირების პროცესთან. მოსწავლეს შეუძლია, ადამიანის საქმიანობის შედეგად, კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესის აჩქარების იდენტიფიცირება. მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს „სათბურის ეფექტი“ და „გაძლიერებული სათბურის ეფექტი“, თუმცა უჭირს მისი დაკავშირება მყინვარების დნობის პროცესებთან.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება კომიქსის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

Do not copy

II კომპლექსური დავალება

თემა – კლიმატის გლობალური ცვლილება
საკითხი – კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ნიადაგზე

ცნება: მდგრადი განვითარება

ქვესაკითხი: მძიმე ლითონები ნიადაგში და მჟავური წვიმების გამომწვევი მიზეზები, ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებები

ქვეცნება: სათბური აირი, ნიადაგის დეგრადაცია, ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება, საერთაშორისო ორგანიზაცია, ხმელეთის ეკოსისტემა, მდგრადი მიწათმოქმედება, კლიმატის მდგრადობის მიღწევა, პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის.

საკვანძო შეკითხვა:
- როგორ ხვდება ნიადაგში მძიმე ლითონები და როგორ ყალიბდება „მჟავური წვიმა“?
- როგორ ყალიბდება ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება?

კომპლექსური დავალება:
მიწათსარგებლობა და კლიმატის გლობალური ცვლილება (სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის შექმნა)

წარმოიდგინე, რომ ტელევიზიაში დაიწყე მუშაობა. გადაცემის მთავარმა რედაქტორმა გაცნობა, რომ სატელევიზიო სიუჟეტისთვის უნდა შექმნა სცენარი. შენ უნდა შეისწავლო კონტექსტ-მაგალითი გლობალური ნიადაგების წყლისმიერ ეროზიაზე მიწათსარგებლობისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ, გააანალიზო იგი და მასზე დაყრდნობით შექმნა პროდუქტი რომელსაც, მთავარი რედაქტორების დადებითად შეფასების შემთხვევაში, გამოიყენებენ კვირის საინფორმაციო გადაცემისთვის სიუჟეტის შექმნაში.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:**	**შეფასების კრიტერიუმი** **მოსწავლეს შეუძლია:**	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
მდგრადი განვითარება • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.	• ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობისა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• რა გავლენას მოახდენს კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ-სოციალურ პროცესებსა და მათ განვითარებაზე; **(მდგრადი განვითარება მ.წ.1)** • მომავალი თაობების საკეთილდღეოდ როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაში შემცირდეს. **(მდგრადი განვითარება მ.წ.2)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი?
- გაქვს თუ არა სატელევიზიო სიუჟეტის სცენარზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი?

Draft copy

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
ცნება: მდგრადი განვითარება

ქვესაკითხი:
მძიმე ლითონები ნიადაგში და მჟავური წვიმების გამომწვევი მიზეზები

ქვეცნება:
სათბური აირი, ნიადაგის დეგრადაცია, ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება.

ნაბიჯი 1

- რა გავლენას ახდენს კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა? **§ 7**
- რა არის ნიადაგიდან ნახშირორჟანგის (სათბური აირის) არასასურველი რაოდენობის განთავისუფლების მიზეზი და რა შედეგებამდე მივყავართ მას? **§ 7**
- რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ ნიადაგის დეგრადაციის პროცესს? **§ 7**
- რა პროცესები განაპირობა, ბუნებაში მიმდინარე პროცესების ცვლილების თვალსაზრისით, ინდისტრიულმა რევოლუციამ? **§ 8**
- რატომ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე მძიმე ლითონებით დაბინძურება? **§ 8**
- რა არის „მჟავური წვიმების“ გამომწვევი მიზეზი? **§ 8**
- რა გლობალურ პროცესებს განაპირობებს „მჟავური წვიმების“ არსებობა? **§ 8**
- რა პროცესები ახდენს გავლენას ნიადაგების დეგრადაციაზე და როგორ უკავშირდება ეს პროცესები გარემოს გლობალურ ცვლილებას? **§ 9**
- რატომ უწყობს ხელს მიწის უკონტროლო ათვისება ნიადაგების დეგრადაციას? **§ 9**
- რატომ ითვლება მსოფლიოს გლობალურ პრობლემად ნიადაგის მეორადი დაბიცობებისა და დამლაშების პროცესი? **§ 10**
- როგორ შეიძლება ნიადაგის გადაჭარბებულმა მორწყვამ დააზიანოს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უვარგისი გახადოს ნიადაგი? **§ 10**
- რა განაპირობებს ნიადაგის ეროზიას? **კონტექსტმაგალითი**
- რა შედეგები მოჰყვება ნიადაგის ეროზიას? **კონტექსტმაგალითი**
- რატომ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ნიადაგის დეგრადაციის ძირითადი მიზეზი? **კონტექსტმაგალითი**
- რატომ ახდენს გავლენას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა გავლენას ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესზე? **კონტექსტმაგალითი**
- რატომ მიიჩნევა ნიადაგის ეროზია გლობალურ პრობლემად? **კონტექსტმაგალითი**

ცნება: მდგრადი განვითარება

ქვესაკითხი:
ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებები

ქვეცნება:
საერთაშორისო ორგანიზაცია, ხმელეთის ეკოსისტემა, მდგრადი მიწათმოქმედება, კლიმატის მდგრადობის მიღწევა, პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის.

Don't copy

ნაბიჯი 2

- რა მიზნით შეიქმნა ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო კავშირი? **§ 7**
- რატომ გახდა მეტად აქტუალური ნიადაგმცოდნეობის როგორც ერთ-ერთი აუცილებელი გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება და ხელშეწყობა? **§ 7**
- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ შემცირდეს „მჟავური წვიმები“? **§ 8**
- რა ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საწინააღმდეგოდ? **§ 8**
- როგორ გარდავქმნათ ჩვენი ეკონომიკური საქმიანობა და შევცვალოთ ცხოვრების სტილი ისე, რომ შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება? **§ 8**
- როგორ ებრძვიან ნიადაგის დეგრადაციას? **§ 9**
- რა საფრთხეებს აგვაცილებს თავიდან მდგრადი მიწათმოქმედება? **§ 9**
- როგორ შეიძლება ავირიდოთ თავიდან ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება? **§ 10**
- როგორ შეიძლება შევარბილოთ დეგრადაციის მიმდინარე პროცესი ან ხელი შევუწყოთ ნიადაგის თვითაღდგენას? **§ 10**
- ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო დამუშავების შედეგად, რა უნდა გაითვალისწინოს ფერმერმა, რათა არ მოხდეს მისი დეგრადაცია? **§ 10**
- რატომ შეუწყობს ხელს ნიადაგების დამლაშებისა და დაბიცობების პრობლემის მოგვარებას მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მეორე, მეთორმეტე, მეთხუთმეტე და მეჩვიდმეტე მიზნების მიღწევა? რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ ეს მიზნები შესრულდეს? რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ ამ მიზნების მისაღწევად? **§ 10**
- როგორ შეიძლება შევაჩეროთ ნიადაგის ეროზიის პროცესი? **კონტექსტმაგალითი**
- მომავალი თაობების საკეთილდღეოდ როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაში შემცირდეს? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სატელევიზო სიუჟეტის სცენარი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სატელევიზო სიუჟეტის სცენარია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Don't copy

მიწათსარგებლობა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედება გლობალური ნიადაგების წყლისმიერ ეროზიაზე (2015-2070)

პასკუალე ბორელი, დევიდ რობინსონი, პანოს პანაგოსი და სხვები
24 აგვისტო, 2020 წელი

წყარო: https://www.pnas.org/

დედამიწის ხმელეთის ზედაპირის 38% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მოიხმარება. ადამიანი ძლიერაა დამოკიდებული ნიადაგის შესაძლებლობებზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და მეცხოველეობაზე. სწორედ აქედან იწარმოება სურსათის გლობალური მარაგის 95%. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო სისტემები ნიადაგისა და გარემოს დეგრადაციის ძირითადი მიზეზია. ამავდროულად ისაა ადამიანის მიერ ატმოსფეროში გატყორცნილი სათბური აირების ძირითადი წყაროც. გაეროს ნიადაგის გლობალური რესურსების მდგომარეობის შესახებ შექმნილი უახლესი ანგარიში ხაზს უსვამს, რომ ნიადაგის ეროზია კვლავ ძირითადი გარემოსდაცვითი და სასოფლო-სამეურნეო გლობალური პრობლემაა. ადამიანის მიერ გამოწვეული ნიადაგის ეროზიის ძირითადი მიზეზებია: ხვნა, არასწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, ტყის ჩეხა, ჭარბი ძოვება. ეს ყოველივე ბუნებრივ გარემოში იწვევს ურთიერთდაკავშირებული ცვლილებების სერიას – საკვები ნივთიერებების დაკარგვას, ნახშირბადის შემცირებულ შენახვას, ბიომრავალფეროვნების დაქვეითებას, ნიადაგისა და ეკოსისტემების სტაბილურობას.

ეროზიის ანთროპოგენული გამომწვევი ძირითადი მიზეზია ნიადაგების გამოყენება და კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეული ჰიდროლოგიური ციკლის შეცვლა.

ნიადაგის ეროზია შეიძლება შემცირდეს ნიადაგის მდგრადი მართვის ტექნიკისა და შესაბამისი პოლიტიკის წახალისებით. სახნავი მიწა მთელ მსოფლიოში ხმელეთის დაახ. 11-14% შეადგენს (ან 1.42 მლრდ. ჰექტარს გლობალურად). სამომავლოდ მოსალოდნელია ფართობის შემცირება. ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი იქნება:

1) მზარდი მოსახლეობა – 2070 წელს, სავარაუდოდ, 9.4 მლრდ;
2) ხორცპროდუქტების მიმართ გაზრდილი მოთხოვნა;
3) კლიმატის გლობალური ცვლილება, რომელიც ცვლის პლანეტის ჰიდროგრაფიულ ციკლს.

შესაბამისად, ეს სამი საკითხი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებისა და საერთაშორისო ძალისხმევის ქვაკუთხედად უნდა იქცეს.

Don't copy

კომპლექსური დავალების შეფასების სქემები
სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი

პირველი კომპლექსური დავალება **სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის მომზადება თემაზე – მიწათსარგებლობა და კლიმატის გლობალური ცვლილება**	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საფრთხეები. იგი ახერხებს, შეაფასოს, ერთი მხრივ, რა სარგებელი მოაქვს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავებასა და მოხმარებას და, მეორე მხრივ, რა საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობას ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატება. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესზე. მას შეუძლია, წამოაყენოს თეორია იმის შესახებ, თუ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაში შემცირდეს. მოსწავლეს შეუძლია, ღრმად და საფუძვლიანად იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საფრთხეები. იგი ახერხებს, ახსნას, ერთი მხრივ, რა სარგებელი მოაქვს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავებასა და მოხმარებას და, მეორე მხრივ, რა საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობას ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატება. მას შეუძლია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესს შორის ურთიერთმიმართების დანახვა. მას შეუძლია, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე შემცირდეს. მოსწავლეს შეუძლია, დასვას და განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.

Do not copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები, მაგრამ უჭირს, გაიაზროს მისი მიმართება ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საფრთხეებთან. იგი ახერხებს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავების სასარგებლო შედეგების ჩამოთვლას. იცის, რომ მას უარყოფითი შედეგებიც მოაქვს, მაგრამ ვერ ხსნის იმას, თუ რა განაპირობებს ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატებას. მას შეუძლია ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესის აღწერა, მაგრამ ვერ აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. იგი ვერ სახავს სტრატეგიებს იმისათვის, რომ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ სასოფლო-სამეურნეო სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე შემცირდეს. მოსწავლეს უჭირს ახსნას, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის იდენტიფიცირება, თუმცა ეს ცოდნა არ არის სისტემური და უჭირს მისი დადებითი და უარყოფითი შედეგების აღწერა. იგი ახერხებს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავების სასარგებლო შედეგების დასახელებას. იცის, რომ მას უარყოფითი შედეგებიც მოაქვს, მაგრამ ვერ ახერხებს მათ დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას. მას შეუძლია ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესის ამოცნობა, მაგრამ ვერ აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. იგი ვერ ახერხებს მომავალი თაობების საკეთილდღეოდ სასოფლო-სამეურნეო სექტორის გავლენის აღწერას კლიმატის გლობალურ ცვლილების პროცესზე. მოსწავლეს უჭირს აღწეროს, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

Don't copy

III მესამე კომპლექსური დავალება

თემა – კლიმატის გლობალური ცვლილება
საკითხი – კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი
ქვესაკითხი: დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები
ქვეცნება: ბიომრავალფეროვნება
სამიზნე ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა
ქვესაკითხი: ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება
ქვეცნება: ელექტროენერგეტიკა, განახლებადი რესურსების გამოყენება, ხელოვნურად ფტორირებული აირების წარმოება.

სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და შერბილების ღონისძიებები
ქვეცნება: სუფთა ენერგიის წარმოება, მწვანე ეკონომიკა.

საკვანძო შეკითხვა:
- რა ფაქტორებმა განსაზღვრა ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობა?
- რატომ ქმნის პრობლემას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის კლიმატის გლობალური ცვლილება?
- რატომ ქმნის საფრთხეს ფტორირებული აირების ატმოსფეროში გატყორცნა?
- კლიმატის გლობალური ცვლილების რეგულირებისთვის რატომაა აუცილებელი შერბილებისკენ მიმართული ქმედებები?

კომპლექსური დავალება – შერბილების ღონისძიებები მსოფლიოში (სვოტ-ანალიზის შექმნა)
წარმოიდგინე, რომ საერთაშორისო ბუნებისდამცველ ორგანიზაციას სურს, გაარკვიოს, თუ რა გავლენას მოახდენს შერბილების ღონისძიებები ადგილობრივ ეკოსისტემასა და მოსახლეობის ცხოვრების წესზე. ფართო კვლევის ფარგლებში, შენ დაგევალა, რომ შეისწავლო კონტექსტმაგალითი, გააანალიზო იგი და, მასზე დაყრდნობით, შექმნა სვოტ-ანალიზი.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
გეოგრაფიული გარსი • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს;	• გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფეროს, ატმოს-ფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს, ნოოსფე-როს, დედამიწის შინა-განი აგებულების) ურთი-ერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრა-ფიული გარსის კანონზო-მიერებების დასადგენად;	• რა გავლენა იქონია უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე „კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ“ მსოფლიოში ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე; **(გეოგრაფიული გარსი მ.წ.1.2)**

Don't copy

• ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე. **მოსახლეობა და მეურნეობა** • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება. **მდგრადი განვითარება** • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.	• ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად; • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• კლიმატის გლობალური ცვლილება როგორ შეცვლის ადამიანთა საქმიანობასა და ცხოვრების წესს; **(მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ. 1)** • როგორ მოახდენს გავლენას მსოფლიოს ქვეყნების მიერ კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსა და მის განვითარებაზე; **(მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ. 2.3.)** • როგორ იმოქმედებს მსოფლიოს სახელმწიფოთა მოსახლეობის კეთილდღეობაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება. **(მდგრადი განვითარება მ.წ.1.2)**

Don't copy

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სვოტ-ანალიზი?
- გაქვთ თუ არა სვოტ-ანალიზზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სვოტ-ანალიზი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სვოტ-ანალიზის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სვოტ-ანალიზში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სვოტ-ანალიზი?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

ქვეცნება: ბიომრავალფეროვნება

ნაბიჯი 1

- რა განაპირობებს დედამიწის ბიომრავალფეროვნებას? **§ 12**
- რა სარგებელი მოაქვს ბიომრავალფეროვნებას კაცობრიობისთვის? **§ 12**
- რატომ თვლის მეცნიერთა ნაწილი, რომ ვიმყოფებით მეექვსე „გადაშენების ეპოქაში“? **§ 12**
- რა არის ბიომრავალფეროვნების შემცირებისა და კარგვის მიზეზი? **§ 13**
- რა მიზნით შეიქმნა „ბიომრავლფეროვნების კონვენცია“ და რა არის მისი სამოქმედო გეგმა? **§ 13**
- რატომ უჭირთ შეცვლილ გარემოში ორგანიზმებს ადაპტაცია? **§ 14**
- რატომ მიიჩნევა მარჯნების კვდომის პროცესი გლობალურ პრობლემად? **§ 14**
- შეიტანს თუ არა ცვლილებას ნახშირბადის ციკლში მარჯნის პოლიპების კვდომა? **§ 14**
- გარდა მარჯნის პოლიპების კვდომისა, რატომ გამოიწვევს ეს მოვლენა საზღვაო ბიომრავალფეროვნების შემცირებას? **§ 14**
- რა რეალური შედეგები მოჰყვა კლიმატის გლობალურ ცვლილებას და როგორია, პროცესის შეუქცევადად გაგრძელების შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგები? **კონტექსტმაგალითი**

ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა

ქვესაკითხი: მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოების მიერ ადაპტაციისა და მიტიგაციისთვის დაგეგმილი ღონისძიებები. ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება.

ქვეცნება: ელექტროენერგეტიკა, განახლებადი რესურსების გამოყენება, ნახშირორჟანგის ემისია, ხელოვნურად ფტორირებული აირების წარმოება, ინდუსტრიალიზაცია.

ნაბიჯი 2

- როგორ შეცვლის ადამიანთა ახლანდელ საქმიანობასა და ცხოვრების წესს კლიმატის გლობალური ცვლილება? **§ 15**
- რა მიზნით გამოიყენეს და რატომაა მავნე ხელოვნურად ფტორირებული აირები? **§ 15**
- რა კავშირია ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის? **§ 15**
- რა კავშირია ჩვენს კვებით რაციონსა და ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევას შორის? **§ 15**
- რატომ ამცირებენ ელექტროენერგეტიკაში ქვანახშირის გამოყენებას? **§ 15**

Don't copy

ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და შერბილების ღონისძიებები
ქვეცნება: სუფთა ენერგიის წარმოება, მწვანე ეკონომიკა.

ნაბიჯი 3

- კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან გამკლავების რა გზები არსებობს? **§ 13**
- კაცობრიობისთვის რა საკეთილდღეო შედეგები მოჰყვება „ბუნების მსოფლიო ფონდის“ (WWF) არსებობას? **§ 13**
- რა წვლილის შეტანა შეუძლია მოქალაქეს ბიომრავალფეროვნების კარგვის პროცესის შეჩერებაში? **§ 13**
- რატომაა მნიშვნელოვანი გლობალური პარტნიორობა ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერების პროცესში? **§ 13**
- რატომ შეუწყობს ხელს ბიომრავალფეროვნების კარგვის პროცესის შენელებასა და შეჩერებას მდგრადი განვითარების პრინციპების ცხოვრებაში გატარება? **§ 13**
- როგორ მოახდენს გავლენას მსოფლიოს ქვეყნების მიერ კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსა და მის განვითარებაზე? **§ 15**
- როგორ შეუძლია მოქალაქეს წვლილი შეიტანოს საფრთხის შემცირების საქმეში? **§ 15**
- რატომ და როგორ უწყობს ხელს ტექნოლოგიების განვითარებას კლიმატის გლობალური ცვლილებების დარეგულირებისკენ მიმართული ღონისძიებები? **§ 15**
- უწყობს თუ არა მეცნიერების განვითარების სწრაფ ტემპს ხელს კაცობრიობის წინაშე კლიმატის ცვლილების გამო მდგარი გლობალური ამოცანა? **§ 15**
- რას ნიშნავს „მწვანე ეკონომიკა“? **§ 16**
- რა როლი აქვს მწვანე ეკონომიკაში კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებას? **§ 16**
- რატომ უწყობს ხელს „მწვანე ეკონომიკა“ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას? **§ 16**
- როგორ შეუწყობს ხელს სუფთა ენერგიის გამომუშავება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას? **§ 16**
- რატომ შეუწყობს ხელს „მწვანე ენერგეტიკაზე“ გადასასვლელად „საერთაშორისო ენერგეტიკული ორგანიზაციის“ მიერ გაცემული რეკომენდაციები მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას? **§ 16**
- რატომაა მნიშვნელოვანი მწვანე ენერგეტიკაზე გადასვლამდე ადგილობრივთა კულტურული წეს-ჩვეულებების შესწავლა? **§ 16**
- რატომაა მნიშვნელოვანი სუფთა ენერგიით მიღებული სარგებელი თანაბრად გადანაწილდეს მთელ მოსახლეობაზე? **§ 16**
- ზოგიერთი თვლის, რომ XX საუკუნის განმსაზღვრელი ნიშანი ორი მსოფლიო ომი და სწრაფი ინდუსტრიალიზაცია იყო. რა იქნება ჩვენი საუკუნის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი? **§ 16**
- რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას კლიმატის ცვლილების შერბილების სასარგებლოდ? **კონტექსტმაგალითი**
- რაზე არის დამოკიდებული შერბილების ღონისძიებებსა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის არსებული სინერგიის მიღწევა? **კონტექსტმაგალითი**
- რა შემთხვევაში ეწირება შერბილების ღონისძიებებს მდგრადი განვითარების მიზნები? **კონტექსტმაგალითი**
- რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ სამომავლო პერსპექტივაში მივაღწიოთ შერბილების პოლიტიკასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის მეტ სინერგიას? **კონტექსტმაგალითი**
- როგორ იმოქმედებს მსოფლიოს სახელმწიფოთა მოსახლეობის კეთილდღეობაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება? **კონტექსტმაგალითი**

Draft copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სვოტ-ანალიზი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სვოტ-ანალიზია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

კონტექსტმაგალითი

კლიმატის ცვლილების შედეგები

წყარო: https://climate.nasa.gov/

კლიმატის გლობალური ცვლილება არ არის მომავლის პრობლემა. დედამიწის კლიმატის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია, ადამიანის საქმიანობის შედეგად, სითბოს მშთანთქმელი სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის მაჩვენებლების გაზრდით, უკვე უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე. მყინვარები და ყინულის საფარი მცირდება, მდინარისა და ტბის ზედაპირებზე სეზონური ყინული მალე დნება, მცენარეთა და ცხოველთა განსახლების არეალები იცვლება. ხეები უფრო ადრე ყვავიან.

მეცნიერების მიერ დიდი ხნის წინ ნაწინასწარმეტყველები შედეგების დადგომა უკვე დაიწყო. მაგალითად, იკარგება შელფური ყინული, აჩქარდა ზღვის დონის მატება, ექსტრემალური სიცხის ტალღების რაოდენობამ და ხანგრძლივობამ მოიმატა.

ზოგიერთი ცვლილება (როგორიცაა გვალვები, ტყის ხანძრები, ექსტრემალური ნალექი) უფრო დაჩქარდა, ვიდრე მეცნიერები ვარაუდობდნენ. სინამდვილეში, კლიმატის ცვლილების მათვრობათაშორისი პანელის განცხადებით, თანამედროვე ადამიანებს აქამდე არასდროს უნახავთ მსგავსი კლიმატური ცვლილებები და ზოგიერთი ეს ცვლილება შეუქცევადია მომდევნო ასწლეულიდან ათასწლეულის განმავლობაში.

მეცნიერთა ვარაუდით, ძირითადად, ადამიანის საქმიანობის შედეგად, ატმოსფეროში გაფრქვეული სათბურის აირების გავლენით, საშუალო გლობალური ტემპერატურა მრავალი ათწლეულის განმავლობაში მოიმატებს.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის 2021 წელს გამოქვეყნებული მეექვსე შეფასებითი ანგარიშის თანახმად, სათბურის აირების გავლენით, წინა ინდუსტრიულ პერიოდთან შედარებით (1750 წლამდე), უკვე მოიმატა საშუალო გლობალურმა ტემპერატურამ 1.1^0 C-ით. მოსალოდნელია, რომ მატება 15^0 C-იან ნიშნულს რამდენიმე ათწლეულში გადალახავს. ეს ფაქტი კი გავლენას მოახდენს მსოფლიოს ყველა რეგიონზე.

Don't copy

კლიმატის ცვლილების შერბილება

წყარო: https://www.thegef.org/

მსოფლიოში დღეს, დაახლოებით, 1.4 მილიარდი ადამიანი მოიხმარს ტრადიციულ საწვავს – ქვანახშირსა და ხეს, რათა დაიკმაყოფილოს თავისი ძირითადი ენერგეტიკული საჭიროებები. გარდა იმისა, რომ ეს ფაქტი საზიანოა გარემოსთვის, მას ასევე შეუძლია, მილიონობით ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვებისა და ქალების ნაადრევი სიკვდილის მიზეზიც გახდეს. ივარაუდება, რომ 2035 წლისთვის დღეს არსებულთან შედარებით ენერგორესურსების მოხმარება გაიზრდება დაახ. 50%-ით, ზრდის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი იქნება დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში. ყველა ამ მომხმარებელს სჭირდება სუფთა ენერგია, რომელიც არ დააზარალებს გარემოს.

კლიმატის ცვლილების შერბილება გულისხმობს სათბურის აირების გამოყოფის შემცირებას. შერბილების სტრატეგიები მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- შენობების რეკონსტრუქციას, რათა ისინი უფრო ენერგოეფექტური გახდეს;
- განახლებადი ენერგიის გამომუშავებას, როგორიცაა მზე, ქარი და მცირე ჰიდროენერგია;
- ქალაქებში უფრო მდგრადი სატრანსპორტო სექტორის განვითარებას, როგორიცაა ავტობუსების ქსელი, ელექტრომანქანები და ბიოსაწვავი;
- მიწისა და ტყეების უფრო მდგრადი გამოყენების ხელშეწყობას.

კლიმატის ცვლილების შერბილებისკენ გადადგმული ღონისძიებები კარგი საშუალებაა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის.

კლიმატის ცვლილების შერბილება და მდგრადი განვითარების მიზნები

ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების სააგენტო
15.06.2021

წყარო: https://www.pbl.nl/

მსოფლიოს ყველა რეგიონში კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის გატარებულ ღონისძიებებსა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის მეტი სინერგიაა (შერბილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივად მიღწევა), ვიდრე – კომპრომისი (შერბილების სასარგებლოდ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შეფერხება). თუმცა, სინერგიაცა და კომპრომისის რისკიც განსხვავდება რეგიონებისა და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით. ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა და ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში გატარებული ზომები მცირე კომპრომისს მოითხოვს. სუბსაჰარულ აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიღებული ზომების უმეტესობამ შეიძლება შეაფერხოს სიღარიბის შემცირების, შიმშილის დაძლევისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნების შესრულება, თუ შერბილების ღონისძიებების გატარებისას ღარიბებს საკვებისა და ენერგიის ფასების ზრდისგან არ დააზღვევენ.

Don't copy

ჩრდილოეთი ამერიკა

(კანადა, აშშ, მექსიკა)



ცხრილი 1. შენიშვნა: მე-8 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: ღირსეული სამუშაო ყველას (მარცხენა სვეტი), მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველას ჩართულობით (მარჯვენა სვეტი); მე-15 მიზანი გაყოფილია ორად: ტყეების მდგრადი მართვა (მარცხენა სვეტი), ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება (მარჯვენა სვეტი).

Don't copy

ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა

ცხრილი 2. შენიშვნა: მე-8 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: ღირსეული სამუშაო ყველას (მარცხენა სვეტი), მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველას ჩართულობით (მარჯვენა სვეტი); მე-17 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: გლობალური პარტნიორობის ფორმირება (მარცხენა სვეტი), გაძლიერებული განხორციელების საშუალებები (მარჯვენა სვეტი).

Don't copy



ცხრილი 3. შენიშვნა: მე-8 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: ღირსეული სამუშაო ყველას (მარცხენა სვეტი), მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველას ჩართულობით (მარჯვენა სვეტი); მე-15 მიზანი გაყოფილია ორად: ტყეების მდგრადი მართვა (მარცხენა სვეტი), ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება (მარჯვენა სვეტი); მე-17 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: გლობალური პარტნიორობის ფორმირება (მარცხენა სვეტი), გაძლიერებული განხორციელების საშუალებები (მარჯვენა სვეტი).

Don't copy

ჩრდილოეთი აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი

	1	3	6	7	8	9	10	11	12	14	15	17
	1	3	6	7	8	9	10	11	12	14	15	17
განახლებადი ენერგიის წილის ზრდა												
საწვავის ეფექტურობის გაუმჯობესება ახალ სამგზავრო მანქანებში												
ახალი მანქანების გაყიდვა												
ავიაციაში ენერგოეფექტურობის შემცირება												

- კკომპრომისის რისკები აღემატება სინერგიას.
- სინეგრია კომპრომისის რისკებზეა დამოკიდებული.
- სინერგია აღემატება კომპრომისის რისკს.
- კონტექსტზე სინერგია ძლიერ აღემატება კომპრომისის რისკს.

ცხრილი 4. შენიშვნა: მე-17 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: გლობალური პარტნიორობის ფორმირება (მარცხენა სვეტი), გაძლიერებული განხორციელების საშუალებები (მარჯვენა სვეტი).

Don't copy



ცხრილი 5. შენიშვნა: მე-8 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: ღირსეული სამუშაო ყველას (მარცხენა სვეტი), მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველას ჩართულობით (მარჯვენა სვეტი); მე-17 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: გლობალური პარტნიორობის ფორმირება (მარცხენა სვეტი), გაძლიერებული განხორციელების საშუალებები (მარჯვენა სვეტი).

Don't copy

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია



ცხრილი 6. შენიშვნა: მე-8 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: ღირსეული სამუშაო ყველას (მარცხენა სვეტი), მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველას ჩართულობით (მარჯვენა სვეტი); მე-15 მიზანი გაყოფილია ორად: ტყეების მდგრადი მართვა (მარცხენა სვეტი), ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება (მარჯვენა სვეტი); მე-17 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: გლობალური პარტნიორობის ფორმირება (მარცხენა სვეტი), გაძლიერებული განხორციელების საშუალებები (მარჯვენა სვეტი).

Don't copy



ცხრილი 7. შენიშვნა: მე-8 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: ღირსეული სამუშაო ყველას (მარცხენა სვეტი), მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველას ჩართულობით (მარჯვენა სვეტი); მე-15 მიზანი გაყოფილია ორად: ტყეების მდგრადი მართვა (მარცხენა სვეტი), ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება (მარჯვენა სვეტი); მე-17 მიზანი გაყოფილია ორ ნაწილად: გლობალური პარტნიორობის ფორმირება (მარცხენა სვეტი), გაძლიერებული განხორციელების საშუალებები (მარჯვენა სვეტი).

Don't copy

კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები

სვოტ-ანალიზი

პირველი კომპლექსური დავალება **სვოტ-ანალიზის მომზადება თემაზე – შერბილების ღონისძიებები მსოფლიოში**			
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	გეოგრაფიული გარსი	მოსახლეობა და მეურნეობა	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები**
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ** • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ** • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.

Don't copy

<table>
<tr><td>აბსტრაქტული დონე
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.</td><td colspan="3">მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები. იგი ახერხებს, შეაფასოს ის საფრთხეები, რომლებსაც კლიმატის გლობალური ცვლილება განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა გავლენა მოახდინა უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ მსოფლიოში ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე. მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხი. იგი ახერხებს, შეაფასოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა კავშირია ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის. მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს, თუ როგორ იმოქმედებს მსოფლიოს სახელმწიფოთა მოსახლეობის კეთილდღეობაზე, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება. იგი ახერხებს, შეაფასოს შერბილების პოლიტიკასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის არსებული სინერგია. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან გამკლავების სტრატეგიები.</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე
მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები. იგი ახერხებს, ახსნას ის საფრთხეები, რომლებსაც კლიმატის გლობალური ცვლილება განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. მას შეუძლია, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ მსოფლიოში ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხი. იგი ახერხებს, გააანალიზოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს. მას შეუძლია, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს, თუ როგორ იმოქმედებს მსოფლიოს სახელმწიფოთა მოსახლეობის კეთილდღეობაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება. იგი ახერხებს, გააანალიზოს შერბილების პოლიტიკასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის არსებული სინერგია. მას შეუძლია, ახსნას კლიმატის გლობალურ ცვლილებათან გამკლავების სტრატეგიები.</td></tr>
</table>

Do not copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები. იგი ახერ-ხებს, ჩამოთვალოს ის საფრთხეები, რომლებსაც კლიმატის გლობალური ცვლილება განაპირობებს, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება ბიომრავალფეროვ-ნების შენარჩუნების საკითხთან. მას უჭირს, დაინახოს ურთიერთ-მიმართება ადამიანის საქმიანობასა და კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად მსოფლიოში ბუნებრივი გარემოს ცვლილებას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხი. იგი ახერხებს, ჩამოვალოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს. მას უჭირს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესი და მდგრადი განვითარების მიზნები, მაგრამ უჭირს მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის გაანალიზება. იგი ახერხებს, ახსნას შერბილების პოლიტიკის რაობა და მნიშვნელობა. მას შეუძლია, ჩამოთვალოს კლიმატის გლობალურ ცვლილებათან გამკლავების სტრატეგიები.

Don't copy

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება. იგი ახერხებს, დაასახელოს ის საფრთხეები, რომლებსაც კლიმატის გლობალური ცვლილება განაპირობებს, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხთან. იგი ვერ ახერხებს, დაინახოს ურთიერთ-მიმართება ადამიანის საქმიანობასა და კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად მსოფლიოში ბუნებრივი გარემოს ცვლილებას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხის იდენტიფიცირება, მაგრამ უჭირს მისი ახსნა და გაანალიზება. იგი ახერხებს, ჩამოთვალოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს, მაგრამ უჭირს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესის იდენტიფიცირება, მაგრამ ვერ ახერხებს მის დაკავშირებას მდგრადი განვითარების მიზნებთან. იგი ახერხებს, განსაზღვროს შერბილების პოლიტიკის რაობა, მაგრამ უჭირს აღწეროს მისი მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება სვოტ-ანალიზის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.		

Don't copy

2. კლიმატის გლობალური ცვლილება (ალტერნატიული მატრიცა)

კლასი: XI **თემის სახელწოდება:** კლიმატის გლობალური ცვლილება **საათების სავარაუდო რაოდენობა** (განსაზღვრავს მასწავლებელი) **ძირითადი რესურსი:** სახელმძღვანელო			
სამიზნე ცნება	**საკითხი 1** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროზე	**საკითხი 2** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ნიადაგზე	**საკითხი 3** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე
გეოგრაფიული გარსი	**ქვესაკითხი:** გაძლიერებული სათბურის ეფექტის გამომწვევი მიზეზები; **ქვეცნება:** • ატმოსფერო; • ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ქიმიური შემადგენლობა. **ქვესაკითხი:** მყინვარების დნობის ინტენსივობის ზრდა ტროპიკული მყინვარების მაგალითზე. **ქვეცნება:** • კლიმატის გლობალური ცვლილება; • წყლის ბრუნვა; • ხმელეთის წყლები; • შელფური და მთის მყინვარი; • ტროპიკული მყინვარი.		**ქვესაკითხი:** დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები **ქვეცნება:** ბიომრავალფეროვნება

Don't copy

მოსახლეობა და მეურნეობა			**ქვესაკითხი:** ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება. **ქვეცნება:** • ელექტროენერგეტიკა; • განახლებადი რესურსების გამოყენება; • ხელოვნურად ფტორირებული აირების წარმოება.
მდგრადი განვითარება		**ქვესაკითხი:** მძიმე ლითონები ნიადაგში და მჟავური წვიმების გამომწვევი მიზეზები **ქვეცნება:** • სათბური აირი; • ნიადაგის დეგრადაცია; • ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება. **ქვესაკითხი:** ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებები **ქვეცნება:** • საერთაშორისო ორგანიზაცია; • ხმელეთის ეკოსისტემა; • მდგრადი მიწათმოქმედება; • კლიმატის მდგრადობის მიღწევა; • პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის.	**ქვესაკითხი:** კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და შერბილების ღონისძიებები **ქვეცნება:** • სუფთა ენერგიის წარმოება; • მწვანე ეკონომიკა
კომპლექსური დავალება	**კომპლექსური დავალება 1** მყინვარების დნობა კავკასიონზე (კომიქსის (საგაკვეთილო რესურსის) შექმნა)	**კომპლექსური დავალება 2** სოფლის მეურნეობა და ნიადაგის ეროზია საქართველოში (საინფორმაციო სიუჟეტის სცენარის შექმნა)	**კომპლექსური დავალება 3** შერბილების ღონისძიებები საქართველოში (სვოტ-ანალიზი)

Don't copy

რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებლად	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • ატმოსფერო – ციხესიმაგრიდან ზარხუფამდე; • საჰარა – ცვლილების ციკლურობა; • კლიმატის გლობალური ცვლილების შესწავლის ისტორია და სკეპტიკოსები; • ჩადის ტბის კრიზისი; • ტროპიკული მყინვარები და შეცვლილ გარემოსთან ადაპტაცია; • ოკეანის დონის მატება – სოლომონის კუნძულები, ლუიზიანა და ფლორიდა. **ტელესკოლა:** 1. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები / კლიმატის ცვლილება; 2. როგორ შევქმნათ კომიქსი; 3. რა მოხდება, თუ კავკასიონზე მყინვარები დადნება? 4. რას უქადის მყინვარების გაქრობა მსოფლიოს და საქართველოს? 5. გლობალური დათბობა – ემუქრება თუ არა კავკასიონის მყინვარებს დნობა; 6. კლიმატის ცვლილება კავკასიონის მყინვარებს საფრთხეს უქმნის; 7. საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი.	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • მიკროსამყარო პედოსფერო; • მძიმე ლითონები ნიადაგში და „მჟავური წვიმები“; • ნიადაგების დეგრადაცია და „მტვრის თასი“; • ნიადაგის დამლაშება და დაბიცობება – გლობალური გამოწვევა; • ნიდერლანდები – „მიწის შექმნა“. **ტელესკოლა:** 1. პედოსფეროს ეკოლოგიური პრობლემები; 2. მდგრადი განვითარება 3. მდგრადი განვითარების მიზნები; 4. როგორ შევქმნათ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი; 5. მჟავა წვიმები; 6. სოფლის მეურნეობა და კლიმატის ცვლილება; 7. კლიმატის ცვლილების მიზეზები და შედეგები | National Geographic; 8. მიწათსარგებლობისა და კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ნიადაგის წყლისმიერ ეროზიაზე; 9. საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი; 10. ნიადაგის დეგრადაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები; 11. ნიადაგის დეგრადაცია საქართველოში.	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • ცოცხალი პლანეტა; • ვინ გააჩერებს „გადაშენებისკენ მიმავალ ესკალატორს“? • ლიდერობა და პასუხისმგებლობა; • სუფთა ენერგია, მწვანე ეკონომიკა და შერბილება. **ტელესკოლა:** 1. მდგრადი განვითარების მიზნები; 2. ადამიანთა აქტივობები, რომლებიც ხელს უშლის ბიომრავალფეროვნებას; 3. რისი გაკეთება შეგვიძლია გლობალური მიზნების მისაღწევად; 4. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება; 5. კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის გავლენა შრომის ბაზარზე; 6. კლიმატის ცვლილების შედეგები; 7. კლიმატის ცვლილების შერბილება; 8. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარების მიზნები; 9. საქართველოს კლიმატის ცვლილების ოცდაათწლიანი სტრატეგია; 10. როგორ შევქმნათ ეფექტური სვოტ-ანალიზი.

Draft copy

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:
- წყლის ორთქლი სათბურის აირებს შორის რაოდენობრივად ყველაზე დიდი ეფექტის მქონეა, თუმცა ნახშირორჟანგი ატმოსფეროში უფრო დიდხანს რჩება და უფრო გრძელ ინფრაწითელ ტალღებს შთანთქავს;
- კლიმატის გლობალური ცვლილება, გარდა შელფური მყინვარებისა, ზემოქმედებს ტროპიკული მყინვარების დნობაზეც.
- ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში იფრქვევა მძიმე ლითონები და ორგანიზმებისთვის მავნე აირები, რომლებიც საბოლოოდ ნიადაგში ხვდება;
- არასწორ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატების გამოწვევა შეუძლია;
- დედამიწაზე ჩამოყალიბებული პირობები საშუალებას იძლევა სიცოცხლის არსებობისთვის;
- კლიმატის გლობალური ცვლილება საფრთხეს უქმნის პლანეტის ბიომრავალფეროვნებას;
- ფტორირებული აირები ეკვივალენტ რაოდენობაში 25 ათასჯერ უფრო მეტი საფრთხის მომტანია, ვიდრე ნახშირორჟანგი;
- შერბილების ღონისძიებების შედეგად შესაძლებელია სასიკეთოდ გარდავქმნათ ჩვენი საცხოვრებელი გარემო და წვლილი შევიტანოთ კლიმატის გლობალური ცვლილების დარეგულირებაში.

I კომპლექსური დავალება

თემა – კლიმატის გლობალური ცვლილება
საკითხი – კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროზე

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: გაძლიერებული სათბურის ეფექტის გამომწვევი მიზეზები; დნობის ინტენსივობის ზრდა ტროპიკული მყინვარების მაგალითზე.

ქვეცნება: ატმოსფერო, ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ქიმიური შემადგენლობა, კლიმატის გლობალური ცვლილება, წყლის ბრუნვა, ხმელეთის წყლები, შელფური და მთის მყინვარი, ტროპიკული მყინვარი.

საკვანძო შეკითხვა:
- რატომ იწვევს ადამიანის მიერ სათბურის აირების ატმოსფეროში გატყორცნა კლიმატის გლობალურ ცვლილებას?
- რატომ დნება მყინვარები?

კომპლექსური დავალება:
მყინვარის დნობა კავკასიონზე (საგაკვეთილო რესურსის, კომიქსის შექმნა)
წარმოიდგინე, რომ გეოგრაფიის მასწავლებელმა გთხოვა, გაუწიო ასისტენტობა მე-5 კლასისთვის კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად კავკასიონზე მყინვარის დნობისა და გამოწვეული სხვა ცვლილებების ახსნის პროცესში. შენ უნდა შეისწავლო კონტექსტმაგალითი, გააანალიზო იგი და მასზე დაყრდნობით შექმნა **კომიქსი**, რომელშიც მოკლედ გადმოსცემ პრობლემის არსს და, გრაფიკული გამოსახულებების მეშვეობით, მოსწავლეებს გაუადვილებ საკითხის მნიშვნელობის აღქმას.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>**	**შეფასების კრიტერიუმი** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

Don't copy

გეოგრაფიული გარსი • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	• გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდ – როსფეროს, ბიოსფეროს, ნოოსფეროს, დედამიწის შინაგანი აგებულების) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად.	• რატომ დნება მყინვარები აღმოსავლეთ საქართველოში უფრო სწრაფად, ვიდრე – დასავლეთ საქართველოში; ***(გეოგრაფიული გარსი მ.წ.1)*** • რატომ და როგორ იმოქმედა უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეულმა კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ ბუნებრივი კატასტროფების რიცხვის ზრდაზე საქართველოში. ***(გეოგრაფიული გარსი მ.წ.2)***

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის კომიქსი?
- მაქვს თუ არა კომიქსზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა კომიქსი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო კომიქსის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტებისგან უნდა შედგებოდეს კომიქსი?
- ვისთვის უნდა შევქმნა კომიქსი?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: გაძლიერებული სათბურის ეფექტის გამომწვევი მიზეზები.

ქვეცნება: ატმოსფერო, ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ქიმიური შემადგენლობა.

ნაბიჯი 1

- რა არის ატმოსფერო, რა მნიშვნელობა აქვს მას და რა შრეებისგან შედგება იგი? **§ 1**
- რა არის „სათბურის ეფექტი“ და რატომ მიიჩნევა იგი დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთ განმაპირობებლად? **§ 1**
- რამ განაპირობა „გაძლიერებული სათბურის ეფექტის“ წარმოქმნა და რა შედეგები მოჰყვა მას? **§ 1**

ნაბიჯი 2

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: მყინვარების დნობის ინტენსივობის ზრდა ტროპიკული მყინვარების მაგალითზე

ქვეცნება: კლიმატის გლობალური ცვლილება, წყლის ბრუნვა, ხმელეთის წყლები, შელფური და მთის მყინვარი, ტროპიკული მყინვარი.

- რა შედეგები მოჰყვება გლობალურ საშუალო ტემპერატურის მატებას? **§ 1**
- რა არის კლიმატი და რა ახდენს გავლენას მის ჩამოყალიბებაზე? **§ 2**
- რაზე ახდენს გავლენას კლიმატის ცვლილება? **§ 2**
- რა ტიპის ბუნებრივი ციკლურობა ახასიათებს კლიმატს? **§ 2**
- როგორ შეგროვდა კლიმატის გლობალური ცვლილების შესახებ გეოგრაფიული ცოდნა? **§ 3**
- რას ეფუძნება კლიმატის გლობალური ცვლილებების სკეპტიკოსთა მოსაზრებები? **§ 3**
- რა არგუმენტები აქვთ სკეპტიკოსთა პასუხად მეცნიერებს? **§ 3**

Don't copy

- რა გავლენას ახდენს კლიმატის გლობალური ცვლილება წყლის რესურსების არსებობაზე? **§ 4**
- როგორ წარმოიქმნება მყინვარი? **§ 5**
- რა არის „ტროპიკული მყინვარი“? **§ 5**
- რა გეოგრაფიულმა კანონზომიერებამ ჩამოაყალიბა ტროპიკულ გარემოში მყინვარები? **§ 5**
- რა ურთიერთმიმართებაა მყინვარებსა და მტკნარი წყლის ოდენობასა და ხარისხს შორის? **§ 5**
- რა გავლენას ახდენს მყინვარების ფართობის შემცირებაზე კლიმატის გლობალური ცვლილება? **§ 5**
- რატომ დნება ტროპიკულ სარტყლებში 5400 მეტრზე დაბლა არსებული მყინვარები უფრო მაღლა მდებარე მყინვარებზე 2-ჯერ სწრაფად? **§ 5**
- რა კავშირია მეწყრის გააქტიურებასა და მთის მყინვარის დნობას შორის? **§ 5**
- რა სახის ზემოქმედებას მოახდენს ყინულის დნობა ლანდშაფტსა და ეკოსისტემაზე? **§ 5**
- რატომ არის საქართველოს ტერიტორია მოწყვლადი სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფების მიმართ? **კონტექსტმაგალითი**
- რომელ ბუნებრივ კატასტროფებს განაპირობებს მყინვარების აქტიურად დნობის პროცესი? **კონტექსტმაგალითი**
- რა ფაქტები ადასტურებს იმას, რომ მყინვარების რაოდენობა და ფართობები აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტადა შემცირებული, ვიდრე დასავლეთ საქართველოში? **კონტექსტმაგალითი**
- რა გავლენას ახდენს ჰავა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქრთველოში მყინვარების დნობის პროცესზე? **კონტექსტმაგალითი**
- რა ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის გლობალური ცვლილების შედეგად გახშირებულ ბუნებრივ კატასტროფებს? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი კომიქსი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად კომიქსია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

კონტექსტმაგალითი

„საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი“ – 2021 წელი

(ამონარიდი)

საქართველოში 12 მყინვარული აუზია, აქედან 6 დასავლეთ საქართველოშია, ხოლო 6 აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში მყინვარულ აუზებში მყინვართა რიცხვი 1950-იან წლებში, შედგენილი კატალოგის თანახმად, 409-ს შეადგენდა, ხოლო დაკავებული ფართი იყო 456.1 კმ^2. ამჟამად დასავლეთ საქართველოში თანამგზავრული

Don't copy

დისტანციური ზონდირების (თდზ) მონაცემებით, მყინვართა რაოდენობაა 323-ია, ანუ კატალოგით არსებულის 79%, ხოლო დაკავებული ფართია 331.2 კმ^2, ანუ კატალოგით არსებულის 72.6%. აღმოსავლეთ საქართველოში, მყინვარულ აუზებში მყინვართა რიცხვი, კატალოგის მონაცემებით, 132-ს შეადგენდა, ხოლო დაკავებული ფართი იყო 86.9 კმ^2. ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში, თდზ-ის მონაცემებით, 60 მყინვარია, კატალოგით არსებულის 45.5%, ხოლო დაკავებული ფართია 45.8 კმ^2, კატალოგით არსებულის 52.7%. ამგვარად, საქართველოს მყინვარებზე კლიმატის გლობალური ცვლილების ზემოქმედების შედეგად მდინარეთა აუზების მიხედვით მყინვარების რაოდენობა და ფართობები შემცირებულია, ამასთან აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტად, ვიდრე – დასავლეთ საქართველოში.

კლიმატის მიმდინარე ცვლილების შედეგად საქართველოს მყინვარების ცვლილების შესახებ შეიძლება შემდეგი შეფასებების ჩამოყალიბება, კერძოდ, მყინვარების დეგრადაციის პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში უფრო აქტიურია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, როგორც გამყინვარების აუზებისათვის, ასევე დიდი და მცირე მყინვარებისათვის. ეს შეიძლება აიხსნას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჰავაში განსხვავებით, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა კონტინენტურია, ხოლო დასავლეთ საქართველოს ჰავა ზღვიური ნოტიოა და ამიტომ გაცილებით ტენიანია.

საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია

(ამონარიდი)

საქართველო არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა და რთული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საგრძნობლად მოწყვლადია სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფების მიმართ.

საქართველოს რელიეფი, მეტეოროლოგიური პირობები და გარემოზე მაღალი ანთროპოგენული ზეწოლა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ისეთი ბუნებრივი კატასტროფების განვითარებისთვის, როგორებიცაა: ზვავი, მეწყერი, მდინარის მიერ ნაპირების გარეცხვა, წყალდიდობა, გვალვა, სეტყვა, ეროზია, ძლიერი ქარი, ბუნებრივი ხანძრები, მიწისძვრა და სხვა.

უკანასკნელი წლების მონაცემებით, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების რაოდენობა საშუალოდ 15%-ით, ხოლო სტიქიური გეოლოგიური მოვლენების რაოდენობა საშუალოდ 58%-ით არის გაზრდილი. შესაბამისად, სტიქიის მიერ გამოწვეული ზარალიც მომატებულია. არსებული მონაცემებით, სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით გამოწვეულმა ზარალმა, მხოლოდ 2015 წელს – 389 მილიონი ლარი შეადგინა.

მაღალი საშიშროების რისკის მქონე ღვარცოფების ტრანსფორმირებას ადგილი აქვს როგორც მყინვარების პულსაციური დინამიკის პროცესში და ყინულ და კლდეზვავების ჩამოზვავებით ე.წ. გლაციალური ღვარცოფების ტრანსფორმირების სახით, ასევე თავსხმა წვიმებისა და ზაფხულში ტემპერატურის ექსტრემალური მატების პროცესში ტრანზიტული ზონიდან მყარი მასების გამოტანით. ღვარცოფების ტრანსფორმაციის პროცესი არ ექვემდებარება ციკლურობის რეჟიმს.

Don't copy

ერთჯერადი ღვარცოფული ნაკადების მოცულობები მერყეობს დიდ დიაპაზონში – რამდენიმე ათასი $მ^3$-დან – 1-10 მილიონ $მ^3$-მდე. ღვარცოფული ნაკადების რეოლოგიური ბუნება უმეტესწილად მაღალი სიმკვრივის ქვატალახოვანი თვისებებით ხასიათდება. მდინარის კალაპოტის დიდი დახრილობის გამო, ღვარცოფული ნაკადების უმეტესი მასა ჩამოდის მდ. თერგის კალაპოტამდე, უმეტეს შემთხვევაში კეტავს მას და მდინარის გასწვრივ წარმოქმნის 300-1000 მ სიგრძის გამოზიდვის კონუსს.

პერიოდულად, ღვარცოფული პროცესებით, მთლიანად ან ნაწილობრივ ირეცხება ან მწყობრიდან გამოდის მოქმედების არეალში მოქცეული საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა,

სასაზღვრო გამშვები პუნქტი, ზონაში მოქმედი და მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების კომპლექსი, „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ საერთაშორისო დანიშნულების 700-1200 მმ-იანი დიამეტრიც მაგისტრალური გაზსადენები და მაღალი ძაბვის ანძები. ღვარცოფების ტრანსფორმაციას ხშირად თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი, ხოლო ეკონომიკური ზარალი ათეულობით მილიონი ლარით განისაზღვრება.

Don't copy

პირველი კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები
კომიქსი

პირველი კომპლექსური დავალება **კომიქსის შექმნა თემაზე მყინვარების დნობა კავკასიონზე**	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	გეოგრაფიული გარსი
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული კლიმატწარმომქმნელი ფაქტორების მნიშვნელობა. შეუძლია, ფაქტების ანალიზზე დაყრდნობით, გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, თუ რატომ დნება მყინვარები აღმოსავლეთ საქართველოში უფრო სწრაფად, ვიდრე – დასავლეთ საქართველოში. მოსწავლეს შეუძლია, ახსნას, რა სახის ზემოქმედებას მოახდენს ყინულის დნობა ლანდშაფტსა და ეკოსისტემაზე. შეუძლია, გააანალიზოს მყინვარების დნობის მიზეზები, განაზოგადოს პრობლემა და ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს კლიმატის გლობალური ცვლილება საქართველოს ბუნებრივი გარემოს ფორმირებაზე. მოსწავლეს შეუძლია, შეაფასოს ის ზიანი, რომელიც, ადამიანის საქმიანობის შედეგად, კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესს აჩქარებს. მოსწავლეს შეუძლია, ჩამოაყალიბოს თეორია იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს „სათბურის ეფექტი“ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობაში, რა განაპირობებს „გაძლიერებულ სათბურის ეფექტს“ და რით უკავშირდება ეს პროცესები მყინვარების დნობის პროცესებს.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს კლიმატწარმომქმნელი ფაქტორების მნიშვნელობა. შეუძლია, აღმოაჩინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მყინვარების დნობის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის. მოსწავლეს შეუძლია, დაინახოს ყინულის დნობას, ლანდშაფტსა და ეკოსისტემას შორის არსებული ურთიერთმიმართება. შეუძლია, გააანალიზოს კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა საქართველოს ბუნებრივი გარემოს ფორმირებაზე. მოსწავლეს შეუძლია, ახსნას და აღწეროს ის ზიანი, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესს აჩქარებს. მოსწავლეს შეუძლია, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს „სათბურის ეფექტი“ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობაში, რა განაპირობებს „გაძლიერებულ სათბურის ეფექტს“ და რით უკავშირდება ეს პროცესები მყინვარების დნობის პროცესებს.

Don't copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, აღწეროს კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები. შეუძლია, აღწეროს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მყინვარების დნობის პროცესი, მაგრამ უჭირს აღმოაჩინოს სხვაობა მათ წარმომქმნელ ფაქტორებს შორის. მოსწავლეს შეუძლია, განიხილოს ყინულის დნობის, ლანდშაფტისა და ეკოსისტემის ჩამოყალიბების პროცესები, მაგრამ უჭირს მათ შორის არსებული ურთიერთმიმართების დანახვა. შეუძლია აღწეროს კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესი, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება საქართველოს ბუნებრივი გარემოს ფორმირების პროცესთან. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ის ზიანი, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესს აჩქარებს. მოსწავლეს შეუძლია, აღწეროს „სათბურის ეფექტი“ და „გაძლიერებულ სათბურის ეფექტი“, თუმცა, უჭირს მისი დაკავშირება მყინვარების დნობის პროცესებთან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ აკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ კომიქსში ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია, განსაზღვროს კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები. შეუძლია, დაასახელოს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მყინვარების დნობის ფაქტი, მაგრამ უჭირს მისი აღწერა. ვერ ახერხებს მყინვარების დნობის მიზეზების ჩამოთვლას. შეუძლია, დაასახელოს კლიმატის გლობალური ცვლილების ფაქტი, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება საქართველოს ბუნებრივი გარემოს ფორმირების პროცესთან. მოსწავლეს შეუძლია, ადამიანის საქმიანობის შედეგად, კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესის აჩქარების იდენტიფიცირება. მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს „სათბურის ეფექტი“ და „გაძლიერებული სათბურის ეფექტი“, თუმცა, უჭირს მისი დაკავშირება მყინვარების დნობის პროცესებთან.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება კომიქსის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

Don't copy

II კომპლექსური დავალება

თემა – კლიმატის გლობალური ცვლილება
საკითხი – კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ნიადაგზე

ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: მძიმე ლითონები ნიადაგში და მჟავური წვიმების გამომწვევი მიზეზები, ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებები

ქვეცნება: სათბური აირი, ნიადაგის დეგრადაცია, ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება, საერთაშორისო ორგანიზაცია, ხმელეთის ეკოსისტემა, მდგრადი მიწათმოქმედება, კლიმატის მდგრადობის მიღწევა, პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის.

საკვანძო შეკითხვა:
- როგორ ხვდება ნიადაგში მძიმე ლითონები და როგორ ყალიბდება „მჟავური წვიმა“?
- როგორ ყალიბდება ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება?

კომპლექსური დავალება:
მიწათსარგებლობა და კლიმატის გლობალური ცვლილება (სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის შექმნა)

წარმოიდგინე, რომ ტელევიზიაში დაიწყე მუშაობა. გადაცემის მთავარმა რედაქტორმა გაცნობა, რომ სატელევიზიო სიუჟეტისთვის უნდა შექმნა სცენარი. შენ უნდა შეისწავლო კონტექსტმაგალითი საქართველოში წყლისმიერი, ქარისმიერი ეროზიებისა და მათთან დაკავშირებული დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, გააანალიზო იგი და მასზე დაყრდნობით შექმნა პროდუქტი, რომელსაც, მთავარი რედაქტორების დადებითად შეფასების შემთხვევაში, კვირის საინფორმაციო გადაცემისთვის სიუჟეტის შესაქმნელად გამოიყენებენ.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
მდგრადი განვითარება • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.	• ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• რა გავლენას მოახდენს კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ-სოციალურ პროცესებსა და მათ განვითარებაზე; **(მდგრადი განვითარება მ.წ.1)** • საქართველოს მომავალი თაობების საკეთილდღეოდ როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის წვლილი კლიმატის გლობალურ ცვლილებაში შემცირდეს; **(მდგრადი განვითარება მ.წ.2)**

Don't copy

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სატელევიზო სიუჟეტის სცენარი?
- მაქვს თუ არა სატელევიზო სიუჟეტის სცენარზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სატელევიზო სიუჟეტის სცენარი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სატელევიზო სიუჟეტის სცენარის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სატელევიზო სიუჟეტის სცენარში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სატელევიზო სიუჟეტის სცენარი?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ცნება: მდგრადი განვითარება

ქვესაკითხი:

მძიმე ლითონები ნიადაგში და მჟავური წვიმების გამომწვევი მიზეზები

ქვეცნება:

სათბური აირი, ნიადაგის დეგრადაცია, ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება.

ნაბიჯი 1

- რა არის ნიადაგიდან ნახშიროჟანგის (სათბური აირის) არასასურველი რაოდენობის განთავისუფლების მიზეზი და რა შედეგებამდე მივყავართ მას? **§ 7**
- რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ ნიადაგის დეგრადაციის პროცესს? **§ 7**
- რა ეკოლოგიური პრობლემები განაპირობა ინდუსტრიულმა რევოლუციამ? **§ 8**
- რატომ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე მძიმე ლითონებით ნიადაგის დაბინძურება? **§ 8**
- რა არის „მჟავური წვიმების“ გამომწვევი მიზეზი? **§ 8**
- რა გლობალურ პროცესებს განაპირობებს „მჟავური წვიმების“ არსებობა? **§ 8**
- რა ახდენს გავლენას დეგრადირებული ნიადაგის ფორმირებაზე და როგორ უკავშირდება ეს პროცესები გარემოს გლობალურ ცვლილებას? **§ 9**
- რატომ უწყობს ხელს მიწის უკონტროლო ათვისება ნიადაგების დეგრადაციას? **§ 9**
- რატომ ითვლება მსოფლიო გლობალურ პრობლემად ნიადაგის მეორადი დაბიცობებისა და დამლაშების პროცესი? **§ 10**
- როგორ შეიძლება ნიადაგის გადაჭარბებულმა მორწყვამ დააზიანოს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უვარგისი გახადოს ნიადაგი? **§ 10**
- რა არის ნიადაგის ეროზიის ძირითადი მიზეზი საქართველოში და რა გავლენას ახდენს ეს პროცესები კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე? **კონტექსტმაგალითი**
- რა არის საქართველოში წყლისმიერი ეროზიის ძირითადი მიზეზები? **კონტექსტმაგალითი**
- რა შედეგებს მოიტანს ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის ზრდა? **კონტექსტმაგალითი**
- რა გავლენას ახდენს კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესზე ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა? **კონტექსტმაგალითი**

ცნება: მდგრადი განვითარება

ქვესაკითხი:

ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებები

ქვეცნება:

საერთაშორისო ორგანიზაცია, ხმელეთის ეკოსისტემა, მდგრადი მიწათმოქმედება, კლიმატის მდგრადობის მიღწევა, პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის.

Don't copy

ნაბიჯი 2

- რა მიზნით შეიქმნა ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო კავშირი? **§ 7**
- რატომ გახდა მეტად აქტუალური ნიადაგმცოდნეობის როგორც ერთ-ერთი აუცილებელი გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება და ხელშეწყობა? **§ 7**
- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ შემცირდეს „მჟავური წვიმები“? **§ 8**
- რა ღონისძიებები შეიძლება ჩაატარდეს ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საწინააღმდეგოდ? **§ 8**
- როგორ გარდავქმნათ ჩვენი ეკონომიკური საქმიანობა და შევცვალოთ ცხოვრების სტილი ისე, რომ შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება? **§ 8**
- რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ მდგრადი წყლისა და ხმელეთის ეკოსისტემების მისაღწევად? **§ 8**
- რა არის ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი მიზეზები? **§ 9**
- როგორ ებრძვიან ნიადაგის დეგრადაციას? **§ 9**
- რა საფრთხეებს აგვაცილებს თავიდან მდგრადი მიწათმოქმედება? **§ 9**
- როგორ შეიძლება ავირიდოთ თავიდან ნიადაგის მეორადი დამლაშება და დაბიცობება? **§ 10**
- როგორ შეიძლება შევარბილოთ ნიადაგების დეგრადაცია ან ხელი შევუწყოთ ნიადაგის თვითაღდგენას? **§ 10**
- ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო დამუშავების შედეგად რა უნდა გაითვალისწინოს ფერმერმა, რათა არ მოხდეს მისი დეგრადაცია? **§ 10**
- რატომ შეუწყობს ხელს ნიადაგების მეორადი დამლაშებისა და დაბიცობების პრობლემის მოგვარებას მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მეორე, მეთორმეტე, მეთხუთმეტე და მეჩვიდმეტე მიზნების მიღწევა? რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ ეს მიზნები შესრულდეს? რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ ამ მიზნების მისაღწევად? **§ 10**
- რა ღონისძიებებს მიმართავენ საქართველოში ნიადაგის დეგრადაციის შერბილების მიზნით? **კონტექსტმაგალითი**
- საქართველოს მომავალი თაობების საკეთილდღეოდ როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის წვლილი კლიმატის გლობალურ ცვლილებაში შემცირდეს? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სატელევიზო სიუჟეტის სცენარი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სატელევიზო სიუჟეტის სცენარია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Don't copy

„საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი“ – 2021 წელი

(ამონარიდი)

საქართველოს ნიადაგები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქართველოში გავრცელებულია ნიადაგის შემდეგი ძირითადი ტიპები: მთა-მდელოს კორდიანი, მთა-მდელოს კორდიან-კარბონატული, მთა-მდელოს კორდიანი შავმიწები, მთა-მდელოს ტორფიანი და ლებიანი, მთის შავმიწისებრნი, მთის შავმიწა, მთა-ტყე მდელოს, ყომრალი ტიპიური, რენძინო ყომრალი, ყვითელი ყომრალი, ნეშომპალა კარბონატული, ყვითელმიწა, ყვითელმიწა-ეწერი, ყვითელმიწა-ეწერ ლებიანი, წითელმიწა ტიპიური, წითელმიწა გაეწერებული, წითელმიწა-ეწერ ლებიანი, მინერალურ ჭაობიანი და ლამიან ჭაობიანი, მდელოს ჭაობიანი, ყავისფერი და რენძინო ყავისფერი, რუხი ყავისფერი, გაჯიანი მდელოს რუხი ყავისფერი, ბარის შავმიწები, ბიცობი, ბიცის კომპლექსი, ალუვიური ნიადაგები.

საქართველოში ნიადაგის ეროზია წარმოადგენს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე ტყისა და ალპური ზონის მიწების დეგრადაციის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. წყლისმიერი ეროზია გავრცელებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ყველა ბუნებრივ-კლიმატურ ზონაში, დაწყებული ტენიანი სუბტროპიკული ზონიდან, მაღალმთიანი ალპური ზონის ჩათვლით. ქარისმიერი ეროზია გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, უმეტესად გარე კახეთსა და შირაქში.

წყლისმიერი ეროზია

წყლისმიერი ეროზია დიდი ინტენსიობით მიმდინარეობს და საშიშ მასშტაბებს იღებს საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული და მშრალი ზონების გორაკ-ბორცვიან და მთისწინა ნაწილში. დადგენილია, რომ 10-20^0 დაქანების ფერდობებიდან ზოგჯერ წელიწადში ჩამოირეცხება ჰექტარზე 200-300 ტონამდე ნიადაგი, წყალნაღარების სიღრმე ხშირად 0,5 მეტრს და უფრო მეტსაც აღწევს. გარკვეული პირობების არსებობისას ასეთი წყალნაღარები თანდათან ხრამებად და ხევებად გადაიქცევა.

აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, მცენარეულობით დაუფარავ ფერდობებზე წყლისმიერი ეროზია უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, რასაც განაპირობებს აქ გავრცელებული ნიადაგების ეროზიისადმი დაბალი მდგრადობა. ამ რეგიონში 6-12^0-ით დაქანებულ ფერდობებზე ინტენსიური წვიმების დროს ერთი ჰექტარიდან ყოველწლიურად ჩამოირეცხება 30-40 ტონა, ხოლო თავსხმა წვიმებისას 100-200 ტონამდე ნიადაგი.

Don't copy

კლიმატის ცვლილების სცენარის მიხედვით, შიდა ქართლსა და ზემო იმერეთში 2041-2070 და 2071-2100 წლებში მოსალოდნელია კლიმატის პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილება 1971-2000 წლების მიმართ.

შიდა ქართლში, ხაშურში 2071-2100 ოცდაათწლიან პერიოდში ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიური მნიშვნელობა 12.9^{0}C შეადგენს, რაც 1971-2000 წლების პერიოდის საშუალო ტემპერატურასთან შედარებით 2.8^{0}C-ით მაღალია. წლის თბილ პერიოდში კი (მაისი–სექტემბერი) მატება არის 3.2^{0}C. გორში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ხაშურთან შედარებით მცირედით მაღალია, შეადგენს 13.5^{0}C, მაგრამ ჰაერის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდთან შედარებით, როგორც საშუალო წლიური (2.7^{0}C), ისე წლის თბილი პერიოდის მაჩვენებელი (2.7^{0}C), ხაშურთან შედარებით ოდნავ ნაკლებია.

ხაშურში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2071-2100 წლებში შეადგენს 608 მმ-ს. აქ ნალექების წლიური რაოდენობა უმნიშვნელოდ, 3%-ით იკლებს, ზაფხულში ნალექის რაოდენობა 12%-ით მატულობს, ხოლო გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი შესაბამისად 11% და 10%-ით კლებულობს. გორში აღნიშნული პარამეტრის წლიური მნიშვნელობა იკლებს 7%-ით, ზაფხულში იმატებს 8%-ით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი იკლებს შესაბამისად 17% და 15%-ით.

ზემო იმერეთის ჩრდილოეთ ნაწილში – მთისწინებში (საჩხერე), 2071-2100 წლებში ნალექების წლიური რაოდენობის კლება 1971–2000 წლების საშუალოსთან შედარებით 17%-ს შეადგენს. შიდაწლიურ განაწილებაში ნალექების კლება შესაძლოა აღინიშნოს ყველა სეზონში, მათ შორის, ყველაზე მეტად, ზაფხულში (24%-ით) და შემოდგომაზე (19%-ით). შემოდგომით მოსალოდნელია ნალექების რაოდენობის 23%-ით მატება, რამაც შესაძლებელია გაზარდოს ეროზული პროცესების განვითარების ალბათობა. რეგიონის დასავლეთი ნაწილის მთისწინებში (ზესტაფონი), ნალექების საშუალო წლიური კლება მოსალოდნელია 12 %-ით. ნალექების რაოდენობა ასევე იკლებს წლის ყველა სეზონში, განსაკუთრებით, ეროზიულად საშიშ ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებში – 17%-ით. საშუალო წლიური ტემპერატურა იმატებს 3.1^{0}C-ით, ტემპერატურის მატებაა ყველა სეზონში (2.8^{0}C – 3,6^{0}C ფარგლებში).

ზოგადად, მომავალში (2071-2100 წლები) ნალექების მოსალოდნელი კლება ცალსახად არ ნიშნავს ეროზიული პროცესების გამოვლინების შემცირებას. კლიმატის პროგნოზირებული ცვლილების პირობებში მოსალოდნელია ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის ზრდა, რაც გამოიწვევს მის გამოშრობას, გაადვილებს ნიადაგის ნაწილაკების ახვეტას და გააძლიერებს მიწის ეროზიის პროცესებს.

როგორც წესი, მაღალი ტემპერატურები და მცირე ნალექები მშრალ რაიონებში ასევე იწვევს ორგანული ნივთიერებების მწირ წარმოქმნასა და სწრაფ ჟანგვას. ორგანული ნივთიერებების დაბალი შემცველობა განაპირობებს ცუდ აგრეგაციას და აგრეგირების დაბალ მდგრადობას, რაც თავის მხრივ მიზეზია წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის მაღალი პოტენციალის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში შიდა ქართლსა და ზემო იმერეთში კლიმატური ფაქტორის ზემოქმედება წყლისმიერ ეროზიაზე შეიძლება უმნიშვნელოდ გაიზარდოს. უფრო შესამჩნევი გავლენა შეიძლება იქონიონ სხვა

Don't copy

ფაქტორებმა (მცენარეულობის, ზედაპირის დაფარულობისა და მენეჯმენტის ფაქტორი და ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ფაქტორი), თუმცა ამის პროგნოზირება შეუძლებელია.

ქარისმიერი ეროზია

აღმოსავლეთ საქართველოში, ქარისმიერი ეროზიის გამოვლინების ზონაში (გარე კახეთი და შირაქი), 2100 წლისთვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, სავარაუდოდ, მოიმატებს გაზაფხულზე 3.5 გრადუსით, ზაფხულსა და შემოდგომაზე 4.0 გრადუსით, ხოლო ზამთარში – 3.4 გრადუსით.

ნალექების რაოდენობა და, შესაბამისად, ნიადაგის დატენიანება, ამცირებს ქარისმიერი ეროზიის გამოვლინების შესაძლებლობას. გარე კახეთსა და შირაქში ქარისმიერი ეროზიის პროცესები ვითარდება ზამთარსა და გაზაფხულზე. 2100 წლისთვის, გაზაფხულზე, ნალექების რაოდენობის შემცირება გარე კახეთსა და შირაქში ნავარაუდევია 36-39%-ით, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობაა (გარე კახეთში – 89 მმ, შირაქში – 77 მმ). ნალექების შემცირებას თან სდევს ნიადაგის, განსაკუთრებით, ზედა ფენის გამოშრობა. ნიადაგის მშრალი ზედაფენის ახვეტისა და ეროზირებისთვის შედარებით ნაკლები სიჩქარის ქარია საჭირო.

მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები

2018 წლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 19.6% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და მშპის დაახლოებით 7.8%-ს ქმნის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება წლების მიხედვით მზარდია. 2018 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მეცხოველეობაზე, მემცენარეობასა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურებაზე, შესაბამისად, 48.3%, 45.4% და 6.3% მოდის.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწებს ტერიტორიის დაახლოებით 43% უჭირავს, საიდანაც 377,400 ჰა სახნავი მიწაა, 109,600 ჰა – მრავალწლიანი ნარგავები, ხოლო 300,000 ჰა სათიბები და საძოვრები. საქსტატის 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, სასოფლო მეურნეობების 77.1% 1 ჰექტარამდე მიწას, 21.4% – 1 ჰექტარიდან 5 ჰექტარამდე, ხოლო 1.5%, 5 ჰექტარზე მეტ მიწას ფლობს. სასოფლო მეურნეობათა უმეტესი ნაწილი მცირემიწიანი მეურნეობებია.

საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა და წამოიწყო ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები/პროექტები, როგორებიცაა შეღავათიანი აგროკრედიტი, „დანერგე მომავალი“, „ახალგაზრდა მეწარმე“, აგრონარმოების ხელშეწყობის პროგრამა, აგროდაზღვევა და სხვ. აღნიშნული პროგრამების/პროექტების მთავარი მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა, თუმცა სოფლის მეურნეობაში მეტი პროგრამების/პროექტების განხორციელებას შესაძლოა, გაფრქვევების ზრდა მოჰყვეს.

Don't copy

საქართველოში სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის ბოლო ანგარიშის მიხედვით, სოფლის მეურნეობის სექტორში შემდეგი წყარო-კატეგორიები განიხილება: ნაწლავური (ენტერული) ფერმენტაცია, ნაკელის მართვა, პირდაპირი და არაპირდაპირი გაფრქვევები სასოფლო-სამეურნეო ნიადაგიდან და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დაწვა საველე პირობებში (ე.წ. მინდვრული წვა). ნაკელის მართვა მოიცავს მართვის ისეთი სისტემების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილ ყველა გაფრქვევას, როგორიცაა ანაერობული ტბორი, თხევადი სისტემა, ნაკელის მყარად შენახვა და საქონლის გამოსაკვები ბაგები. ცხოველური ნარჩენებით განპირობებული გაფრქვევები, რომლებიც საძოვრებზე მობალახე საქონლის მიერ გამოყოფილი ექსკრემენტებისაგან წარმოიქმნება, წარმოადგენს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა პირდაპირი და არაპირდაპირი გაფრქვევები სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებიდან.

საქართველოს კლიმატის სამოქმედო გეგმის (2020-2030 წწ.) თანახმად, 2030 წლისთვის, ბიზნესის ტრადიციული განვითარების (BAU) სცენარის მიხედვით, 2015 წელთან შედარებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მოსალოდნელია გაფრქვევების დაახლოებით 40%-ით ზრდა, საიდანაც 36.8% ნაწლავურ ფერმენტაციაზე, 47% – სასოფლო-სამეურნეო ნიადაგიდან გაფრქვევებზე (პირდაპირი და არაპირდაპირი გაფრქვევები), ხოლო 14.7% ნაკელის მართვაზე მოდის. სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებიდან გაფრქვევების ძირითადი წყაროებია საძოვრები, სინთეზური სასუქები (პირდაპირი გაფრქვევები სასოფლო-სამეურნეო ნიადაგიდან) და აზოტის გაჟონვა და ჩამონადენი (არაპირდაპირი გაფრქვევები სასოფლო-სამეურნეო ნიადაგიდან).

საქართველოს ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტის მიხედვით, 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობის სექტორიდან გაფრქვევების სამიზნე მაჩვენებელი არ არის განსაზღვრული.

სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ხედვაა მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა ფერმერების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და, ასევე, ქვეყანაში კომერციული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში წარმოდგენილია ისეთი მიმართულებები, რომლებიც დადებით გავლენას მოახდენს როგორც გარემოზე, ასევე კლიმატის შერბილებაზე: ფერმერთა ცოდნის ამაღლება, სარწყავი და დამშრობი სისტემების გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რაციონალური მართვა, ქარსაფარი ზოლების აღდგენა/გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ნიადაგის რეაბილიტაცია და სხვ.

Draft copy

მეორე კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალების შეფასების სქემები
სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი

პირველი კომპლექსური დავალება **სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის მომზადება თემაზე – სოფლის მეურნეობა და ნიადაგის ეროზია საქართველოში**	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საფრთხეები. იგი ახერხებს, შეაფასოს, ერთი მხრივ, რა სარგებელი მოაქვს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავებასა და მოხმარებას და, მეორე მხრივ, რა საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობას ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატება. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესზე. მას შეუძლია, წამოაყენოს თეორია იმის შესახებ, თუ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ საქართველოში როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაში შემცირდეს. მოსწავლეს შეუძლია, ღრმად და საფუძვლიანად იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საფრთხეები. იგი ახერხებს, ახსნას, ერთი მხრივ, რა სარგებელი მოაქვს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავებასა და მოხმარებას და, მეორე მხრივ, რა საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობას ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატება. მას შეუძლია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესს შორის ურთიერთმიმართების დანახვა. მას შეუძლია, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ საქართველოში როგორ უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეთოდები ისე, რომ სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე შემცირდეს. მოსწავლეს შეუძლია, დასვას და განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.

Don't copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები, მაგრამ უჭირს, გაიაზროს მისი მიმართება ატმოსფეროში მძიმე ლითონების გაფრქვევის საფრთხეებთან. იგი ახერხებს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავების სასარგებლო შედეგების ჩამოთვლას. იცის, რომ მას უარყოფითი შედეგებიც მოაქვს, მაგრამ ვერ ხსნის იმას, თუ რა განაპირობებს ნიადაგში ქლორისა და ნატრიუმის დონის მატებას. მას შეუძლია ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესის აღწერა, მაგრამ ვერ აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. იგი ვერ სახავს სტრატეგიებს იმისათვის, რომ საქართველოში მომავალი თაობების საკეთილდღეოდ სასოფლო-სამეურნეო სექტორის გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე შემცირდეს. მოსწავლეს უჭირს ახსნას, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სატელევიზიო სიუჟეტის სცენარში ჩანს, რომ მას შეუძლია, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის იდენტიფიცირება, თუმცა ეს ცოდნა არ არის სისტემური და უჭირს მისი დადებითი და უარყოფითი შედეგების აღწერა. იგი ახერხებს ნიადაგის სამეურნეო მიზნით დამუშავების სასარგებლო შედეგების დასახელებას. იცის, რომ მას უარყოფითი შედეგებიც მოაქვს, მაგრამ ვერ ახერხებს მათ დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას. მას შეუძლია ატმოსფეროში სათბური აირების გატყორცნის პროცესის ამოცნობა, მაგრამ ვერ აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. იგი ვერ ახერხებს მომავალი თაობების საკეთილდღეოდ სასოფლო-სამეურნეო სექტორის გავლენის აღწერას კლიმატის გლობალურ ცვლილების პროცესზე. მოსწავლეს უჭირს აღწეროს, თუ რატომ მიიჩნევა ნიადაგის დეგრადაცია გლობალურ პრობლემად.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება სატელევიზიო სიუჟეტის სცენარის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

Don't copy

III კომპლექსური დავალება

თემა – კლიმატის გლობალური ცვლილება
საკითხი – კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი
ქვესაკითხი: დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები
ქვეცნება: ბიომრავალფეროვნება

სამიზნე ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა
ქვესაკითხი: ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება.
ქვეცნება: ელექტროენერგეტიკა, განახლებადი რესურსების გამოყენება, ხელოვნურად ფტორირებული აირების წარმოება.

სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და შერბილების ღონისძიებები
ქვეცნება: სუფთა ენერგიის წარმოება, მწვანე ეკონომიკა.

საკვანძო შეკითხვა:
- რა ფაქტორებმა განსაზღვრა ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობა?
- რატომ ქმნის პრობლემას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის კლიმატის გლობალური ცვლილება?
- რატომ ქმნის საფრთხეს ფტორირებული აირების ატმოსფეროში გატყორცნა?
- კლიმატის გლობალური ცვლილების რეგულირებისთვის, რატომაა აუცილებელი შერბილებისკენ მიმართული ქმედებები?

კომპლექსური დავალება:
შერბილების ღონისძიებები საქართველოში (სვოტ-ანალიზის შექმნა)
წარმოიდგინე, რომ საქართველოში ბუნებისდამცველ ორგანიზაციას სურს, გაარკვიოს, თუ რა გავლენას მოახდენს შერბილების ღონისძიებები ადგილობრივ ეკოსისტემასა და მოსახლეობის ცხოვრების წესზე. ფართო კვლევის ფარგლებში, შენ დაგევალა, რომ, შეისწავლო კონტექსტმაგალითი საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის შესახებ, გააანალიზო იგი და, მასზე დაყრდნობით, შექმნა სვოტ-ანალიზი.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
გეოგრაფიული გარსი • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	• გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდ – როსფეროს, ბიოსფეროს, ნოოსფეროს, დედამიწის შინაგანი აგებულების) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	• რა გავლენა იქონია უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე „კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ“ საქართველოს ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე; • კლიმატის გლობალური ცვლილება როგორ შეცვლის საქართველოში ადამიანთა საქმიანობასა და ცხოვრების წესს;

Don't copy

მოსახლეობა და მეურნეობა • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურ-ნეობის სტრუქტურა, განაწი-ლება და განლაგება ცვალე-ბადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვი-თარების დონეზე აისახება. **მდგრადი განვითარება** • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზ-ნების შესრულება (სოციალუ-რი, ეკონომიკური, გარემოს-დაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაო-ბების კეთილდღეობისათვის.	• ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად; • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• როგორ მოახდენს გავლენას საქართველოს მიერ კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსა და მის განვითარებაზე; • როგორ იმოქმედებს საქართველოსა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მოსახლეობის კეთილდღეობაზე, საქართველოში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება.

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სვოტ-ანალიზი?
- გაქვს თუ არა სვოტ-ანალიზზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სვოტ-ანალიზი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სვოტ-ანალიზის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სვოტ-ანალიზში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სვოტ-ანალიზი?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი

ქვესაკითხი: დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

ქვეცნება: ბიომრავალფეროვნება

ნაბიჯი 1

- რა განაპირობებს დედამიწის ბიომრავალფეროვნებას? **§ 12**
- რა სარგებელი მოაქვს ბიომრავალფეროვნებას კაცობრიობისთვის? **§ 12**
- რატომ თვლის მეცნიერთა ნაწილი, რომ ვიმყოფებით მეექვსე „გადაშენების ეპოქაში“? **§ 12**
- რა არის მიზეზი ბიომრავალფეროვნების შემცირებისა და კარგვისა? **§ 13**

Don't copy

- რა მიზნით შეიქმნა „ბიომრავლფეროვნების კონვენცია“ და რა არის მისი სამოქმედო გეგმა? **§ 13**
- რატომ უჭირთ შეცვლილ გარემოში ორგანიზმებს ადაპტაცია? **§ 14**
- რა ადასტურებს იმას, რომ საქართველოში მნიშვნელოვნადაა გააქტიურებული კლიმატის ცვლილების პროცესი? **კონტექსტმაგალითი**
- რა გავლენა იქონია უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე „კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ“ საქართველოს ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე? **კონტექსტმაგალითი**

ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა
ქვესაკითხი: მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოების მიერ ადაპტაციისა და მიტიგაციისთვის დაგეგმილი ღონისძიებები. ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება.
ქვეცნება: ელექტროენერგეტიკა, განახლებადი რესურსების გამოყენება, ნახშირორჟანგის ემისია, ხელოვნურად ფტორირებული აირების წარმოება, ინდუსტრიალიზაცია.

ნაბიჯი 2
- რა მიზნით გამოიყენეს და რატომაა მავნე ხელოვნურად ფტორირებული აირები? **§ 15**
- რა კავშირია ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის? **§ 15**
- რას ფიქრობ, რა კავშირია ჩვენს კვებით რაციონსა და ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევას შორის? **§ 15**
- რატომ ამცირებენ ელექტროენერგეტიკაში ქვანახშირის გამოყენებას? **§ 15**
- როგორ მოქმედებს კლიმატის გლობალური ცვლილება საქართველოს ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემაზე? **კონტექსტმაგალითი**
- რა დასკვნა შეიძლენა გამოვიტანოთ სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, რა უარყოფითი გავლენა მოახდინა კლიმატის ცვლილებამ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე? **კონტექსტმაგალითი**
- კლიმატის გლობალური ცვლილება როგორ შეცვლის საქართველოში ადამიანთა საქმიანობასა და ცხოვრების წესს? **კონტექსტმაგალითი**

ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და შერბილების ღონისძიებები
ქვეცნება: სუფთა ენერგიის წარმოება, მწვანე ეკონომიკა.

ნაბიჯი 3
- კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან გამკლავების რა გზები არსებობს? **§ 13**
- კაცობრიობისთვის რა საკეთილდღეო შედეგები მოჰყვება „ბუნების მსოფლიო ფონდის“ (WWF) არსებობას? **§ 13**
- რა წვლილის შეტანა შეუძლია მოქალაქეს ბიომრავალფეროვნების კარგვის პროცესის შეჩერებაში? **§ 13**
- რატომაა მნიშვნელოვანი გლობალური პარტნიორობა ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერების პროცესში? **§ 13**
- რატომ შეუწყობს ხელს ბიომრავალფეროვნების კარგვის პროცესის შენელებასა და შეჩერებას მდგრადი განვითარების პრინციპების ცხოვრებაში გატარება? **§ 13**
- რატომ და როგორ უწყობს ხელს ტექნოლოგიების განვითარებას კლიმატის გლობალური ცვლილებების დარეგულირებისთვის მიმართული ღონისძიებები? **§ 15**

Don't copy

- უწყობს თუ არა მეცნიერების განვითარების სწრაფ ტემპს ხელს კაცობრიობის წინაშე კლიმატის ცვლილების გამო მდგარი გლობალური ამოცანა? **§ 15**
- რას ნიშნავს „მწვანე ეკონომიკა“? **§ 16**
- რა როლი აქვს მწვანე ეკონომიკაში კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებას? **§ 16**
- როგორ შეუწყობს ხელს სუფთა ენერგიის გამომუშავება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას? **§ 16**
- რატომ შეუწყობს ხელს „მწვანე ენერგეტიკაზე“ გადასასვლელად „საერთაშორისო ენერგეტიკული ორგანიზაციის“ მიერ გაცემული რეკომენდაციები მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას? **§ 16**
- რატომაა მნიშვნელოვანი მწვანე ენერგეტიკაზე გადასვლამდე ადგილობრივთა კულტურული წეს-ჩვეულებების შესწავლა? **§ 16**
- რატომაა მნიშვნელოვანი, სუფთა ენერგიით მიღებული სარგებელი თანაბრად გადანაწილდეს მთელ მოსახლეობაზე? **§ 16**
- ზოგიერთი თვლის, რომ XX საუკუნის განმსაზღვრელი ნიშანი ორი მსოფლიო ომი და სწრაფი ინდუსტრიალიზაცია იყო. რა იქნება ჩვენი საუკუნის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი? **§ 16**
- რატომ უწყობს ხელს „მწვანე ეკონომიკა“ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას? **§ 16**
- რატომ იმოქმედებს დადებითად ადაპტაციასა და მიტიგაციაზე საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის შესრულება? **კონტექსტმაგალითი**
- რატომ შეუწყობს ხელს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან სხვადასხვა მიზნის შესრულებას საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის საადაპტაციო და სამიტიგაციო ღონისძიებები? **კონტექსტმაგალითი**
- რა მიზნით შეუერთდა საქართველო გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას? **კონტექსტმაგალითი**
- როგორია საქართველოს კლიმატის ცვლილების შერბილების სახელმწიფო პოლიტიკა? **კონტექსტმაგალითი**
- როგორ მოახდენს გავლენას საქართველოს მიერ, კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსა და მის განვითარებაზე როგორ შეუძლია მოქალაქეს წვლილი შეიტანოს საფრთხის შემცირების საქმეში? **კონტექსტმაგალითი**
- როგორ იმოქმედებს საქართველოსა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მოსახლეობის კეთილდღეობაზე, საქართველოში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სვოტ-ანალიზი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სვოტ-ანალიზია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Do not copy

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია

2021 წელი

(ამონარიდი)

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიხედვით, „ადამიანის გავლენა კლიმატურ სისტემაზე არის ნათელი და ამჟამინდელი ანთროპოგენური სათბურის აირები [ემისიები] არის ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით წარმოდგენილი“, ასევე, აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილება საგრძნობლად გაზრდის ამჟამინდელ რისკებს როგორც გარემოს, ასევე, ადამიანის სისტემებზე და კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული ზიანის ოდენობა დამოკიდებულია გლობალური საპასუხო მოქმედებების მოცულობასა და ხარისხზე (2014 წ.). შესაბამისად, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიხედვით, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი (სათბურის აირების შემამცირებელი) ღონისძიებები არის გადაუდებელი და აუცილებელი, რათა შეძლებისდაგვარად შეჩერდეს კლიმატის ცვლილების პროცესი და შემცირდეს არსებული რისკები როგორც გარემოზე, ისე საზოგადოებაზე (2018 წ.).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მნიშვნელოვნადაა გააქტიურებული კლიმატის ცვლილების პროცესი, რომლის უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი ვლინდება (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020 წ.). კერძოდ:

1986-2015 წლებში 1956-1985 წლებთან შედარებით, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა თითქმის ყველგან მომატებულია 1°C-მდე ფარგლებში, საშუალოდ ტერიტორიაზე ნაზრდი 0.5°C შეადგენს.

1986-2015 წლებში 1956-1985 წლებთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა, ძირითადად, გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაიონებში – შემცირებული. უფრო კონკრეტულად კი, დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში დაფიქსირდა ნალექიანობის ზრდა 5-15%-ს ფარგლებში, რომლის ზრდის ტენდენცია, როგორც ჩანს, განპირობებულია უხვნალექიანი შემთხვევების გახშირებით. დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე, ბოლო 30 წლის განმავლობაში აღინიშნა ნალექების შემცირებული ოდენობა 5-15%-ის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილში (განსაკუთრებით, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში), ნალექების ინდექსები მიუთითებს ნალექების შემცირებაზე უნალექო პერიოდების ხანგრძლივობის ზრდის გამო.

ფარდობითი ტენიანობა მთელ ტერიტორიაზე მომატებულია, ცვლილებები (-1%) – (5%) ფარგლებშია. ტენიანობის მატება ყველაზე მეტად გამოკვეთილია დასავლეთ საქართველოში ზამთრის თვეებში, რაც ექსტრემალურად ნოტიო დღეების გახშირებით უნდა იყოს განპირობებული (10-12 დღე/წელიწადში), ხოლო კლების ტენდენციებზე დაკვირვება ყველაზე ინტენსიურად ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში ხდება.

ქარის საშუალო სიჩქარე შემცირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, წლის ყველა სეზონზე დაახლოებით 1-2 მ/წმ-ით. აღსანიშნავია, რომ დაკვირვების შედეგად, ყველაზე ნიშვნადი კლება იმ რაიონებში (მთა საბუეთი, ფოთი) აღინიშნება, რომლებიც ქარის

Draft copy

ატლასში ქარის ენერგეტიკის განვითარებისთვის ყველაზე პერსპექტიულ ადგილებად ითვლება. ამავე დროს, საშუალო სიჩქარის შემცირების ფონზე, რიგ რაიონებში იზრდება ძლიერქარიან დღეთა რიცხვი, რაც განპირობებული უნდა იყოს ასეთი დღეების გახშირებით უპირატესად ბოლო 15-წლიან პერიოდში, რომელსაც ყველაზე გამოკვეთილი ხასიათი აქვს მტკვრის ხეობაში (გორი, თბილისი).

კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებზე. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში სიკვდილიანობის წამყვან მიზეზად რჩება გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. სასუნთქი სისტემის დაავადებები 2005 წელს სიკვდილიანობის მიზეზთა შორის მეორე ადგილზე იყო, ხოლო 2017 წელს მე-5 ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა, რიგი დაავადებები (ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული სინდრომი, ასთმა), რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან და მაღალ ემისიებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, მაინც რჩება სტაბილურად წამყვან პოზიციებზე. ინფექციური და პარაზიტული დაავადებების შემთხვევები 2008-2017 წლების პერიოდში გაორმაგდა. (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020 წ.).

სტრატეგიული მიზნები

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა („კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „კლიმატის სამოქმედო გეგმა“) წარმოადგენს კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით, ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების მიღწევის კოორდინირებული ძალისხმევის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმს.

კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2030 წლისთვის საქართველოში კლიმატის ცვლილების შესარბილებლად სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნების მიღწევის გზებს ადგენს. ეს მიზნები განსაზღვრულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმების მიმართ, „საქართველოს განახლებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტში. კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სათბურის აირების ემისიების შემცირების გრძელვადიან ხედვას 2030 წლისთვის და დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობებს. 2017 წელს, პარიზის შეთანხმების დამტკიცების შედეგად, საქართველო შეუერთდა შეთანხმების მონაწილე 191 ქვეყანას და განაცხადა მზაობა, რომ პარიზის შეთანხმების მიზნების მისაღწევად, საკუთარ წვლილს შეიტანდა, მათ შორის, გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის წინაინდუსტრიულ დონესთან შედარებით მაქსიმუმ 2^0C-მდე, საუკეთესო შემთხვევაში, 1.5^0C-მდე შეზღუდვაში. მიზანია ეროვნული სათბურის აირების ემისიების 35%-თ შემცირება 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით (მიწათსარგებლობა, ცვლილება მიწათსარგებლობასა და სატყეო მეურნეობის გარეშე), რაც გულისხმობს, რომ 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიები 29.25 მგტ CO_2 ეკვ.-ს არ უნდა აღემატებოდეს.

პარიზის შეთანხმებით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, სულ მცირე, 5 წელიწადში ერთხელ, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი

Don't copy

შეიმუშაოს. ასევე, საქართველოს მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ყოველი განახლებისას, შეძლებისდაგვარად აჩვენოს პროგრესი ემისიების შემცირების დასახულ მიზნებთან ან პოლიტიკასთან და ღონისძიებებთან მიმართებაში. ამასთან, ამ საუკუნის მეორე ნახევრისთვის სათბურის აირების ემისიებისა და მშთანთქმელების ბალანსის გათანაბრებისკენ ისწრაფოდეს. კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ეყრდნობა კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (2018 წ.) განმარტებას, რომელმაც კლიმატნეიტრალურობა განსაზღვრა, როგორც „ქვეყნის კონცეფცია, სადაც ადამიანთა აქტივობა არ ახდენს უარყოფით და არათანაბარ გავლენას კლიმატურ სისტემაზე" – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სათბურის აირების ანთროპოგენურ ემისიებს აბალანსებენ მათი მშთანთქმელები და სათბურის აირების ემისიების ბალანსი ნულის ტოლია.

საქართველოს კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სათბურის აირების შემცირების კონკრეტულ მიმართულებებსა და ნაბიჯებს განსაზღვრავს, რომლებიც საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას იმ მიმართულებით შეუწყობს ხელს, რომელიც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში ქვეყანას მის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და ეროვნული ამბიციების წარმატების გზაზე დააყენებს. ეს დოკუმენტი საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის კლიმატის ცვლილების შერბილების ნაწილის განხორციელების ერთგვარი ხედვა და სამოქმედო გეგმაა.

კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის შესაძლებლობის შესწავლისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, საქართველო ამზადებს ადაპტაციის ეროვნულ გეგმას განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის საფუძველზე.

კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კლიმატის ცვლილების შერბილების სახელმწიფო პოლიტიკას შემდეგ სექტორებში:

ენერგიის გენერაცია და გადაცემა

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვის განხორციელებისთვის, ენერგიის გენერაციისა და გადაცემის სექტორის მიზანია, 2030 წლისთვის, სათბურის აირების ემისიების, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზთან შედარებით, 15%-თ შემცირება. ამ მიზნის მიღწევა გათვალისწინებულია შემდეგი ამოცანების შესრულებით: განახლებადი ენერგიის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა; თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება; საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერგიის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:



Don't copy

ტრანსპორტი

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვის განხორციელებისთვის დადგენილია მიზანი – 2030 წლისთვის, ტრანსპორტის სექტორში სათბურის აირების ემისიების, საბაზისო დონესთან შედარებით, 15%-თ შემცირება. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ამოცანების შესრულებით: ავტოპარკში დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა; წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირებისა და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება; გადაადგილების არამოტორიზებული საშუალებებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წახალისება; ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:

შენობები

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში გაწერილი ხედვის განხორციელებისთვის იდენტიფიცირებული ერთ-ერთი მიზანი, შენობების სექტორში, კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით, დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარების ხელშეწყობაა. ეს მიზანი განხორციელდება შემდეგი ამოცანების საშუალებით: შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნა; მომხმარებლის ინფორმირებულობის ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე; საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება; წყლის გაცხელებისთვის მზის ენერგიისა და ენერგოეფექტური ღუმლების გამოყენების ხელშეწყობა; ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:





Don't copy

მრეწველობა

დაბალნახშირბადიანი მრეწველობის სექტორის განვითარების ხელშეწყობა კლიმატმეგობრული, გონივრული და ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების მხარდაჭერით, რათა საბაზისო სცენარში პროგნოზირებულ რაოდენობასთან შედარებით, ემისიების 5%-ანი შემცირება მიიღწეს, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში არსებული ხედვის განხორციელებისთვის იდენტიფიცირებულ მიზანს წარმოადგენს. ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი ამოცანების მეშვეობით: თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერგიის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიების დონის შემცირება; მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:



სოფლის მეურნეობა

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ხედვის განსახორციელებლად დადგენილი მიზანი დაბალნახშირბადიანი სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ხელშეწყობას კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით გულისხმობს. აღნიშნული მიზანი ხორციელდება შემდეგი ამოცანების მეშვეობით: ნიადაგისა და საძოვრების მდგრადი მართვა და შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების შემუშავებისთვის კვლევითი მტკიცებულებების შექმნის შესაძლებლობის განვითარება.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:

ნარჩენების მართვა

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ხედვის განხორციელებისთვის დადგენილი მიზანი მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების გაუმჯობესებით ნარჩენების მართვის სექტორის დაბალნახშირბადიანი

Don't copy

განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზანი განხორციელდება შემდეგი ამოცანების მეშვეობით: არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი სათბურის აირების ემისიების შემცირება; ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა; ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება; მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:

სატყეო მეურნეობა

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ხედვის განსახორციელებლად დადგენილი მიზანი, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, ტყეების მიერ ნახშირბადის შთანთქმის შესაძლებლობის 10%-თ გაზრდაა. აღნიშნული მიზანი განხორციელდება შემდეგი ამოცანების მეშვეობით: დეგრადირებული ტყის აღდგენა; ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:

Don't copy

მესამე კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები
სვოტ-ანალიზი

პირველი კომპლექსური დავალება **სვოტ-ანალიზის მომზადება თემაზე – შერბილების ღონისძიებები საქართველოში**			
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	გეოგრაფიული გარსი	მოსახლეობა და მეურნეობა	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ** • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ** • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.

Don't copy

<table>
<tr><td>აბსტრაქტული დონე

მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექ-სტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.</td><td colspan="3">მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები. იგი ახერხებს, შეაფასოს ის საფრთხეები, რომლებსაც კლიმატის გლობალური ცვლილება განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა გავლენა მოახდინა უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ საქართველოს ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე. მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხი. იგი ახერხებს, შეაფასოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა კავშირია ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის. მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს, თუ როგორ იმოქმედებს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება. იგი ახერხებს, შეაფასოს შერბილების პოლიტიკასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის არსებული სინერგია. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას კლიმატის გლობალურ ცვლილებათან გამკლავების სტრატეგიები.</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე

მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთ-მიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები. იგი ახერხებს, ახსნას ის საფრთხეები, რომლებსაც კლიმატის გლობალური ცვლილება განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. მას შეუძლია, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა უმეტესად ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ საქართველოს ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხი. იგი ახერხებს, გააანალიზოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს. მას შეუძლია, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის.</td><td>მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს, თუ როგორ იმოქმედებს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება. იგი ახერხებს, გააანალიზოს შერბილების პოლიტიკასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის არსებული სინერგია. მას შეუძლია, ახსნას კლიმატის გლობალურ ცვლილებათან გამკლავების სტრატეგიები.</td></tr>
</table>

Do not copy

მულტისტრუქ-ტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავში-რებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპირო-ბებელი ფაქტორები. იგი ახერხებს, ჩამოთვალოს ის საფრთხეები, რომლებსაც კლიმატის გლობალური ცვლილება განაპირობებს, მაგრამ უჭირს მისი დაკავ-შირება ბიომრავალფე-როვნების შენარჩუნების საკითხთან. მას უჭირს, დაინახოს ურთიერთ-მიმართება ადამიანის საქმიანობასა და კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად საქართველოს ბუნებრივი გარემოს ცვლი-ლებას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხი. იგი ახერხებს, ჩამოთვალოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს. მას უჭირს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირების გაფრქვევას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესი და მდგრადი განვითარების მიზნები, მაგრამ უჭირს მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის გაანალიზება. იგი ახერხებს, ახსნას შერბილების პოლიტიკის რაობა და მნიშვნელობა მას შეუძლია, ჩამოთვალოს, კლიმატის გლობალურ ცვლილებათან გამკლავების სტრატეგიები.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქ-ტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექ-მნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმაპი-რობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება. იგი ახერხებს, დაასახელოს ის საფრთხეები, რომ-ლებსაც კლიმატის გლო-ბალური ცვლილება განაპირობებს, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხ-თან. იგი ვერ ახერხებს, დაინახოს ურთიერ-თმიმართება ადამიანის საქმიანობასა და კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად საქართველოს ბუნებრივი გარემოს ცვლი-ლებას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების საკითხის იდენტი-ფიცირება, მაგრამ უჭირს მისი ახსნა და გაანალიზება. იგი ახერხებს, ჩამოვალოს ის საფრთხეები, რომლებსაც ფტორირებული აირების ატმოსფეროში გაფრქვევა განაპირობებს, მაგრამ უჭირს, დაინახოს მი-ზეზშედეგობრივი კავ-შირი ადამიანის ყოფა-ცხოვრების წესსა და ფტორირებული აირე-ბის გაფრქვევას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სვოტ-ანალიზში ჩანს, რომ მას შეუძლია, კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესის იდენტიფიცირება, მაგრამ ვერ ახერხებს მის დაკავშირებას მდგრადი განვითარების მიზნებთან. იგი ახერხებს, განსაზღვროს შერბილების პოლიტიკის რაობა, მაგრამ უჭირს აღწეროს მისი მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხ-თან დაკავშირებით არ აქვს რელევან-ტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება სვოტ-ანალიზის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.		

Do not copy

3. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები (მატრიცა)

კლასი: XI **თემის სახელწოდება:** გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები **საათების სავარაუდო რაოდენობა** (განსაზღვრავს მასწავლებელი) **ძირითადი რესურსი:** სახელმძღვანელო			
სამიზნე ცნება	**საკითხი1** პოლიტიკური რუკის ცვლილება	**საკითხი 2** საერთაშორისო წესრიგი და გამოწვევები	**საკითხი 3** გლობალიზაცია
გეოგრაფიული გარსი	**ქვესაკითხი:** ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენაზე **ქვეცნება:** • სახელმწიფო საზღვარი		
მოსახლეობა და მეურნეობა	**ქვესაკითხი:** ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი **ქვეცნება:** • უმუშევრობის დონე • საბაზრო ეკონომიკა • საკუთრების უფლება • რეფორმა		
მდგრადი განვითარება		**ქვესაკითხი:** ნულოვანი შიმშილი **ქვეცნება:** • კვებითი დაუცველობა; • სიღარიბის ინდექსი; • სასურსათო უსაფრთხოება; • „გლობალური ჩრდილოეთი“; • „გლობალური სამხრეთი“; • მშპ; • ჰუმანური განვი-თარების ინდექსი; • საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია.	**ქვესაკითხი:** კულტურული გლობალიზაცია **ქვეცნება:** • ანტიგლობალიზმი; • ალტერგლობალიზმი; • ვესტერნიზაცია; • გლოკალიზაცია; • კულტურა; • სუბკულტურა; • კონტრკულტურა.

Don't copy

კომპლექსური დავალება	**კომპლექსური დავალება 1** ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები – არგენტინასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ტერიტორიული დავა (რეფერატი)	**კომპლექსური დავალება 2** სიღარიბის აღმოფხვრა, 10 ნაბიჯი – ცენტრალური აზია (სამოქმედო გეგმა)	**კომპლექსური დავალება 3** ლოკალური ბრენდიდან გლობალურ ბრენდამდე – მსოფლიო (სარეკლამო პოსტერი)
რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებლად	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • დემოკრატია და ავტოკრატია; • „ხალხთა საპყრობილის“ ნგრევა; • 3 ოქტომბერი – ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი; • შოტლანდია და კატალონია; • „ჩრდილოეთის ტერიტორიები“ თუ „კურილიის კუნძულები“; • „ახალი სამყაროს ათვისება“ და „არავისი მიწა“; • ანტარქტიდა – მსოფლიო საკუთრება? **ტელესკოლა:** 1. მსოფლიო პოლიტიკური რუკა და მისი ცვლილებება; 2. კონფლიქტებისა და ტერორიზმის გეოგრაფია; 3. სუვერენიტეტი ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ – ფოლკლენდი 40 წლის შემდეგ; 4. ფოლკლენდის კუნძულების ეკონომიკა; 5. რეფერატის შესრულების სტანდარტი.	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • „ევროპის კონსტიტუცია“ და ევროსკეპტიციზმი; • ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნები და „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია“; • გლობალური ჩრდილოეთი და გლობალური სამხრეთი; • სიღარიბე და შიმშილი – გლობალური გამოწვევა. **ტელესკოლა:** 1. მდგრადი განვითარება; 2. მდგრადი განვითარების მიზნები; 3. ყველაფერი მდგრადი განვითარების შესახებ; 4. მდგრადი განვითარების მიზნები; 5. მსოფლიო ბანკი; 6. როგორ დავწეროთ სამოქმედო გეგმა.	**სახელმძღვანელოს პარაგრაფები:** • გლობალური წინააღმდეგობა – გლობალიზმი და ანტიგლობალიზმი; • კულტურული გლობალიზაცია და გლოკალიზაცია; **ტელესკოლა:** 1. გლობალიზაცია და გლობალიზაციის ინდექსი; 2. ეკონომიკური გლობალიზაცია; 3. ეთნომოზაიკა და კულტურული გლობალიზაცია; 4. სუბკულტურა; 5. რა არის ბრენდინგი და რატომ არის მნიშვნელოვანი? 6. პოსტერი, როგორც გამოხატვის ფორმა.

Don't copy

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები :

- დემოკრატია მიიჩნევა კარგი მმართველობის ფორმად, რომელიც საშუალებას იძლევა, ხალხმა არჩევნების გზით მართოს საკუთარი სახელმწიფო;
- სახელმწიფოთა გაერთიანება ან იმპერიათა დაშლა პოლიტიკურ რუკაზე რაოდენობრივ ცვლილებებს იწვევს;
- ტერიტორიული გაერთიანების მიუხედავად, რთულია განსხვავებული მართვის სტილის ეკონომიკების ჰარმონიზაცია და ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება;
- საზღვრების ურღვევობისა და თვითგამორკვევის პრინციპი სახელმწიფოთა შექმნის, ერთიანობისა და დაშლის საფუძველია;
- მე-2 მსოფლიო ომის შედეგები დღემდე გავლენას ახდენს ზოგიერთ სახელმწიფოთა ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობაზე;
- საერთო საფრთხეებისგან თავდასაცავად სახელმწიფოები კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციებს ქმნიან;
- შემოსავლებისა და განვითარების დონის მიხედვით განარჩევენ გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებს;
- შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა;
- გლობალური და ლოკალური ინტერესების გათვალისწინებით იქმნება გლოკალიზაციის პროცესი;
- ანტიგლობალიზმი, ძირითადად, ეკონომიკური გლობალიზაციისა და გლობალური თავისუფალი ბაზრის წინააღმდეგ მიმართულ მომძრაობას წარმოადგენს.

I კომპლექსური დავალება

თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
საკითხი – პოლიტიკური რუკის ცვლილება

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი
ქვესაკითხი: ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენაზე
ქვეცნება: სახელმწიფო საზღვარი

სამიზნე ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა
ქვესაკითხი: ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი
ქვეცნება: უმუშევრობის დონე, საბაზრო ეკონომიკა, საკუთრების უფლება, რეფორმა

საკვანძო შეკითხვა:

- რატომაა ტერიტორიულ გაერთიანებასთან შედარებით ქვეყანაში საზოგადოებრივი კონსოლიდაციის მიღწევა უფრო რთული?
- რატომ რჩება დღემდე გამოწვევად მე-2 მსოფლიო ომის შედეგებით გამოწვეული პრობლემები?

კომპლექსური დავალება:
ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები – არგენტინასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ტერიტორიული დავა (რეფერატი)

წარმოიდგინე, რომ სასკოლო კლუბის „ახალგაზრდა დემოკრატ ლიდერთა გაერთიანების“ წევრი ხარ. კლუბმა გადაწყვიტა, ჩაატაროს კონფერენცია მსოფლიოს წინაშე მდგარი სხვადასხვა ტიპის გამოწვევის შესახებ, ამისათვის კი უნდა დაწერო რეფერატი. საკითხები განაწილდა შემთხვევითობის პრონციპით. შენ უნდა შეისწავლო კონტექსტმაგალითი არგენტინასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების შესახებ ტერიტორიული დავის საკითხის შესახებ, გააანალიზო იგი და მასზე დაყრდნობით დაწერო რეფერატი.

Don't copy

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
გეოგრაფიული გარსი • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე. **მოსახლეობა და მეურნეობა** • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.	• გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდ – როსფეროს, ბიოსფეროს, ნოოსფეროს, დედამიწის შინაგანი აგებულების) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად; • ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	• რა გავლენა მოახდინა ფოლკლენდის კუნძულების მდებარეობამ და ბუნებრივმა გარემომ გაერთიანებულ სამეფოსა და არგენტინას შორის წარმოქმნილ დავაში; ***(გეოგრაფიული გარსი მ.წ.1.2)*** • როგორ ახდენს ბუნებრივი გეოგრაფიული გარემო და მდებარეობა გავლენას სადავო კუნძულების მაცხოვრებელთა ეკონომიკურ ყოფაზე; ***(მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ.1.)*** • რას აკეთებს ფოლკლენდის ომის შემდგომ დღემდე გაერთიანებული სამეფო, რომ უზრუნველყოს ფოლკლენდის კუნძულების მოსახლეობის უსაფრთხო და სტაბილური ეკონომიკური განვითარება. ***(მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ.2.3)***

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის რეფერატი?
- გაქვთ თუ არა რეფერატზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნათ რეფერატი და რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო რეფერატის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტებსგან უნდა შედგებოდეს რეფერატი?
- ვისთვის უნდა შევქმნა რეფერატი?

Draft copy

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი
ქვესაკითხი: ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენაზე
ქვეცნება: სახელმწიფო საზღვარი

ნაბიჯი 1

- რას გულისხმობს სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობის პრინციპი? **§ 20**
- რას გულისხმობს თვითგამორკვევის პრინციპი? **§ 20**
- რატომ უზრუნველყოფს სახელმწიფოთა სტაბილურობას საზღვრების ურღვევობის პრინციპი? **§ 20**
- რა კავშირია დემოკრატიასა და თვითგამორკვევის უფლების დაცულობას შორის სახელმწიფოთა საზღვრებს შიგნით? **§ 20**
- საზღვრების ურღვევობის პრინციპის უმთავრესობის მიუხედავად, რატომ ენიჭება ზოგჯერ რეგიონს ქვეყნიდან სრული გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უფლება? **§ 20**
- გამორიცხავს თუ არა ერთმანეთს საზღვრების ურღვევობისა და თვითგამორკვევის პრინციპები? **§ 20**
- როგორ ხდება პოლიტიკურ რუკაზე რაოდენობრივი ცვლილებები? **§ 18**
- რატომ მიიჩნევა დემოკრატია კარგი მმართველობის ფორმად? **§ 17**
- რა შემთხვევაში ტარდება რეფერენდუმი და პლებისტიცი? **§ 19**
- რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო სახელმწიფო ტერიტორიების დაყოფის პროცესზე? **§ 19**
- რა გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები „არავისი მიწების“ წარმოქმნაზე**? § 23**
- მომავალში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდა გააქტიურებს თუ არა ანტარქტიდის საკუთრების შესახებ დავას? **§ 24**
- რა გავლენა მოახდინა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გეოგრაფიულმა გარემომ და მდებარეობამ მის გარშემო წარმოქმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე? **კონტექსტმაგალითი**
- რატომ იქცა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები სადავო ტერიტორიად? **კონტექსტმაგალითი**
- რას ეფუძნება ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების სუვერენიტეტის საკითხი? **კონტექსტმაგალითი**

ნაბიჯი 2
სამიზნე ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა
ქვესაკითხი: ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი
ქვეცნება: უმუშევრობის დონე, საბაზრო ეკონომიკა, საკუთრების უფლება, რეფორმა

- როგორ უწყობს ხელს გაერო მსოფლიოში დემოკრატიულ განვითარებას? **§ 17**
- რატომაა ტერიტორიულ გაერთიანებასთან შედარებით ქვეყანაში საზოგადოებრივი კონსოლიდაციის მიღწევა უფრო რთული? **§ 19**
- რა გავლენას ახდენს მმართველობის ფორმა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე? **§ 17**
- რა ეკონომიკური გამოწვევების წინაშე შეიძლება დააყენოს ქვეყანა მმართველობის ფორმის ცვლილებამ? **§ 19**
- რას ეფუძნება ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების საბაზრო ეკონომიკა? **კონტექსტმაგალითი**
- რა სფეროებში არიან ძირითადად დასაქმებულნი ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების მცხოვრებნი? **კონტექსტმაგალითი**

Draft copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი რეფერატი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად რეფერატია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

კონტექსტმაგალითი

სუვერენიტეტი ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ: ფოლკლენდები 40 წლის შემდეგ
1 აგვისტო, 2022

(შემოკლებით)

წყარო: https://lordslibrary.parliament.uk/

ფოლკლენდის კუნძულები სამხრეთ ატლანტიკაში მდებარე არქიპელაგია. მოიცავს ორ მთავარ კუნძულს – აღმოსავლეთ და დასავლეთ ფოლკლენდს – და 778 პატარა კუნძულსა და კლდის შვერილს. კუნძულებზე, დაახლოებით, 3200 ადამიანი ცხოვრობს. გეოგრაფიულად კუნძულები განლაგებულია არგენტინის სამხრეთ სანაპიროდან 300 მილის დაშორებით, ხოლო გაერთიანებული სამეფოდან მანძილი 8000 მილია. ფოლკლენდები გაერთიანებული სამეფოს ზღვისიქითა ტერიტორიაა, თუმცა მასზე პრეტენზიას არგენტინა აცხადებს. არგენტინელები კუნძულებს მალვინის კუნძულების სახელით მოიხსენიებენ. კუნძულების შესახებ ორ სახელმწიფოს შორის დავა 1982 წლის აპრილში კონფლიქტში გადაიზარდა, როდესაც არგენტინა შეიჭრა ფოლკლენდის კუნძულებზე.

1. ფოლკლენდის ომი (1982 წლის აპრილი-ივნისი)

1982 წლის 2 აპრილს არგენტინის სამხედრო ხუნტა (სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების ხელში ჩაგდება), რომელიც მაშინ არგენტინას მართავდა, შეიჭრა ფოლკლენდის კუნძულებზე და კონტროლი დაამყარა დედაქალაქ „პორტ მორსბიზე“.

Don't copy

შეჭრის საპასუხოდ ბრიტანეთმა სამხედრო ფლოტი გაგზავნა, რომელმაც მაისში მიაღწია ფოლკლენდის კუნძულებზე. მათ მალევე ჩაძირეს არგენტინის მთავარი სამხედრო გემი. თავდაპირველი საზღვაო ბრძოლების შემდეგ, რომლებსაც ორმხრივი მსხვერპლი მოჰყვა, ბრიტანელი ჯარისკაცები გადავიდნენ ხმელეთზე და ბრძოლები გაუმართეს არგენტინის სამხედრო-შეიარაღებულ ძალებს. 1982 წლის 14 ივნისს აიღეს „პორტ სტენლი", ხოლო მომდევნო დღეს მათ 11 000 არგენტინელი ჯარისკაცი ჩაბარდა.

2. სუვერენიტეტის საკითხი (ისტორიული პრეტენზიები)

ფოლკლენდის კუნძულებზე ბრიტანეთის პრეტენზია სუვერენიტეტის ფლობის შესახებ ემყარება იმ არგუმენტს, რომ „1982 წლის ორთვიანი უკანონო ოკუპაციის გარდა", ბრიტანეთი 1833 წლიდან კუნძულებზე „უწყვეტად, მშვიდობიანად და ეფექტურად ცხოვრობდა და მართავდა". დაცულია თვითგამორკვევის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ბრიტანეთი ფოლკლენდის მსგავს ტერიტორიებს აძლევს უფლებას, თვითონ აირჩიონ საკუთარი მომავალი და სტატუსი.

არგენტინის მთავრობის პრეტენზია ეფუძნება ესპანეთის მფლობელობის (ტორდესილიასის ხელშეკრულება) ტიტულსა და ტერიტორიული უწყვეტობის კონცეფციას. ბრიტანეთი აცხადებს, რომ მფლობელობა არ არის მიღებული, როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი.

ფოლკლენდზე პირველი აღრიცხული გადასხდომა 1690 წელს ინგლისის საზღვაო ძალების კაპიტნის ჯონ სტრონგის მეთაურობით განხორციელდა. თუმცა, იმხანად ინგლისელებს მუდმივი დასახლება არ შეუქმნიათ. 1764 წელს აღმოსავლეთ ფოლკლენდის კუნძულზე ფრანგმა კოლონისტებმა დააარსეს დასახლება „პორტ ლუი". მომდევნო წელს (1765) ბრიტანულმა ექსპედიციამ მიაღწია დასავლეთ ფოლკლენდის კუნძულს და ყველა მეზობელი კუნძულის ჩათვლით, ბრიტანეთის გვირგვინის სახელით, ოფიციალურად დაისაკუთრა. 1766 წელს დაარსდა პირველი ბრიტანული დასახლება. იმავე წელს ფრანგებმა ესპანეთს მიჰყიდეს მათი დასახლება. ამ უკანასკნელებმა კი „პორტ ლუის" სახელი შეუცვალეს და „პუერტო დე ლა სოლედადი" უწოდეს.

1774 წელს ბრიტანული დასახლება დაცარიელდა, თუმცა კუნძულებზე ბრიტანეთის სუვერენიტეტი დარჩა. 1816 წელს არგენტინამ ესპანეთისგან გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ესპანეთის მემკვიდრე სახელმწიფოს უფლებით კუნძულები თავის საკუთრებად გამოაცხადა. 1820 წელს ბუენოს-აირესის სახელით პოლკოვნიკმა ჯევეტმა დაიკავა კუნძულები. ბრიტანეთს არასდროს უღიარებია არგენტინის საკუთრების უფლება. მან 1833 წელს სამხედრო ხომალდი გაგზავნა „სოლედადში" და არგენტინის სამხედრო გარნიზონი გააძევა ტერიტორიიდან.

Don't copy

3. სუვერენიტეტის შესახებ დებატების გაგრძელება

1946 წლიდან ფოლკლენდის კუნძულები „გაეროს“ არათვითმმართველი ტერიტორიების სიაშია (სიაშია ისეთი ტერიტორიები, რომელთა სუვერენიტეტის საკითხი სამომავლოდ უნდა გადაწყდეს). მისი დეკოლონიზაციის კომიტეტი (C-24) ფოლკლენდის კუნძულების საკითხს შეისწავლის 1964 წლიდან. კომიტეტის რეკომენდაციით, დღემდე გაეროს გენერალურ ასამბლეას მრავალი გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რომლებშიც წერია, რომ „მხარეებმა უნდა იპოვონ მშვიდობიანი“ გადაწყვეტა.

ფოლკლენდის კუნძულები ფართო თვითმმართველობის მქონე ბრიტანეთის ზღვისიქითა (საზღვარგარეთის) ტერიტორიაა, რომელიც ემორჩილება და აღიარებს ბრიტანეთის გვირგვინის უზენაესობას.

დღეს მოქმედი შეთანხმება ბრიტანეთის მთავრობისა და ფოლკლენდის კუნძულების მთავრობას შორის მოლაპარაკების გზით 2009 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს. შეთანხმება იცავს კუნძულების თვითგამორკვევის უფლებას. 2013 წელს ფოლკლენდის მთავრობის მიერ გამართულ რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 99.8 %-მა დიდი ბრიტანეთის საზღვარგარეთულ ტერიტორიად დარჩენის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი. 2021 წელს კუნძულების საპარლამენტო წარმომადგენლებმა დეკოლონიზაციის კომიტეტს გააცნეს კუნძულელთა ბრიტანეთის გვირგვინის ქვეშ დარჩენის ნება.

ფოლკლენდის კუნძულების ეკონომიკა
(შემოკლებით)

წყარო: https://www.countryreports.org/

ფოლკლენდის კუნძულების ეკონომიკა ადრე დაფუძნებული იყო სოფლის მეურნეობაზე, ძირითადად, მეცხვარეობაზე. ამჟამად თევზჭერა და ტურიზმი ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ნაწილს შეადგენს. 1987 წლიდან ადგილობრივმა მთავრობამ უცხოურ თევსაჭერ კომპანიებზე საქმიანობის ნებართვები გასცა. სწორედ ამიტომ ახლა ყოველწლიურად კუნძულებს 40 მილიონზე მეტი (აშშ დოლარი) შემოსავალი აქვთ. შემოსავალი ხელს უწყობს ჯანდაცვის, განათლებისა და კეთილდღეობის სხვა სისტემების დაფინანსებას.

ადგილობრივი რძის წარმოება შიდა ბაზრის უზრუნველყოფას ხმარდება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება კი ზამთრისთვის საჭირო მარაგს ავსებს. შემოსავალი მოაქვს ბრიტანეთში მაღალი ხარისხის მატყლის გატანა-გაყიდვასაც.

ბოლო დროს ეკონომიკურ საქმიანობაში იზრდება ეკოტურიზმის როლი. ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. დღეს, გარდა თავდაცვისა, ყველა სხვა საჭიროებას კუნძულები საკუთარი ფინანსებით უზრუნველყოფენ.

აქ მოქმედებს საკუთარი ფულის ერთეული ფოლკლენდის ფუნტი. შემოსავლის წყაროა საკუთარი საფოსტო მარკები და მონეტები.

Don't copy

პირველი კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები
რეფერატი

პირველი კომპლექსური დავალება **რეფერატის მომზადება თემაზე – ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები – არგენტინასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ტერიტორიული დავა**		
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	გეოგრაფიული გარსი	მოსახლეობა და მეურნეობა
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ** • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენის პროცესში. იგი ახერხებს, შეაფასოს ის მიზეზები, რომელთა გამოც ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები სადავო ტერიტორიად იქცა. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა გავლენა მოახდინა ფოლკლენდის კუნძულების მდებარეობამ და ბუნებრივმა გარემომ გაერთიანებულ სამეფოსა და არგენტინას შორის წარმოქმნილ დავაში. მას შეუძლია, გააანალიზოს ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოსა და მდებარეობის გავლენა სადავო კუნძულების მაცხოვრებელთა ეკონომიკურ ყოფაზე.	

Don't copy

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენის პროცესში. იგი ახერხებს, გააანალიზოს ის მიზეზები, რომელთა გამოც ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები სადავო ტერიტორიად იქცა. მას შეუძლია, დაინახოს ურთიერთმიმართება ფოლკლენდის კუნძულების მდებარეობასა და მასთან დაკავშირებულ დავას შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, გააანალიზოს ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოსა და მდებარეობის გავლენა სადავო კუნძულების მაცხოვრებელთა ეკონომიკურ ყოფაზე. იგი ახერხებს ახსნას, თუ რას ეფუძნება ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების საბაზრო ეკონომიკა; ჩამოთვალოს და გააანალიზოს რა სფეროებში არიან ძირითადად დასაქმებულნი ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების მცხოვრებნი და რა არის აღნიშნული სფეროების განვითარების მიზეზები. იგი ახერხებს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ბუნებრივ გარემოს, მოსახლეობის ცხოვრების წესსა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენის პროცესში. იგი ახერხებს, ჩამოთვალოს ის მიზეზები, რომელთა გამოც ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები სადავო ტერიტორიად იქცა. მას შეუძლია, აღწეროს ფოლკლენდის კუნძულების გეოგრაფიული გარემო და მდებარეობა, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება მასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავასთან.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოსა და მდებარეობის გავლენა სადავო კუნძულების მაცხოვრებელთა ეკონომიკურ ყოფაზე. იგი ახერხებს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების საბაზრო ეკონომიკის მახასიათებლების გამოყოფას; შეუძლია, ჩამოთვალოს ის სფეროები, რომლებშიც ძირითადად დასაქმებულნი არიან ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების მცხოვრებნი, მაგრამ უჭირს ახსნას, რა არის აღნიშნული სფეროების განვითარების მიზეზები. მას უჭირს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ბუნებრივ გარემოს, მოსახლეობის ცხოვრების წესსა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის.

Don't copy

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გეოგრაფიული გარემო მახასიათებლების იდენტიფიცირება, მაგრამ ვერ ახერხებს ამ საკითხის სხვა საკითხებთან დაკავშირებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, იგი ახერხებს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების საბაზრო ეკონომიკის მახასიათებლების იდენტიფიცირებას. შეუძლია, დაასახელოს ის სფეროები, რომლებშიც ძირითადად დასაქმებულნი არიან ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების მცხოვრებნი, მაგრამ ვერ ახერხებს, ახსნას, რა არის აღნიშნული სფეროების განვითარების მიზეზები. იგი ვერ ახერხებს, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბუნებრივ გარემოს, მოსახლეობის ცხოვრების წესსა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება სვოტ-ანალიზის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.	

II კომპლექსური დავალება

თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
საკითხი – საერთაშორისო წესრიგი და გამოწვევები

ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: ნულოვანი შიმშილი
ქვეცნება: კვებითი დაუცველობა, სიღარიბის ინდექსი, სასურსათო უსაფრთხოება, „გლობალური ჩრდილოეთი“, „გლობალური სამხრეთი“, მშპ, ჰუმანური განვითარების ინდექსი, საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია.

საკვანძო შეკითხვა:
- რა იგულისხმება სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრაში?
- რა ნიშნით გამოარჩევენ გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებს?
- რატომ ქმნიან სახელმწიფოები კოლექტიურ თავდაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებს?

კომპლექსური დავალება:
სიღარიბის აღმოფხვრისკენ გადადგმული 10 ნაბიჯი – ცენტრალური აზია (სამოქმედო გეგმა)
სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან პირველია. ადამიანთა სიღარიბეს მრავალი მიზეზი განაპირობებს. წარმოიდგინე, რომ დაგიქირავა მსოფლიო ბანკმა და დაგავალა, რომ შეისწავლო კონტექსტმაგალითი ცენტრალურ აზიაში სიღარიბის მაჩვენებლების დაცემისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და შექმნა 10 ნაბიჯისგან შემდგარი სიღარიბის აღმოფხვრის ისეთი სამოქმედო გეგმა, რომელიც ცენტრალური აზიის რეგიონში სტაბილურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

Don't copy

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	**ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**
მდგრადი განვითარება • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.	• ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• რა გავლენას ახდენს ცენტრალური აზიის რეგიონის წინაშე მდგარი გამოწვევები რეგიონსა და მსოფლიოში სიღარიბის არსებობის ფაქტზე; **(მდგრადი განვითარება მ.წ.1)** • ცენტრალური აზიის რეგიონის მთავრობების მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები როგორ გავლენას მოახდენს რეგიონის მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე; **(მდგრადი განვითარება მ.წ.2)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სამოქმედო გეგმა?
- მაქვს თუ არა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სამოქმედო გეგმა და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სამოქმედო გეგმის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სამოქმედო გეგმაში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სამოქმედო გეგმა?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ცნება: მდგრადი განვითარება

ქვესაკითხი: ნულოვანი შიმშილი

ქვეცნება: კვებითი დაუცველობა, სიღარიბის ინდექსი, სასურსათო უსაფრთხოება, „გლობალური ჩრდილოეთი“, „გლობალური სამხრეთი“, მშპ, ჰუმანური განვითარების ინდექსი, საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია.

ნაბიჯი 1

- არასრულფასოვანი კვების გარდა, კიდევ რა გამოწვევების წინაშე აყენებს სიღარიბე საზოგადოებას? **§ 30**
- როგორია სტატისტიკური მონაცემები, პლანეტის მოსახლეობის რამდენი პროცენტია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ? როგორია პროგნოზი? **§ 30**
- კვებითი დაუცველობის რა დონეებს გამოყოფენ? **§ 30**
- რა განსხვავებაა კვებითი დაუცველობის ზომიერ, სასტიკ და არასაკმარის კვებას შორის? **§ 30**
- რატომაა მნიშვნელოვანი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მდგრადი სისტემის შექმნა, ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარების ნაცვლად? **§ 30**
- რა უშლის ხელს კეთილდღეობაზე დაფუძნებული მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას? **§ 30**

Don't copy

- როგორ ზომავენ სიღარიბეს? **§ 30**
- რა გავლენას ახდენს ომი სიღარიბისა და შიმშილის დონის ზრდაზე? **§ 30**
- რა არის კვების რესურსები? **§ 30**
- რა მიმართულებებისგან შედგება გლობალური მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსის ინდიკატორი? **§ 30**
- რა გავლენას ახდენს პანდემიები და ომები საკვებ, საწვავ და ფინანსურ რესურსებზე? **§ 30**
- რას გულისხმობს „ნულოვანი შიმშილის“ მიზანი? **§ 30**
- რა კომპონენტები უნდა შესრულდეს ნულოვანი შიმშილის მიზნის მისაღწევად? **§ 30**
- რა სურათს გვიჩვენებს მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების მდგომარეობის 2022 წლის ანგარიში? **§ 30**
- რა მიზანს ემსახურება მსოფლიოს სასურსათო პროგრამა? **§ 30**
- რაზე არის დამოკიდებული მდგრადი განვითარების მიზნების გლობალურად შესრულება? **§ 29**
- რომელი სამი უმთავრესი მიმართულება განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დონეს? **§ 29**
- ვინ და რა მაჩვენებლების მიხედვით დაყო მსოფლიო გლობალურ ჩრდილოეთად და გლობალურ სამხრეთად? **§ 29**
- რა გავლენას ახდენს ახალინდუსტრიული ქვეყნების ჩამოყალიბება ჩრდილოეთად და სამხრეთად დაყოფის ცვლილებაზე? **§ 29**
- რას ნიშნავს მშპ? **§ 29**
- რას ნიშნავს ჰუმანური განვითარების ინდექსი? **§ 29**
- რატომ არ ითვლება მშპ-ს მთლიანი მოცულობა ქვეყნის განვითარების დონის შეფასების ეფექტურ ინდიკატორად? **§ 29**
- როგორ არის დაკავშირებული გლობალური სამხრეთის ქვეყნების ისტორია მათ თანამედროვე განვითარების დონესთან? **§ 29**
- რამ შეუწყო ხელი გლობალური სამხრეთის ქვეყნების ნაწილში ეკონომიკურ განვითარებას? **§ 29**
- გლობალური სამხრეთის ქვეყნების წინაშე მდგარ გამოწვევებს შორის რომელი ახდენს მეტ გავლენას განვითარების დონეზე? **§ 29**
- რა უნდა მოიმოქმედონ გლობალური სამხრეთის ქვეყნების მთავრობებმა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რამდენად დიდია მასში სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის როლი? **§ 29**
- რა ტიპის გაერთიანებაა „ევროპის კავშირი“? **§ 25**
- რატომ უწყობს ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა გაერთიანება წევრ სახელმწიფოთა მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ წარმატებასა და კეთილდღეობას? **§ 25**
- რა გამოწვევები უქმნის საფრთხეს სიღარიბის მდგრად შემცირებას? **კონტექსტმაგალითი**
- რა პროცესების აღდგენა დაეხმარება ცენტრალური აზიის ქვეყნებს პანდემიამდელი სიღარიბის მაჩვენებლების დაბრუნებაში, მსოფლიო ბანკის პროგნოზით? **კონტექსტმაგალითი**
- რა მიმართულებებს მოიცავს მდგრადი განვითარების პირველი მიზანი „არა სიღარიბეს? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სამოქმედო გეგმა? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სამოქმედო გეგმაა?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Don't copy

ცენტრალურ აზიაში სიღარიბის მაჩვენებლები ეცემა
17 ოქტომბერი, 2022 წელი
(შემოკლებით)

წყარო: https://www.worldbank.org/

მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა დღეს სიღარიბის აღმოფხვრის საერთაშორისო დღის აღსანიშნად გამართულ ონლაინ შეხვედრაზე განაცხადეს, რომ სიღარიბის მაჩვენებლები კვლავ ეცემა პანდემიით გამოწვეული ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური მატების შემდეგ. მაგრამ არსებობს რამდენიმე გამოწვევა, რომლებიც საფრთხეს უქმნის სიღარიბის მდგრად შემცირებას. მათ შორისაა გლობალური ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი შენელება, საზღვარგარეთ მიგრანტების მიერ ქვეყნებში განხორციელებული ფულადი გადარიცხვების შემცირების რისკი და ფასების ზრდა, განსაკუთრებით საკვებზე.

მსოფლიო ბანკის 2021 წლის პროგნოზით, შრომითი ბაზრის, მიგრაციისა და ფულადი გზავნილების აღდგენა ცენტრალური აზიის ქვეყნებს დაეხმარებოდა პანდემიამდელი სიღარიბის მაჩვენებლების დაბრუნებაში. უკრაინაში ომმა, სურსათსა და საწვავზე მსოფლიო ფასების სწრაფმა მატებამ მნიშვნელოვნად გაზარდა გაურკვევლობა, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონში სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესს.

ცენტრალურ აზიაში სიღარიბის შესახებ მსოფლიო ბანკის პანელმა, ახლახან განახლებული სიღარიბის საერთაშორისო ზღვარზე დაყრდნობით, წარმოადგინა მსოფლიო ბანკის უახლესი შეფასება. სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი ქვედა-საშუალო შემოსავლების სახელმწიფოთათვის, როგორებიცაა: ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, დღეში 3.65 აშშ დოლარია. ხოლო ზედა-საშუალო შემოსავლის ქვეყნებისთვის, როგორიც ყაზახეთია, დღიურად 6.85 აშშ დოლარს შეადგენს. სიღარიბის ამ ახალი ზღვრების მიხედვით, დაახლოებით, 5 მილიონი ადამიანი ღარიბია ქვედა-საშუალო შემოსავლების ზღვარის ქვეყნებში. თუ ამ ქვეყნებში 6.85 აშშ დოლარიანი (დღიურად) ზღვრით დავთვლით მონაცემებს, ღარიბთა რაოდენობა 20 მილიონს გადააჭარბებს.

მიზანი 1 – არა სიღარიბეს

წყარო: https://sdg.gov.ge/

Don't copy

1.1 2030 წლისთვის ყველგან ყველა ადამიანისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით;

1.1.1 სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის, ასაკის, დასაქმების მდგომარეობისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით;

1.2 2030 წლისთვის ნებისმიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის სულ მცირე განახევრება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად;

1.2.1 სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, სქესისა და ასაკის მიხედვით;

1.3 ყველა ადამიანისთვის განხორციელდეს შესაფერისი სოციალური დაცვის სისტემები და ზომები, მათ შორის მინიმალური ნორმები და 2030 წლისთვის მიაღწიონ ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებით დაფარვას;

1.3.1 სოციალური დაცვის მინიმალური ნორმებით/სისტემებით დაფარული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით; ბავშვების, უმუშევრების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ორსული ქალების, ახალშობილების, საწარმოო ტრავმების მსხვერპლებისა და ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ხაზგასმით;

1.4 2030 წლისთვის უზრუნველყონ, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებით, ასევე უზრუნველყოფილ იქნას მათი ხელმისაწვდომობა საბაზისო მომსახურებებზე, მიწისა და ქონების სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე;

1.4.1 იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე;

1.4.2 იმ ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესისა და საკუთრების ტიპის მიხედვით, რომელსაც იურიდიულად დადასტურებული დოკუმენტაციით აქვს მიწის ქონის უფლება და დაცულად აღიქვამს ამ უფლებას;

1.5 2030 წლისთვის ღარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და რთული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებობების გაზრდა; ასევე მათი დაუცველობისა და მოწყვლადობის შემცირება კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენებისა და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული შოკებისა და კატასტროფების მიმართ;

1.5.1 სიკვდილიანობის, დაკარგული და კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობა 100,000 კაცზე;

Don't copy

1.5.2 კატასტროფების შედეგად მიღებული პირდაპირი ეკონომიკური ზარალი გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით;

1.5.3 იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მიიღეს და ახორციელებენ კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნულ სტრატეგიებს სენდაის ჩარჩოს დოკუმენტის შესაბამისად;

1.5.4 ადგილობრივი თვითმმართველობების პროპორციული რაოდენობა, რომლებსაც ეროვნული რისკის შემცირების სტრატეგიის შესაბამისად, მიღებული აქვთ და ახორციელებენ ადგილობრივი კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიებს.

1. ა) სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის განვითარების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზების ხელშეწყობა ქვეყნების, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარებისთვის ადეკვატური და პროგნოზირებადი საშუალებების უზრუნველსაყოფად და პროგრამებისა და სხვადასხვა პოლიტიკის განსახორციელებლად სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით;

1. ა) 1. მთავრობის მიერ უშუალოდ სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული პროგრამებისთვის გამოყოფილი რესურსების პროპორციული ოდენობა;

1. ა) 2. ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) მთავრობის მთლიანი ხარჯვის პროპორციული ოდენობა.

Don't copy

II კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალების შეფასების სქემები

სამოქმედო გეგმა

პირველი კომპლექსური დავალება **სამოქმედო გეგმის შექმნა თემაზე სიღარიბის აღმოფხვრისკენ გადადგმული 10 ნაბიჯი – ცენტრალური აზია**	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა და აცნობიერებს, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა. მოსწავლეს შეუძლია, განაზოგადოს ცენტრალური აზიის ქვეყნებში არსებული ვითარება და სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა. მას შეუძლია, შეაფასოს ცენტრალური აზიის რეგიონის მთავრობების მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები, როგორ გავლენას მოახდენს რეგიონის მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე. მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა და აცნობიერებს, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა. მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს ცენტრალური აზიის ქვეყნებში არსებული ვითარება და სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა. მას შეუძლია, გააანალიზოს ცენტრალური აზიის რეგიონის მთავრობების მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები, როგორ გავლენას მოახდენს რეგიონის მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა და აცნობიერებს, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა. მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს ცენტრალური აზიის ქვეყნებში არსებული ვითარება და სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა. მას შეუძლია, გააანალიზოს ცენტრალური აზიის რეგიონის მთავრობების მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები, როგორ გავლენას მოახდენს რეგიონის მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე.

Do not copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას შეუძლია აღწეროს მდგრადი განვითარების მიზნები, თუმცა უჭირს მისი მნიშვნელობის გაცნობიერება. მას შეუძლია, გამოთქვას მოსაზრება, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა, მაგრამ უჭირს თავისი მოსაზრების დასაბუთება. მოსწავლეს შეუძლია, სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა, მაგრამ ვერ ახერხებს პრობლემასა და სტრატეგიას შორის არსებული ურთიერთმიმართების ახსნას. მას შეუძლია, აღწეროს ცენტრალური აზიის რეგიონის მთავრობების მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები, როგორ გავლენას მოახდენს რეგიონის მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ აკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას შეუძლია მდგრადი განვითარების მიზნების იდენტიფიცირება, თუმცა უჭირს მისი მნიშვნელობის გაცნობიერება. მას შეუძლია, გამოთქვას მოსაზრება, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა, მაგრამ ვერ ახერხებს თავისი მოსაზრების ახსნას. მოსწავლეს უჭირს, სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება კომიქსის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

III კომპლექსური დავალება

თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები **საკითხი** – გლობალიზაცია		
სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება **ქვესაკითხი:** კულტურული გლობალიზაცია **ქვეცნება:** ანტიგლობალიზმი, ალტერგლობალიზმი, ვესტერნიზაცია, გლოკალიზაცია, კულტურა, სუბკულტურა, კონტრკულტურა.		
საკვანძო შეკითხვა: • შესაძლებელია თუ არა გლობალური და ლოკალური ინტერესების თანხვედრა? • რატომ „ებრძვიან“ ანტიგლობალისტები მსოფლიო სავალუტო და საბანკო სისტემებს? **კომპლექსური დავალება:** ლოკალური ბრენდიდან გლობალურ ბრენდამდე (სარეკლამო პოსტერი) წარმოიდგინე, რომ ხარ მარკეტინგის სპეციალისტი. ერთ-ერთმა ქართულმა კომპანიამ (შეარჩიე შენთვის სასურველი) დაგიკვეთა, რომ შექმნა სარეკლამო პოსტერი, რომლის მეშვეობითაც ამ ქართულ ბრენდს მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება გაუმარტივდება.		
სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	**ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

Don't copy

მდგრადი განვითარება • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.	• მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად; • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• როგორ შეაქვს წვლილი საქართველოს ადგილობრივ ბუნებრივ თავისებურებებს მსოფლიო მრავალფეროვნებაში; **(მდგრადი განვითარება მ.წ.1)** • როგორ შეუწყობს ხელს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესს ქართული ბრენდის მსოფლიო ბაზარზე გასვლა. **(მდგრადი განვითარება მ.წ.2)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სარეკლამო პოსტერი?
- გაქვს თუ არა სარეკლამო პოსტერზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სარეკლამო პოსტერი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სარეკლამო პოსტერი სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სარეკლამო პოსტერში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სარეკლამო პოსტერი?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: კულტურული გლობალიზაცია
ქვეცნება: ანტიგლობალიზმი, ალტერგლობალიზმი, ვესტერნიზაცია, გლოკალიზაცია, კულტურა, სუბკულტურა, კონტრკულტურა.

ნაბიჯი 1

- რა გავლენა მოახდინა გლობალურმა ეკონომიკურმა პროცესებმა გლობალიზაციის პროცესის განვითარებაზე? **§ 31**
- რა სფეროებს გამოყოფენ გლობალიზაციის პროცესის შესწავლისას? **§ 31**
- რა დადებითი შედეგები მოჰყვა გლობალიზაციის პროცესს? **§ 31**
- როგორ განვითარდა გლობალიზაციის პროცესი დღემდე? **§ 31**
- რა პრინციპებს ეყრდნობა გლობალიზაცია? **§ 31**
- რას ნიშნავს ანტიგლობალიზმი? **§ 31**
- რას ითხოვენ ალტერგლობალისტები? **§ 31**
- რა განსხვავებაა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ გლობალიზმს შორის? **§ 31**
- შეუძლია თუ არა ეკონომიკურ გლობალიზაციას სარგებელი მოუტანოს გლობალური სამხრეთის ქვეყნებს? **§ 31**
- არის თუ არა კავშირი გლობალური განვითარების მიზნების მიღწევასა და გლობალიზმს შორის? **§ 31**
- რატომ ხდება კულტურული გლობალიზაცია? **§ 32**
- რატომ დაიწყო ვესტერნიზაციის პროცესი? **§ 32**
- როგორ მოქმედებს გლოკალიზაცია? **§ 32**
- რას წარმოადგენს ეკონომიკური გლობალიზაცია? **§ 32**
- რა განასხვავებს ერთმანეთისგან კულტურას, სუბკულტურასა და კონტრკულტურას? **§ 32**
- რატომ აქვს გარკვეულ სუბკულტურებს გლობალური ხასიათი? **§ 32**
- როგორ უწყობს ხელს გლოკალიზაცია ეკონომიკურ გლობალიზაციას? **§ 32**

Don't copy

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სარეკლამო პოსტერი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სარეკლამო პოსტერია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Don't copy

კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები

სარეკლამო პოსტერი

პირველი კომპლექსური დავალება სარეკლამო პოსტერის შექმნა – ლოკალური ბრენდიდან გლობალურ ბრენდამდე	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული, რომ გლობალური და ლოკალური ინტერესების გათვალისწინებით იქმნება გლოკალიზაციის პროცესი. მას შეუძლია, შეაფასოს, თუ რა გავლენას ახდენს გლობალური ეკონომიკური პროცესები გლობალიზაციის პროცესის განვითარებაზე. მას შეუძლია განაზოგადოს მსჯელობა და გააანალიზოს, თუ როგორ უწყობს ხელს გლოკალიზაცია ეკონომიკურ გლობალიზაციას.

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, მას შეუძლია გააანალიზოს, რომ გლობალური და ლოკალური ინტერესების გათვალისწინებით იქმნება გლოკალიზაციის პროცესი. მას შეუძლია, იმსჯელოს იმ ურთიერთგავლენაზე, რომელიც გლობალურ ეკონომიკურ პროცესებსა და გლობალიზაციის პროცესის განვითარებას ახასიათებს. მას შეუძლია გააანალიზოს, თუ როგორ უწყობს ხელს გლოკალიზაცია ეკონომიკურ გლობალიზაციას.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, მას შეუძლია აღწეროს გლოკალიზაციის პროცესი, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება გლობალურ და ლოკალურ ინტერებთან. მას შეუძლია, აღწეროს გლობალური ეკონომიკური პროცესები და გლობალიზაციის პროცესი.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ აკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, მას უჭირს გლოკალიზაციის პროცესის აღწერა და გლობალურ და ლოკალურ ინტერებთან მისი დაკავშირება. მას უჭირს, აღწეროს გლობალური ეკონომიკური პროცესები და გლობალიზაციის პროცესი.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება კომიქსის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

Don't copy

4. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები (ალ–ტერნატიული მატრიცა)

კლასი: XI **თემის სახელწოდება: გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები** **საათების სავარაუდო რაოდენობა (განსაზღვრავს მასწავლებელი)** **ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო**			
სამიზნე ცნება	**საკითხი1** **პოლიტიკური რუკის ცვლ-ილება**	**საკითხი 2** **საერთაშორისო წესრიგი და გამოწვევები**	**საკითხი 3** **გლობალიზაცია**
გეოგრაფიული გარსი	**ქვესაკითხი:** ბუნებრივი გარემოს გავ-ლენა სახელმწიფო საზ-ღვრების დადგენაზე **ქვეცნება:** • სახელმწიფო საზღვარი		
მოსახლეობა და მეურნეობა	**ქვესაკითხი:** ტერიტორიული გაერ-თიანება და კონსოლი-დაციის რთული პროცესი **ქვეცნება:** • უმუშევრობის დონე • საბაზრო ეკონომიკა • საკუთრების უფლება • რეფორმა		
მდგრადი განვი-თარება		**ქვესაკითხი:** ნულოვანი შიმშილი **ქვეცნება:** • კვებითი დაუცველობა; • სიღარიბის ინდექსი; • სასურსათო უსაფრთხოება; • „გლობალური ჩრდილოეთი“; • „გლობალური სამხრეთი“ • მშპ; • ჰუმანური განვითარების ინდექსი; • საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია.	**ქვესაკითხი:** კულტურული გლობალ-იზაცია **ქვეცნება:** • ანტიგლობალიზმი; • ალტერგლობალიზმი; • ვესტერნიზაცია; • გლოკალიზაცია; • კულტურა; • სუბკულტურა; • კონტრკულტურა.
კომპლექსური დავალება	**კომპლექსური დავალება 1** **საქართველოს საზღვრე-ბი – უსაფრთხოების გა-მოწვევები (რეფერატი)**	**კომპლექსური დავალება 2** **სიღარიბის აღმოფხ-ვრისკენ გადადგმული 10 ნაბიჯი – საქართველო (სამოქმედო გეგმა)**	**კომპლექსური დავალება 3** **ბრენდ-გლოკალიზაცია – საქართველო (სარეკლამო პოსტერი)**

Don't copy

რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებ-ლად	**სახელმძღვანელოს პარაგ-რაფები:** • დემოკრატია და ავტოკრატია; • „ხალხთა საპყრობილის“ ნგრევა; • 3 ოქტომბერი – ტერი-ტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი; • შოტლანდია და კატალონია; • „ჩრდილოეთის ტერიტო-რიები“ თუ „კურილიის კუნძულები“; • „ახალი სამყაროს ათვი-სება“ და „არავისი მიწა“; • ანტარქტიდა – მსოფლიო საკუთრება? **ტელესკოლა:** 1. მსოფლიო პოლიტიკური რუკა და მისი ცვლილე-ბება; 2. კონფლიქტებისა და ტერ-ორიზმის გეოგრაფია; 3. საქართველოს სახელმ-წიფო საზღვრის მართ-ვის სტრატეგიის დამტ-კიცემის შესახებ; 4. რეფერატის შეს-რულების სტანდარტი.	**სახელმძღვანელოს პარაგ-რაფები:** • „ევროპის კონსტი-ტუცია“ და ევროს-კეპტიციზმი; • ბალტიის ზღვის სანა-პირო ქვეყნები და „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგა-ნიზაცია“; • გლობალური ჩრდილოეთი და გლობალური სამხრეთი; • სიღარიბე და შიმშილი გლობალური გამოწვევა. **ტელესკოლა:** 1. მდგრადი განვითარება; 2. მდგრადი განვითარე-ბის მიზნები; 3. ყველაფერი მდგრადი განვითარების შესახებ 4. მდგრადი განვითარე-ბის მიზნები; 5. საქართველოს სტატის-ტიკის ეროვნული სამ-სახური; 6. როგორ დავწეროთ სამოქმედო გეგმა.	**სახელმძღვანელოს პარაგ-რაფები:** • გლობალური წინააღმდეგობა – გლობალიზმი და ანტიგლობალიზმი; • კულტურული გლობალიზაცია და გლოკალიზაცია; **ტელესკოლა:** 1. გლობალიზაცია და გლო-ბალიზაციის ინდექსი; 2. ეკონომიკური გლო-ბალიზაცია; 3. ეთნომოზაიკა და კულტუ-რული გლობალიზაცია; 4. სუბკულტურა; 5. რა არის ბრენდინგი და რატომ არის მნიშ-ვნელოვანი? 6. პოსტერი როგორც გა-მოხატვის ფორმა.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- დემოკრატია მიიჩნევა კარგი მმართველობის ფორმად, რომელიც საშუალებას იძლევა, ხალხმა არჩევნების გზით მართოს საკუთარი სახელმწიფო;
- სახელმწიფოთა გაერთიანება ან იმპერიათა დაშლა პოლიტიკურ რუკაზე რაოდენობრივ ცვლილებებს იწვევს;
- ტერიტორიული გაერთიანების მიუხედავად, რთულია განსხვავებული მართვის სტილის ეკონომიკების ჰარმონიზაცია და ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება;
- საზღვრების ურღვევობისა და თვითგამორკვევის პრინციპი სახელმწიფოთა შექმნის, ერთიანობისა და დაშლის საფუძველია;
- მე-2 მსოფლიო ომის შედეგები დღემდე გავლენას ახდენს ზოგიერთ სახელმწიფოთა ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობაზე;
- საერთო საფრთხეებისგან თავდასაცავად სახელმწიფოები კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციებს ქმნიან;
- შემოსავლებისა და განვითარების დონის მიხედვით განარჩევენ გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებს;
- შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა;
- გლობალური და ლოკალური ინტერესების გათვალისწინებით იქმნება გლოკალიზაციის პროცესი;
- ანტიგლობალიზმი ძირითადად ეკონომიკური გლობალიზაციისა და გლობალური თავისუფალი ბაზრის წინააღმდეგ მიმართული მომძრაობას წარმოადგენს.

Do not copy

I კომპლექსური დავალება

თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
საკითხი – პოლიტიკური რუკის ცვლილება

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი
ქვესაკითხი: ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენაზე
ქვეცნება: სახელმწიფო საზღვარი
სამიზნე ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა
ქვესაკითხი: ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი
ქვეცნება: უმუშევრობის დონე, საბაზრო ეკონომიკა, საკუთრების უფლება, რეფორმა

საკვანძო შეკითხვა:
- რატომაა ტერიტორიული გაერთიანებასთან შედარებით ქვეყანაში საზოგადოებრივი კონსოლიდაციის მიღწევა უფრო რთული?
- რატომ რჩება დღემდე გამოწვევად მე-2 მსოფლიო ომის შედეგებით გამოწვეული პრობლემები?

კომპლექსური დავალება:
საქართველოს საზღვრები – უსაფრთხოების გამოწვევები (რეფერატი)

წარმოიდგინე, რომ სასკოლო კლუბის „ახალგაზრდა დემოკრატ ლიდერთა გაერთიანების“ წევრი ხარ. კლუბმა გადაწყვიტა, ჩაატაროს კონფერენცია საქართველოს წინაშე მდგარი სხვადასხვა ტიპის გამოწვევის შესახებ, ამისათვის კი უნდა დაწერო რეფერატი. საკითხები განაწილდა შემთხვევითობის პრონციპით. შენ უნდა შეისწავლო კონტექსტმაგალითი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, გააანალიზო იგი და მასზე დაყრდნობით დაწერო რეფერატი საქართველოს საზღვრების უსაფრთხოების გამოწვევის შესახებ.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	**ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**
გეოგრაფიული გარსი • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	• გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს, ნოოსფეროს, დედამიწის შინაგანი აგებულების) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	• რა გავლენას ახდენს საქართველოს ბუნებრივი გარემო, რელიეფის თავისებურება, სასაზღვრო ზონების კონტროლისა და დაცვის საკითხზე; ***(გეოგრაფიული გარსი მ.წ.1.2)*** • როგორ ახდენს გავლენას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღემდე საქართველოს საზღვრებთან ახლოს არსებული კონფლიქტები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოების სტაბილურობაზე. ***(მოსახლეობა და მეურნეობა მ.წ. 1.2.3)***

Demo copy

მოსახლეობა და მეურნეობა • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურ-ნეობის სტრუქტურა, განა-წილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვი-თარების დონეზე აისახება.	• ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის რეფერატი?
- მაქვთ თუ არა რეფერატზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა რეფერატი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო რეფერატის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტებსგან უნდა შედგებოდეს რეფერატი?
- ვისთვის უნდა შევქმნა რეფერატი?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცნება: გეოგრაფიული გარსი
ქვესაკითხი: ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო საზღვრების დადგენაზე
ქვეცნება: სახელმწიფო საზღვარი

ნაბიჯი 1

- რას გულისხმობს სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობის პრინციპი? **§ 20**
- რას გულისხმობს თვითგამორკვევის პრინციპი? **§ 20**
- რატომ უზრუნველყოფს სახელმწიფოთა სტაბილურობას საზღვრების ურღვევობის პრინციპი? **§ 20**
- რა კავშირია დემოკრატიასა და თვითგამორკვევის უფლების დაცულობას სახელმწიფოთა საზღვრებს შიგნით? **§ 20**
- საზღვრების ურღვევობის პრინციპის უმთავრესობის მიუხედავად, რატომ ენიჭება ზოგჯერ რეგიონს ქვეყნიდან სრული გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უფლება? **§ 20**
- გამორიცხავს თუ არა ერთმანეთს საზღვრების ურღვევობისა და თვითგამორკვევის პრინციპები?
- როგორ ხდება პოლიტიკურ რუკაზე რაოდენობრივი ცვლილებები? **§ 18**
- რატომ მიიჩნევა დემოკრატია კარგი მმართველობის ფორმად? **§ 17**
- რა შემთხვევაში ტარდება რეფერენდუმი და პლებისტიცი? **§ 19**

Don't copy

- რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო სახელმწიფო ტერიტორიების დაყოფის პროცესზე? **§ 19**
- საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მსოფლიო პოლიტიკური რუკა რატომ შეიცვალა, როგორც რაოდენობრივად ისე თვისობრივად? **§ 18**
- „საბჭოთა კავშირის“ დაშლის პროცესში ყველა შემადგენელ საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი (კანონის ძალის მქონე საზოგადოებრივი გამოკითხვა). რას ფიქრობ, რატომ მიმართეს ამ საშუალებას დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოებმა? **§ 18**
- რა გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის საზღვრების დადგენის პროცესზე ბუნებრივი პირობები? **§ 24**
- რა გავლენა მოახდინა საქართველოს გეოგრაფიულმა გარემომ და მდებარეობამ მის გარშემო წარმოქმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე? **კონტექსტმაგალითი**
- როგორია საქართველოს საზღვრებზე ფიზიკურ-გეოგრაფიული მოცემულობა? **კონტექსტმაგალითი**
- როგორია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და რაზე ახდენს იგი გავლენას? **კონტექსტმაგალითი**

ნაბიჯი 2

სამიზნე ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა

ქვესაკითხი: ტერიტორიული გაერთიანება და კონსოლიდაციის რთული პროცესი

ქვეცნება: უმუშევრობის დონე, საბაზრო ეკონომიკა, საკუთრების უფლება, რეფორმა

- როგორ უწყობს ხელს გაერო მსოფლიოში დემოკრატიულ განვითარებას? **§ 17**
- რატომაა ტერიტორიული გაერთიანებასთან შედარებით ქვეყანაში საზოგადოებრივი კონსოლიდაციის მიღწევა უფრო რთული? **§ 19**
- რა გავლენაა ახდენს მმართველობის ფორმა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე? **§ 17**
- რა ეკონომიკური გამოწვევების წინაშე შეიძლება დააყენოს ქვეყანა მმართველობის ფორმის ცვლილებამ? **§ 19**
- რას გავლენას ახდენს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი რეფერატი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად რეფერატია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Draft copy

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №226
2014 წლის 13 მარტი
ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ
(ამონარიდი)

3. სახელმწიფო საზღვარზე არსებული ვითარების ანალიზი

3.1. სახელმწიფო საზღვრის მოკლე ისტორია

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა დიდ როლს ასრულებს ქვეყნის და მთლიანად შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – 1991 წლიდან, საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ გამოვიდა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტი.

საქართველოს დღევანდელი საზღვრები მისი ისტორიული წარსულითაა განპირობებული. თურქეთის რესპუბლიკასთან სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია დასრულებულია. თურქეთის რესპუბლიკასთან სახელმწიფო საზღვარი დადგენილია „საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“ 1992 წლის 30 ივლისს დადებული ხელშეკრულებით. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დანარჩენი ნაწილი მეზობელ ქვეყნებთან – რუსეთის ფედერაციასთან, აზერბაიჯანსა და სომხეთის რესპუბლიკებთან საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვრის ფუნქციას ასრულებდა და დღემდე მისი დელიმიტაციის პროცესი არ დასრულებულა და შესაბამისად, დემარკაცია არ განხორციელებულა.

1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო პრაქტიკული მუშაობა მისი სახელმწიფო საზღვრების დადგენის მიზნით. ყველა მომიჯნავე ქვეყანასთან (თურქეთის რესპუბლიკის გარდა) შეიქმნა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის კომისიები: რუსეთის ფედერაციასთან – 1993 წელს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან – 1994 წელს, სომხეთის რესპუბლიკასთან – 1994 წელს. დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესის დაჩქარებისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, „საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, აგრეთვე, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შავ ზღვაზე ტერიტორიული ზღვის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის დელიმიტაციის სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 17 მარტის 1208 ბრძანებულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია. საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის გამო, რუსეთის ფედე-

Don't copy

რაციასთან დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხებზე თანამშრომლობა შეჩერებულია. სხვა მეზობელ ქვეყნებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობა გრძელდება.

საბაჟო გამშვები პუნქტების გახსნის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებები გაფორმდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკასთან – 1993 წელს, რუსეთის ფედერაციასთან – 1994 წელს, თურქეთის რესპუბლიკასთან – 1996 წელს.

3.2 საქართველოს როლი რეგიონში

საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა ქვეყნის მრავალ საერთაშორისო პროექტში ჩართვისა და მათში წამყვანი როლის მინიჭების მიზეზი გახდა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა დროთა განმავლობაში საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია დაუბრუნა, რითაც რეგიონისთვის ქვეყნის უაღრესად დიდ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მნიშვნელობა შავი ზღვის აუზის ფარგლებში თანამშრომლობის თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც შავი ზღვის სატრანსპორტო კომუნიკაციები აკავშირებს ევროპას აზიასთან და ახლო აღმოსავლეთთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ, ევროკავშირისა და საქართველოს საზღვაო საზღვრები კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საქართველოში მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთბრუნვის ზრდას იწვევს, რაც, თავის მხრივ, რეგიონისადმი არალეგალური ბიზნესის წარმომადგენელთა და ტრანსნაციონალურ დამნაშავეთა დაინტერესების საფუძველი შეიძლება გახდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელსაყრელი მდებარეობა ქვეყნის სწრაფი განვითარების წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში არალეგალური მიგრაციის საფრთხეს ზრდის.

3.3. საფრთხეები და გამოწვევები

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების მილიტარიზაცია წარმოადგენს. 2008 წლის აგვისტოში განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან შეზღუდული სამხედრო მოქმედებების განახლების შესაძლებლობა მუდმივად გასათვალისწინებელი ფაქტორია.

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უკონტროლო სიტუაცია გარდა იმისა, რომ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ასევე, ქმნის ნოყიერ ნიადაგს კონტრაბანდისა და სხვადასხვა სახის ტრანსსასაზღვრო დანაშაულების ზრდისთვის, მათ შორის, ისეთი ტრანსსასაზღვრო დანაშაულებისათვის, როგორებიცაა ნარკოტიკული საშუალებებითა და იარაღით ვაჭრობა, ადამიანების გატაცება, გატაცებული ავტომობილებით ვაჭრობა, ყალბი ვალუტის შემოტანა და სხვა. ოკუპირებული რეგიონები ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების დაგეგმვა-განხორციელებისა და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო ტრანსპორტირების მიზნით.

Don't copy

ამავდროულად, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობა. აღნიშნული კონფლიქტების საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო გადმოდინების საფრთხესთან ერთად, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ რეგიონში არსებული კონფლიქტების ინტენსიურ ფაზაში გადასვლამ გამოიწვიოს ისეთი კონკრეტული საფრთხეები, როგორებიცაა, ლტოლვილთა ნაკადები და მათთან ერთად ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევის საშიშროება, კონტრაბანდისა და სხვა სახის ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის ზრდა. ასევე, საფრთხე შეექმნება კავკასიაში არსებული სატრანსპორტო და ენერგოპროექტების სტაბილურ და შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

მთიანი რელიეფის გამო სამართალდამცავი ორგანოებისათვის სახელმწიფო საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი რთულად ხელმისაწვდომია. ყოველივე ეს სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე ორგანოების მეტ ძალისხმევას მოითხოვს საზღვრისპირა რეგიონებში საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა სამართალდამცავ ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს ცალკეულ მთიან რეგიონებში მოსახლეობის აშკარად შემცირება, ხოლო ზოგიერთი დასახლებული პუნქტების გაუკაცრიელებაც კი. ეს სხვა ფაქტორებთან ერთად ართულებს სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე ორგანოების მიერ სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელებას.

გარდა ამისა, სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს შორის გასათვალისწინებელია ისეთი ბუნებრივი კატასტროფები, როგორებიცაა წყალდიდობა, ზვავი, ტყის ხანძარი და მეწყერი. საზღვრისპირა რეგიონებში არსებული რთული ბუნებრივი პირობები ართულებს ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციას, ისევე, როგორც რეაბილიტაციისა და ზიანის დროული ლიკვიდაციის პროცესს. ამდენად, სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე ორგანოები მზად უნდა იყვნენ სამაშველო ოპერაციების და ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის ათვისებისთვის, ასევე აუცილებელია ფიზიკურ პირთა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ სახელმწიფო საზღვრის შეუფერხებელი კვეთის არსებული ქმედითი მექანიზმის დახვეწა.

3.4. გეოგრაფიული მონაცემები

საქართველოს ტერიტორიის ფართობია 69,9 ათასი კმ2, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძეა 2148 კმ, აქედან, სახმელეთო საზღვრის – 1839 კმ-ია, ხოლო საზღვაო სივრცის სანაპირო ზოლის – 309 კმ.

სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი, სახმელეთო საზღვრის სიგრძე რუსეთის ფედერაციასთან 894 კმ-ია; აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან 446 კმ-ია; სომხეთის რესპუბლიკასთან 224; თურქეთის რესპუბლიკასთან 275.

შენიშვნა: ამ პუნქტში მოცემული მონაცემები მიახლოებითია. სახელმწიფო საზღვრის სიგრძე დაზუსტდება დელიმიტაციისა (ორმხრივი შეთანხმება, საზღვრის დადგენა) და დემარკაციის (საზღვრის ადგილზე განსაზღვრა და ფიქსირება) პროცესის დასრულების შემდეგ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრები დელიმიტირებული და დემარკირებული აქვს ჩამოთვლილთაგან მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკასთან.

Don't copy

პირველი კომპლექსური დავალების შეფასების სქემა

კომპლექსური დავალების შეფასების სქემები
რეფერატი

პირველი კომპლექსური დავალება **რეფერატის მომზადება თემაზე – საქართველოს საზღვრები – უსაფრთხოების გამოწვევები**		
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**	**სამიზნე ცნება**
	გეოგრაფიული გარსი	მოსახლეობა და მეურნეობა
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა	**სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა**
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც სხვადასხვა კანონზომიერება ახასიათებს; • ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს გეოსფეროებზე.	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ** • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ განაწილებას განაპირობებს; • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში; • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, სიღრმისეულად გაიაზროს ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო სასაზღვრო ზონების კონტროლისა და დაცვის საკითხში. იგი ახერხებს, შეაფასოს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი გავლენა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. მას შეუძლია, დასაბუთებულად ახსნას, რა გავლენას ახდენს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოს საზღვრებთან ახლოს არსებული კონფლიქტები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოების სტაბილურობაზე. მას შეუძლია, სიღრმისეულად გააანალიზოს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გავლენა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე. იგი ახერხებს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი მმართველობის ფორმასა და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს შორის.	

Don't Copy

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, გაიაზროს ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო სასაზღვრო ზონების კონტროლისა და დაცვის საკითხში. იგი ახერხებს, გააანალიზოს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი გავლენა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. მას შეუძლია, ახსნას, რა გავლენას ახდენს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოს საზღვრებთან ახლოს არსებული კონფლიქტები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოების სტაბილურობაზე.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, გააანალიზოს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გავლენა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე. იგი ახერხებს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი მმართველობის ფორმასა და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს შორის.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს ბუნებრივი გარემოს გავლენა სახელმწიფო სასაზღვრო ზონების კონტროლისა და დაცვის საკითხში. იგი ახერხებს, აღწეროს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, თუმცა უჭირს მისი დაკავშირება პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. მას შეუძლია, აღწეროს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოს საზღვრებთან ახლოს არსებული კონფლიქტები, თუმცა უჭირს მისი დაკავშირება საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხებთან.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გავლენა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე. მას უჭირს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი მმართველობის ფორმასა და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს შორის.

Don't copy

უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, საქართველოს ბუნებრივი გარემოს აღწერა, მაგრამ ვერ ახერხებს მის დაკავშირებას სახელმწიფო სასაზღვრო ზონების კონტროლისა და დაცვის საკითხებთან. იგი ახერხებს, აღწეროს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, თუმცა ვერ ახერხებს მის დაკავშირებას პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. მას შეუძლია, აღწეროს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოს საზღვრებთან ახლოს არსებული კონფლიქტები, თუმცა ვერ ახერხებს მის დაკავშირებას საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხებთან.	მოსწავლის მიერ შექმნილ რეფერატში ჩანს, რომ მას შეუძლია, აღწეროს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება ქვეყნის საბაზრო ეკონომიკასთან. იგი ვერ ახერხებს, დაინახოს მიზეზშედეგობრივი კავშირი მმართველობის ფორმასა და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს შორის. .
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება სვოტ-ანალიზის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.	

Don't copy

II კომპლექსური დავალება

თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
საკითხი – საერთაშორისო წესრიგი და გამოწვევები

ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: ნულოვანი შიმშილი
ქვეცნება: კვებითი დაუცველობა, სიღარიბის ინდექსი, სასურსათო უსაფრთხოება, „გლობალური ჩრდილოეთი“, „გლობალური სამხრეთი“, მშპ, ჰუმანური განვითარების ინდექსი, საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია.

საკვანძო შეკითხვა:
- რა იგულისხმება სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრაში?
- რა ნიშნით გამოარჩევენ გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის სახელმწიფოებს?
- რატომ ქმნიან სახელმწიფოები კოლექტიურ თავდაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებს?

კომპლექსური დავალება:
სიღარიბის აღმოფხვრისკენ გადადგმული 10 ნაბიჯი – საქართველო (სამოქმედო გეგმა)

სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან პირველია. ადამიანთა სიღარიბეს მრავალი მიზეზი განაპირობებს. წარმოიდგინე, რომ დაგიქირავა „საქართველოს მთავრობამ“ და დაგავალა, რომ შეისწავლო კონტექსტმაგალითი საქართველოს მოსახლეობის დინამიკისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და შექმნა 10 ნაბიჯისგან შემდგარი სიღარიბის აღმოფხვრის ისეთი სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს სტაბილურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	**ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**
მდგრადი განვითარება • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.	• ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოში სიღარიბის აღმოფხვრამ მდგრადი განვითარების პირველი მიზნის შესრულებაზე; **(მდგრადი განვითარება მ.წ.1)** • საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები როგორ მოახდენს გავლენას ქვეყნის მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე; **(მდგრადი განვითარება მ.წ.2)**

Don't copy

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სამოქმედო გეგმა?
- მაქვს თუ არა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სამოქმედო გეგმა და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სამოქმედო გეგმის სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სამოქმედო გეგმაში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სამოქმედო გეგმა?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ცნება: მდგრადი განვითარება

ქვესაკითხი: ნულოვანი შიმშილი

ქვეცნება: კვებითი დაუცველობა, სიღარიბის ინდექსი, სასურსათო უსაფრთხოება, „გლობალური ჩრდილოეთი“, „გლობალური სამხრეთი“, მშპ, ჰუმანური განვითარების ინდექსი, საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია.

ნაბიჯი 1

- რა გამოწვევების წინაშე აყენებს სიღარიბე საზოგადოებას, არასრულფასოვანი კვების გარდა? **§ 30**
- როგორია სტატისტიკური მონაცემები, პლანეტის მოსახლეობის რამდენი პროცენტია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ? როგორია პროგნოზი? **§ 30**
- კვებითი დაუცველობის რა დონეებს გამოყოფენ? **§ 30**
- რა განსხავებაა კვებითი დაუცველობის ზომიერ, სასტიკ და არასაკმარის კვებას შორის? **§ 30**
- რატომაა მნიშვნელოვანი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მდგრადი სისტემის შექმნა, ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარების ნაცვლად? **§ 30**
- რა უშლის ხელს კეთილდღეობაზე დაფუძნებული მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას? **§ 30**
- როგორ ზომავენ სიღარიბეს? **§ 30**
- რა გავლენას ახდენს ომი სიღარიბისა და შიმშილის დონის ზრდაზე? **§ 30**
- რა არის კვების რესურსები? **§ 30**
- რა მიმართულებებისგან შედგება გლობალური მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსის ინდიკატორი? **§ 30**
- რა გავლენას ახდენს პანდემიები და ომები საკვებ, საწვავ და ფინანსურ რესურსებზე? **§ 30**
- რას გულისხმობს „ნულოვანი შიმშილის“ გლობალური მიზანი? **§ 30**
- რა კომპონენტები უნდა შესრულდეს ნულოვანი შიმშილის მიზნის მისაღწევად? **§ 30**
- რა სურათს გვიჩვენებს მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების მდგომარეობის 2022 წლის ანგარიში? **§ 30**
- რა მიზანს ემსახურება მსოფლიოს სასურსათო პროგრამა? **§ 30**
- რაზე არის დამოკიდებული მდგრადი განვითარების მიზნების გლობალურად შესრულება? **§ 29**
- რომელი სამი უმთავრესი მიმართულება განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დონეს? **§ 29**
- ვინ და რა მაჩვენებლების მიხედვით დაყო მსოფლიო გლობალურ ჩრდილოეთად და გლობალურ სამხრეთად? **§ 29**

Do not copy

- რა გავლენას ახდენს ახალინდუსტრიული ქვეყნების ჩამოყალიბება ჩრდილოეთად და სამხრეთად დაყოფის ცვლილებაზე? **§ 29**
- რას ნიშნავს მშპ? **§ 29**
- რას ნიშნავს ჰუმანური განვითარების ინდექსი? **§ 29**
- რატომ არ ითვლება მშპ-ს მთლიანი მოცულობა ქვეყნის განვითარების დონის შეფასების ეფექტურ ინდიკატორად? **§ 29**
- როგორ არის დაკავშირებული გლობალური სამხრეთის ქვეყნების ისტორია მათ თანამედროვე განვითარების დონესთან? **§ 29**
- რამ შეუწყო ხელი გლობალური სამხრეთის ქვეყნების ნაწილში ეკონომიკურ განვითარებას? **§ 29**
- გლობალური სამხრეთის ქვეყნების წინაშე მდგარ გამოწვევებს შორის რომელი ახდენს მეტ გავლენას განვითარების დონეზე? **§ 29**
- რა უნდა მოიმოქმედონ გლობალური სამხრეთის ქვეყნების მთავრობებმა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რამდენად დიდია მასში სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის როლი? **§ 29**
- რა ტიპის გაერთიანებაა „ევროპის კავშირი“? **§ 25**
- რატომ უწყობს ევროპის ერთიანი კავშირის იდეა წევრ სახელმწიფოთა მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ წარმატებასა და კეთილდღეობას? **§ 25**
- როგორია საქართველოს მოსახლეობის დინამიკა სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის მიხედვით? **კონტექსტმაგალითი**
- რა მიმართულებებს მოიცავს მდგრადი განვითარების პირველი მიზანი „არა სიღარიბეს? **კონტექსტმაგალითი**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სამოქმედო გეგმა? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სამოქმედო გეგმაა?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Draft copy

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა

წყარო: geostat.ge



სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)

წყარო: geostat.ge



Don't copy

მიზანი 1 – არა სიღარიბეს



წყარო: https://sdg.gov.ge/

1.1 2030 წლისთვის ყველგან ყველა ადამიანისთვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით;

1.1.1 სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის, ასაკის, დასაქმების მდგომარეობის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით;

1.2 2030 წლისთვის ნებისმიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის სულ მცირე განახევრება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად;

1.2.1 სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, სქესისა და ასაკის მიხედვით;

1.3 ყველა ადამიანისთვის განხორციელდეს შესაფერისი სოციალური დაცვის სისტემები და ზომები, მათ შორის მინიმალური ნორმები და 2030 წლისთვის მიაღწიონ ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებით დაფარვას;

1.3.1 სოციალური დაცვის მინიმალური ნორმებით/სისტემებით დაფარული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით; ბავშვების, უმუშევრების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ორსული ქალების, ახალშობილების, საწარმოო ტრავმების მსხვერპლებისა და ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ხაზგასმით;

1.4 2030 წლისთვის უზრუნველყონ, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებით, ასევე უზრუნველყოფილ იქნას მათი ხელმისაწვდომობა საბაზისო მომსახურებებზე, მიწისა და ქონების სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე;

1.4.1 იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე;

1.4.2 იმ ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესისა და საკუთრების ტიპის მიხედვით, რომელსაც იურიდიულად დადასტურებული დოკუმენტაციით აქვს მიწის ქონის უფლება და დაცულად აღიქვამს ამ უფლებას;

1.5 2030 წლისთვის ღარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და რთული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებობების გაზრდა; ასევე მათი დაუცველობისა და მოწყვლადობის შემცირება კლიმატთან დაკავშირებული ექსტრე-

Demo copy

მალური მოვლენებისა და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული შოკებისა და კატასტროფების მიმართ;

1.5.1 სიკვდილიანობის, დაკარგული და კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობა 100,000 კაცზე;

1.5.2 კატასტროფების შედეგად მიღებული პირდაპირი ეკონომიკური ზარალი გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით;

1.5.3 იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მიიღეს და ახორციელებენ კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნულ სტრატეგიებს სენდაის ჩარჩოს დოკუმენტის შესაბამისად;

1.5.4 ადგილობრივი თვითმმართველობების პროპორციული რაოდენობა, რომლებსაც ეროვნული რისკის შემცირების სტრატეგიის შესაბამისად, მიღებული აქვთ და ახორციელებენ ადგილობრივი კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიებს;

1. ა) სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის განვითარების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზების ხელშეწყობა ქვეყნების, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარებისთვის ადეკვატური და პროგნოზირებადი საშუალებების უზრუნველსაყოფად და პროგრამებისა და სხვადასხვა პოლიტიკის განსახორციელებლად სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით;

1. ა) 1. მთავრობის მიერ უშუალოდ სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული პროგრამებისთვის გამოყოფილი რესურსების პროპორციული ოდენობა;

1. ა) 2. ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) მთავრობის მთლიანი ხარჯვის პროპორციული ოდენობა.

Don't copy

მეორე კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალების შეფასების სქემები
სამოქმედო გეგმა

პირველი კომპლექსური დავალება **სამოქმედო გეგმის შექმნა თემაზე სიღარიბის აღმოფხვრისკენ გადადგმული 10 ნაბიჯი – საქართველო**	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუა-ლიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა და აცნობიერებს, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა. მოსწავლეს შეუძლია, განაზოგადოს საქართველოში არსებული ვითარება და სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა. მას შეუძლია, შეაფასოს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები და ღონისძიებები როგორ გავლენას მოახდენს საქართველოს მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე. მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა და აცნობიერებს, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა. მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს საქართველოში არსებული ვითარება და სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა. მას შეუძლია, გააანალიზოს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები, როგორ გავლენას მოახდენს საქართველოს მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა და აცნობიერებს, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა. მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს საქართველოში არსებული ვითარება და სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა. მას შეუძლია, გააანალიზოს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები, როგორ გავლენას მოახდენს საქართველოს მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე.

Do not copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას შეუძლია აღწეროს მდგრადი განვითარების მიზნები, თუმცა უჭირს მისი მნიშვნელობის გაცნობიერება. მას შეუძლია, გამოთქვას მოსაზრება, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა, მაგრამ უჭირს თავისი მოსაზრების დასაბუთება. მოსწავლეს შეუძლია, სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა, მაგრამ ვერ ახერხებს პრობლემასა და სტრატეგიას შორის არსებული ურთიერთმიმართების ახსნას. მას შეუძლია, აღწეროს სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ქმედებები, როგორ გავლენას მოახდენს საქართველოს მოსახლეობისა და მსოფლიო კეთილდღეობის დონის ზრდაზე.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არა-სტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ აკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ მას შეუძლია მდგრადი განვითარების მიზნების იდენტიფიცირება, თუმცა უჭირს მისი მნიშვნელობის გაცნობიერება. მას შეუძლია, გამოთქვას მოსაზრება, რომ შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა, მაგრამ ვერ ახერხებს თავისი მოსაზრების ახსნას. მოსწავლეს უჭირს, სამოქმედო გეგმის სახით წარმოადგინოს სიღარიბის პრობლემის დაძლევის გრძელვადიანი გეგმა.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება კომიქსის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

Don't copy

III კომპლექსური დავალება

თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
საკითხი – გლობალიზაცია

სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: კულტურული გლობალიზაცია
ქვეცნება: ანტიგლობალიზმი, ალტერგლობალიზმი, ვესტერნიზაცია, გლოკალიზაცია, კულტურა, სუბკულტურა, კონტრკულტურა.

საკვანძო შეკითხვა:
- შესაძლებელია თუ არა გლობალური და ლოკალური ინტერესების თანხვედრა?
- რატომ „ებრძვიან“ ანტიგლობალისტები მსოფლიო სავალუტო და საბანკო სისტემებს?

კომპლექსური დავალება:
ბრენდ-გლოკალიზაცია – საქართველო (სარეკლამო პოსტერი)

წარმოიდგინე, რომ ხარ მარკეტინგის სპეციალისტი. მსხვილმა სადისტრიბუციო კომპანიამ დაგიკვეთა, რომ შექმნა პოსტერი, რომლის მეშვეობითაც მსოფლიო ბრენდს (შეგიძლია, შეარჩიო ნებისმიერი) გაუმარტივდება საქართველოს ბაზარზე დამკვიდრება.

სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი** მოსწავლეს შეუძლია:	ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
მდგრადი განვითარება • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.	• მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად; • მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	• რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენი შერჩეული ბრენდის (ბუნებრივი თავისებურებების) განვითარებამ გლობალურ ეკონომიკაზე; **(მდგრადი განვითარება მ.წ.1)** • როგორ შეუწყობს ხელს ბრენდის ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესს. **(მდგრადი განვითარება მ.წ.2)**

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
- როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?
- რა არის სარეკლამო პოსტერი?
- გაქვს თუ არა სარეკლამო პოსტერზე მუშაობის გამოცდილება?
- როგორ უნდა შევქმნა სარეკლამო პოსტერი და რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება მასზე მუშაობის დროს?
- როგორ ჩამოვაყალიბო სარეკლამო პოსტერი სტრუქტურა?
- რა მნიშვნელოვანი კომპონენტები უნდა გამოვყო სარეკლამო პოსტერში?
- ვისთვის უნდა შევქმნა სარეკლამო პოსტერი?

Don't copy

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება
ქვესაკითხი: კულტურული გლობალიზაცია
ქვეცნება: ანტიგლობალიზმი, ალტერგლობალიზმი, ვესტერნიზაცია, გლოკალიზაცია, კულტურა, სუბკულტურა, კონტრკულტურა.

ნაბიჯი 1

- რა გავლენა მოახდინა გლობალურმა ეკონომიკურმა პროცესებმა გლობალიზაციის პროცესის განვითარებაზე? **§ 31**
- რა სფეროებს გამოყოფენ გლობალიზაციის პროცესის შესწავლისას? **§ 31**
- რა დადებითი შედეგები მოჰყვა გლობალიზაციის პროცესს? **§ 31**
- როგორ განვითარდა გლობალიზაციის პროცესი დღემდე? **§ 31**
- რა პრინციპებს ეყრდნობა გლობალიზაცია? **§ 31**
- რას ნიშნავს ანტიგლობალიზმი? **§ 31**
- რას ითხოვენ ალტერგლობალისტები? **§ 31**
- რა განსხვავებაა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ გლობალიზმს შორის? **§ 31**
- შეუძლია თუ არა ეკონომიკურ გლობალიზაციას სარგებელი მოუტანოს გლობალური სამხრეთის ქვეყნებს? **§ 31**
- არის თუ არა კავშირი გლობალური განვითარების მიზნების მიღწევასა და გლობალიზმს შორის? **§ 31**
- რატომ ხდება კულტურული გლობალიზაცია? **§ 32**
- რატომ დაიწყო ვესტერნიზაციის პროცესი? **§ 32**
- როგორ მოქმედებს გლოკალიზაცია? **§ 32**
- რას წარმოადგენს ეკონომიკური გლობალიზაცია? **§ 32**
- რა განასხვავებს ერთმანეთისგან კულტურას, სუბკულტურასა და კონტრკულტურას? **§ 32**
- რატომ აქვს გარკვეულ სუბკულტურებს გლობალური ხასიათი? **§ 32**
- როგორ უწყობს ხელს გლოკალიზაცია ეკონომიკურ გლობალიზაციას? **§ 32**

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი სარეკლამო პოსტერი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სარეკლამო პოსტერია?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Do not copy

მესამე კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

კომპლექსური დავალების შეფასების სქემები
სარეკლამო პოსტერი

პირველი კომპლექსური დავალება **სარეკლამო პოსტერის შექმნა – ბრენდ-გლოკალიზაცია**	
სოლო ტაქსონომიის დონეები	**სამიზნე ცნება**
	მდგრადი განვითარება
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენა
	მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ • ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, რომ მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული, რომ გლობალური და ლოკალური ინტერესების გათვალისწინებით იქმნება გლოკალიზაციის პროცესი. მას შეუძლია, შეაფასოს, თუ რა გავლენას ახდენს გლობალური ეკონომიკური პროცესები გლობალიზაციის პროცესის განვითარებაზე. მას შეუძლია განაზოგადოს მსჯელობა და გააანალიზოს, თუ როგორ უწყობს ხელს გლოკალიზაცია ეკონომიკურ გლობალიზაციას.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, მას შეუძლია გააანალიზოს, რომ გლობალური და ლოკალური ინტერესების გათვალისწინებით იქმნება გლოკალიზაციის პროცესი. მას შეუძლია, იმსჯელოს იმ ურთიერთგავლენაზე, რომელიც გლობალურ ეკონომიკურ პროცესებსა და გლობალიზაციის პროცესის განვითარებას ახასიათებს. მას შეუძლია გააანალიზოს, თუ როგორ უწყობს ხელს გლოკალიზაცია ეკონომიკურ გლობალიზაციას.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, მას შეუძლია აღწეროს გლოკალიზაციის პროცესი, მაგრამ უჭირს მისი დაკავშირება გლობალურ და ლოკალურ ინტერებთან. მას შეუძლია, აღწეროს გლობალური ეკონომიკური პროცესები და გლობალიზაციის პროცესი.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ აკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მიერ შექმნილ სარეკლამო პოსტერში ჩანს, მას უჭირს გლოკალიზაციის პროცესის აღწერა და გლობალურ და ლოკალურ ინტერებთან მისი დაკავშირება. მას უჭირს, აღწეროს გლობალური ეკონომიკური პროცესები და გლობალიზაციის პროცესი.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლემ საერთოდ ვერ გაიგო დავალების პირობა, შესრულებული დავალება არ შეესაბამება კომიქსის ფორმატს, მოცემული ინფორმაცია აცდენილია პირობაში მოცემულ საკითხებს.

Demo copy

5. შეფასების რუბრიკა – სოლოტაქსონომია

მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოგვადგება „სოლოტაქსონომია“. „სოლო“, ინგლისურად „SOLO“, აბრევიატურაა და პირდაპირ თარგმანში ნიშნავს „დაკვირვებადი სწავლის შედეგების სტრუქტურას“ (SOLO – Structure of Observed Learning Outcome).

შეფასების ეს სტრუქტურა 1982 წელს შეიმუშავეს ჯონ ბიგსმა და კევინ კოლინზმა. მათი მიზანი იყო სწავლის ხარისხის უკეთესი და მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების საშუალების შექმნა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე იგი სწორედ ამ მიზნების გათვალისწინებით იხვეწებოდა და ყალიბდებოდა. დღეისთვის მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება შეფასების მთავარ საშუალებად სოლოტაქსონომიას იყენებს.

სოლოტაქსონომიის ავტორების (ჯ. ბიგსი, კ. კოლინზი) მთავარი მიგნებაა სწავლის შედეგების კლასიფიცირება კომპლექსურობის თვალსაზრისით. ის უარყოფს შეცდომების დათვლით მიღებულ რაოდენობრივ მაჩვენებელს და უფრო ფართოდ (თვისებრივად) აფასებს მოსწავლის მიერ ჩატარებულ სამუშაოს.

ავტორების აზრით, სწავლის პროცესის დასაწყისში ჩვენ შესასწავლ საკითხში ვამჩნევთ ან მხოლოდ ერთ, ან მცირე რაოდენობის ასპექტს, ანუ უნისტრუქტურულ დონეზე ვიმყოფებით, შემდეგ – რამდენიმე ასპექტს, თუმცა ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის (მულტისტრუქტურული დონე), შემდეგ ვსწავლობთ მათ დაკავშირებას (მიმართებითი) და ბოლოს ვაზოგადებთ და შეგვიძლია ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება (აბსტრაქტული დონე). მოდელიდან კარგად ჩანს, რომ სწავლა-სწავლებით შემეცნების პროცესი პირობითად ორ კატეგორიადაა დაყოფილი: დეკლარაციული ცოდნა და ფუნქციური ცოდნა. დეკლარაციულ ცოდნას განეკუთვნება უნისტრუქტურული და მულტისტრუქტურული დონეები, ხოლო ფუნქციურ ცოდნას – მიმართებითი და აბსტრაქტული დონე. სწავლასწავლების მიზანი უნდა იყოს მოსწავლის მიერ ფუნქციური ცოდნის შეძენა.

სოლოტაქსონომიით შესაძლებელი ხდება, შეფასდეს როგორც დეკლარაციული ცოდნა – „რა იციან მოსწავლეებმა?“, ისე ფუნქციური ცოდნა – „რის გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს?“

ვიდრე მასწავლებლის მიერ სოლოტაქსონომიით სწავლა-სწავლების დროს მოსწავლის შეფასებაზე გადავალთ, გთავაზობთ მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკას. შეგიძლიათ, გამოიყენოთ სწავლების პროცესში.

Don't copy

სოლოტაქსონომია – მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

	პრესტრუქტურული	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
ფუნქციური ცოდნა	მჭირდება დახმარება დავალების შესასრულებლად	თუ ზუსტად ამიხსნიან ან მაჩვენებენ, როგორ კეთდება, შემიძლია გავაკეთო.	შემიძლია გავაკეთო, მაგრამ არ ვიცი რისთვის, რატომ ან როდის და ამიტომაც ხშირად ვუშვებ შეცდომებს.	ვიცი რისთვის, რატომ და როდის გავაკეთო და, შესაბამისად, ვაკეთებ. შემიძლია აღმოვაჩინ და შევასწორო ჩემ მიერ დაშვებული შეცდომები.	ვიცი რისთვის, რატომ და როდის გავაკეთო და, შესაბამისად, ვაკეთებ. უკუკავშირი მეხმარება გაუმჯობესებაში. შემიძლია გამოვნახო ახალი გზები დავალების უკეთ შესასრულებლად. ჩემი მოქმედება სხვებისთვის მაგალითი და ვეხმარები კიდეც მათ.
დეკლარაციული ცოდნა	მჭირდება დახმარება, რომ დავიწყო ცოდნის დაგროვება.	მაქვს საკითხის შესახებ ერთი რელევანტური აზრი/წარმოდგენა (მწირი ცოდნა).	მაქვს საკითხის შესახებ არაერთი რელევანტური აზრი/წარმოდგენა.	მაქვს საკითხის შესახებ არაერთი რელევანტური აზრი/წარმოდგენა და შემიძლია მათი ერთმანეთთან დაკავშირება.	მაქვს საკითხის შესახებ არაერთი რელევანტური აზრი/წარმოდგენა და შემიძლია მათი ერთმანეთთან დაკავშირება და მათი ახლებურად გააზრება.

Don't copy

უკეთ რომ შეძლოთ მოსწავლის სოლოტაქსონომიის მიხედვით შეფასება, გთავაზობთ ჩამონათვალს, თუ რა შეუძლია მოსწავლეს თითოეულ საფეხურზე:

1. **სოლო – პრესტრუქურული დონე**
   მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს შესასწავლ საკითხს. იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.
2. **სოლო – უნისტრუქტურული დონე**
   მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა, გახსენება, მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება, პარაფრაზირება, იდენტიფიცირება, დასახელება.
3. **სოლო – მულტისტრუქტურული დონე**
   მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართების გაგების გარეშე. მას შეუძლია აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება.
4. **სოლო – მიმართებითი დონე**
   მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის. ასევე, როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად, აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები; გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია; ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით.
5. **სოლო – გაფართოებული აბსტრაქტული დონე**
   მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.

სოლო დონე	**ზმნები**
სოლო 2. უნისტრუქტურული	განსაზღვრა, იდენტიფიცირება, დასახელება, გამოტანა, მოძიება, აღნიშვნა, მორგება/დაკავშირება, მარტივი პროცედურის დაცვა.
სოლო 3. მულტისტრუქტურული	აღწერა, ჩამოთვლა, გეგმვა, შევსება, გაგრძელება, კომბინირება, დათვლა.
სოლო 4. მიმართებითი	მიმდევრობის შექმნა, კლასიფიცირება, მსგავსება-განსხვავების აღმოჩენა, ახსნა (მიზეზების და შედეგების), გაანალიზება, ანალოგიის მოყვანა, ორგანიზება, განსხვავების პოვნა, კითხვის დასმა, მიმართების დამყარება, გამოყენება, აღწერა.
სოლო 5. გაფართოებული აბსტრაქტული	განზოგადება, განჭვრეტა, შეფასება, დაფიქრება/რეფლექსია, ჰიპოთეზის წამოყენება, თეორიის ჩამოყალიბება, შექმნა, გადამოწმება, დადასტურება, დასაბუთება, პრიორიტეტების დასახვა, გაფორმება, შედგენა, წარმოდგენა (პერფორმანსი), ახსნა, გამოყენება, გაანალიზება.

Don't copy

გაითვალისწინეთ, რომ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის მიზანია, მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს გაფართოებულ აბსტრაქტულ დონესთან. შეფასების რუბრიკებში განმავითარებელი კომენტარის ფორმულირებაში დაგეხმარებათ შემდეგი სარეკომენდაციო რუბრიკა ხუთი ცნებისა და ხუთი კრიტერიუმისთვის. კომენტარს ჩაწერთ იმ მოლოდინისა და სამიზნე ცნების გადაკვეთაზე, რომელსაც აკმაყოფილებს კონკრეტული მოსწავლე.

თემა _____

საკითხი _____

კომპლექსური დავალების პირობა _____

სამიზნე ცნება / **კრიტერიუმი**	**გეოგრაფიული გარსი**	**მოსახლეობა და მეურნეობა**	**მდგრადი განვითარება**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას (ცოდნის განზოგადება, პარალელების გავლება) პირად გამოცდილებას (საქართველოს მაგალითზე ან/და სადაც ეს შესაძლებელია) და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მაკროცნებაზე/მაკროცნებებზე კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს გეოგრაფიულ გარსთან დაკავშირებულ საკითხებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.	მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს მოსახლეობასა და მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.	მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების / სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.

Don't copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანამიმდევრული სახე.	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანამიმდევრული სახე.	მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანამიმდევრული სახე.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/ სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/ სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.	მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/ სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.	მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას.

შენიშვნა: პირველი ოთხი დონე (პრესტრუქტურული, უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული, მიმართებითი) ყველა ცნებასთან მიმართებით პრაქტიკულად იდენტურია, მეხუთე – აბსტრაქტული დონე კი საერთოა ყველა სამიზნე ცნებისთვის.

Don't copy

IV თავი
პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებს

ძვირფასო კოლეგებო, სახელმძღვანელოს გაცნობისთანავე მიხვდებოდით, რომ პარაგრაფებში მოცემული დავალებები დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზეა დაფუძნებული. თქვენი გადასაწყვეტია, მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, რომელ დავალებას ჩათვლით საჭიროდ, რომ შესრულდეს და რა ფორმით მიიჩნევთ შესრულებულად – საკლასო აქტივობებში გამოიყენებთ თუ საშინაო დავალებად. თქვენ წყვეტთ, რა არის შესასრულებელი დავალების მიზანი: დავალების კეთების პროცესი, გამოთქმული მოსაზრების არგუმენტირება და ფაქტებით გამყარება თუ ერთი კონკრეტული პასუხი.

ჩვენი შემოთავაზებაა, კომპლექსურ დავალებებთან ერთად, სურვილისა და შესაძლებლობის ფარგლებში, მოსწავლეები ჩართოთ რუბრიკა „დედამიწის მეგობართა ფორუმის“ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულების პროცესში. ვფიქრობთ, რუბრიკაში მოცემული დავალებები გაკვეთილს უფრო სახალისოს და რაც მთავარია სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულს გახდის.

ქვემოთ გთავაზობთ, სახელმძღვანელოში მოცემული ზოგიერთი დავალების შესასრულებლად საჭირო აქტივობის შესახებ პრაქტიკულ რჩევებს.

1. ჯგუფური სამუშაო

სახელმძღვანელოში ზოგიერთი დავალების შესასრულებლად საჭიროა ჯგუფური აქტივობა. ამიტომაც გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას, რომლებიც დაგეხმარებათ ამ აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, რა არის ჯგუფი და რა წინააღმდეგობა შეიძლება გაჩნდეს ასეთი აქტივობის დროს პიროვნების განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც თქვენი მოსწავლეები იმყოფებიან.

ხშირად მასწავლებლები კლასში მოსწავლეებისგან ვქმნით შემთხვევით ჯგუფებს და აქტივობის მსვლელობისას აღმოვაჩენთ, რომ „ჯგუფი ვერ შედგა“ ან ჯგუფებს შორის გაჩნდა არაჯანსაღი კონკურენცია, ჯგუფის რომელიმე წევრი ზარმაცობს და სხვა წევრებს ორმაგად უწევთ მუშაობა. ყველაფრის სათავე კი ჯგუფური სამუშაოს არასწორი დაგეგმვაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები მიდრეკილები ვართ საკუთარი ჯგუფის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებაში და პირიქით, გარე (სხვა) ჯგუფის მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში. რაც უფრო მაღალია შიდა (საკუთარი) ჯგუფის შეჭიდულობის ხარისხი, მით უფრო მეტადაა შესაძლებელი, ჩამოყალიბდეს ე. წ. „ჯგუფური აზროვნება“, როდესაც ჯგუფი ისე ფილტრავს მონაცემებს, რომ მიაღწიოს კონსესუსს და დაუახლოვოს ლიდერის მოსაზრებას. თავისთავად ეს პროცესი დადებითი მოვლენაა, მაგრამ თუ გარე ჯგუფთან დამოკიდებულებაში არაჯანსაღ კონკურენციას შეუწყობს ხელს, მაშინ შეიძლება პრობლემადაც იქცეს. ესპერიმენტულადაა დამტკიცებული, რომ ჯგუფებს შორის დაპირისპირება შეიძლება, ერთი შეხედვით უმარტივესი განსხვავებულობის გამოც კი წარმოიშვას, ამავე

Don't copy

დროს ჯგუფში გამოიკვეთოს ლიდერი და დაიჩაგროს ზოგიერთი წევრი (მუზაფერ შერიფი, „ჯგუფური კონფლიქტის ექსპერიმენტი“).

- **როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან შიდა ჯგუფის მიმართ ისეთი მიკუთვნებულობა, რომელიც გარე ჯგუფის მიმართ მტრულად განეწყობა?**

ამისთვის საჭიროა, მოსწავლეებს დაჯგუფებამდე კარგად ესმოდეთ დავალების მიზანი და მიზნის მიღწევის საშუალებები. ასევე, ძალიან კარგი იქნება, თუ ჯგუფური სამუშაო ისე დაიგეგმება, რომ ჯგუფების მიერ შექმნილი პროდუქტი არა დამოუკიდებელ, არამედ ერთი დიდი მიზნისა და პროდუქტის შემადგენელი ნაწილი იქნება. ამ შემთხვევაში კლასის ყველა მოსწავლე ერთი ჯგუფის წევრად ჩათვლის თავს.

- **როგორ შევქმნათ ჯგუფი?**

მასწავლებლებმა ვიცით, შედეგის მისაღებად რა მნიშვნელოვანია ჯგუფის შექმნის პროცესი. ხშირად მოსწავლეთა ნაწილი პრეტენზიასა და პროტესტს გამოთქვამს იმ ჯგუფის მიმართ, რომელშიც შემთხვევითი შერჩევით ან ჩვენ მიერ არიან განაწილებული. შეიძლება პრობლემა წარმოიშვას იმ შემთხვევაშიც, თუ უფლებას მივცემთ, თავად ჩამოაყალიბონ ჯგუფები. ასეთ დროს დიდია რისკი, რომ კლასში აღმოჩნდეს მოსწავლე, რომელთანაც მუშაობა არც ერთ ჯგუფს არ უნდა (შეიძლება, ჯგუფის რომელიმე წევრ უნდოდეს კიდეც, მაგრამ ჯგუფის მიმართ კონფორმულობის გამო ეს არ თქვას), რაც თავისთავად გარიყული მოსწავლის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე აისახება. ან თავიდან უნდა ავიცილოთ ასეთი შემთხვევა, ან შევწყვიტოთ ჯგუფური სამუშაო, ვიდრე არ გამოვნახავთ სხვა ფორმასა და საშუალებას, რომ იგივე არ განმეორდეს. გახსოვდეთ, არც ერთი აქტივობა არ ღირს იმად, რომ მოსწავლის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას საფრთხე შეექმნას. როგორ ავირიდოთ თავიდან ასეთი შემთხვევა? სამართლიანი იქნება, თუ მოსწავლეებს წინასწარ გავაცნობთ ჯგუფის წევრთა როლებს და მოვალეობებს. ავუხსნით, რომ ზოგიერთი ადამიანი უკეთ ხატავს, ზოგიერთი უკეთ იღებს ფოტოს, ზოგიერთი უკეთ ამონტაჟებს ვიდეომასალას. ამიტომ თქვენ შექმენით ისეთი დავალების ინსტრუქცია, რომ ყველა მათგანის ინტერესი გაითვალისწინოთ და თქვენ გაანაწილოთ მოსწავლეები ისე, რომ მათი განსხვავებული უნარებიდან გამომდინარე, ყველა ჯგუფში მოხვდეს სხვადასხვა ინტერესების მქონე მოსწავლეები.

- **როგორ ავირიდოთ თავიდან „სოციალური სიზარმაცე“?**

ალბათ, დაკვირვებიხართ, ზოგჯერ ჯგუფის წევრი თითქმის არ ერთვება სამუშაო პროცესში. ასეთ ქცევას „სოციალური სიზარმაცე“ ეწოდება და ეს ხშირად სულაც არ არის გამოწვეული მოსწავლის მიერ საქმის თავიდან არიდებით ან სიზარმაცით. უნდა გვახსოვდეს, რომ „სოციალური სიზარმაცე“ შეიძლება წარმოშობილი იყოს მოსწავლის მიერ დაბალი თვითშეფასების ნიადაგზეც. შესაძლოა, მოსწავლე თავს არაკომპეტენტურად ან, სხვა მოსწავლეებთან შედარებით, ნაკლებკომპეტენტურად თვლიდეს და ამიტომაც არ ერთვებოდეს ჯგუფის საქმიანობაში. ეს იწვევს ჯგუფის სხვა წევრების გაღიზიანებას და შეიძლება, ასეთ მოსწავლეზე დამატებითი სოციალური წნეხი განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვრული როლები, მასწავლებლის ჩართულობა, წახალისება და, თუ საჭირო გახდა, მიზეზის ინდივიდუალურად, მოსწავლესთან კომუნიკაციის მეშვეობით იდენტიფიცირება.

Don't copy

ამრიგად, მასწავლებელმა ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვისას და განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- წინასწარ დაგეგმოს დავალების ინსტრუქცია ისე, რომ ცალკეულ ჯგუფებს გააზრებული ჰქონდეთ: საერთო მიზანი ყველა ჯგუფის წარმატების შემთხვევაში მიიღწევა.
- განსაზღვროს ჯგუფში როლები და როლების მიხედვით გაანაწილოს მოსწავლეები ჯგუფებში. შეიძლება, ჯგუფში როლები მოსწავლეებმა გაინაწილონ, მაგრამ ამ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა მეთვალყურეობდეს, რომ რომელიმე მოსწავლე არ დაიჩაგროს.
- ჯგუფური მუშაობის დროს მოახდინოს ისეთი მოსწავლის იდენტიფიცირება, რომელიც არ ერთვება ერთობლივ საქმიანობაში. მოსწავლესთან გაარკვიოს მიზეზი და ხელი შეუწყოს ჯგუფში მისი ინტეგრაციის პროცესს.

გახსოვდეთ, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის მიზანი ცოდნის გადაცემა არ არის. მნიშვნელოვანია პროცესი, რომელიც მოსწავლეში გამოიწვევს ძიების სურვილს და მისცემს საშუალებას, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ინფორმაციის მოპოვების, გადამუშავების, სისტემატიზაციისა და კონსტრუირების საშუალებით მოსწავლემ უნდა შექმნას საკითხის შესახებ ცოდნა. სწავლა-სწავლების პროცესი ამავე დროს შედეგია.

2. დისკუსია

მოსწავლის წიგნში ყველა საკითხს თან ახლავს რუბრიკა „დედამიწის მეგობართა ფორუმი“, რომლის ნაწილიცაა სასწავლო აქტივობა „დისკუსია“. საკითხის შესახებ სადისკუსიო შეკითხვა, რომელიც დავალებაშია მოცემული, ხშირად მოსწავლეებისგან ითხოვს როგორც გეოგრაფიის, ისე სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის განსაზღვრული საკითხების გააქტიურებასა და შესაბამისად გამოყენებას.

დისკუსია ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარების განვითარებას. სახელმძღვანელოში დავალების პირობა ფორმულირებულია ორი განსხვავებული თვალსაზრისით. აქტივობა იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა არგუმენტირებულად დაასაბუთონ თავიანთი პოზიციები.

როგორც წესი, საკლასო დისკუსია ჯგუფური აქტივობაა, შესაბამისად, შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯგუფური სამუშაოსთვის შემოთავაზებული რჩევები.

გაითვალისწინეთ, რომ დასმული საკითხისადმი თქვენი ნეიტრალური პოზიცია და საორგანიზაციო (წინასწარ და მსვლელობისას) გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია დისკუსიის გამართულად წარმართვისათვის. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას საკლასო დისკუსიისთვის:

- აქტივობის გამართვამდე მოსწავლეებს გააცანით დისკუსიის გამართვის მიზანი და წარმართვის წესები (ქცევის სათანადო ნორმები);
- კარგი იქნება, თუ მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებთ იმ წესებს, რომლებიც შემდეგ თვითონ უნდა დაიცვან. მაგალითად, ავწიოთ ხელი პოზიციის გამოსახატავად; უზრუნველვყოთ, რომ ჯგუფის ყველა წევრი იყოს ჩართული და ა. შ.

Don't copy

- შეგიძლიათ, წინასწარ განუსაზღვროთ როლები ჯგუფში მყოფ მოსწავლეებს. ერთმა ჩამოწეროს არგუმენტები, მეორემ მოძებნოს საკითხის შესახებ არსებული ფაქტები, მესამემ მოამზადოს შეკითხვები, მეოთხემ წარმოადგინოს ჯგუფის საერთო აზრი და ა. შ.
- მიაქციეთ ყურადღება, რომ სხვადასხვა დროს ჩატარებული დისკუსიის დროს ჯგუფებში იცვლებოდეს მოსწავლეთა შემადგენლობა.

მოსწავლეებს წინასწარ უნდა განუმარტოთ, რომ:

- არ არსებობს მცდარი და სწორი აზრი; არსებობს დასაბუთებული და დაუსაბუთებელი მოსაზრება;
- დისკუსიისას უამრავი პასუხი ჩნდება და არ არის აუცილებელი ერთადერთი დასკვნის გაკეთება;
- რადგან განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, საკუთარი თვალსაზრისის დაცვასთან ერთად სხვების თვალსაზრისსაც უნდა სცენ პატივი;
- აკრიტიკებენ მოსაზრებებს და არა – ადამიანებს;

დისკუსიის დროს მასწავლებელი აკონტროლებს, იცავენ თუ არა მონაწილეები დისკუსიის წესებს და თავისთვის აკეთებს შენიშვნებს შეფასებისთვის.

დისკუსიის დასრულების შემდეგ, შეგვიძლია, ჯგუფებს დავურიგოთ შემდეგი ანკეტა (შეუძლიათ ჯგუფურად ან ინდივიდუალურად შეავსონ).

	დიახ	**არა**	**ზოგჯერ**
დისკუსიაში მონაწილეობდა და აზრს გამოთქვამდა ჯგუფის ყველა წევრი.			
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრის დასაზუსტებლად და პროცესის გააქტიურების მიზნით.			
დისკუსია არ გასცილებია თემას.			
დაცული იყო დისკუსიის წესები.			

3. პრეზენტაცია

სახელმძღვანელოში არსებული დავალებების ნაწილი ითხოვს მოსწავლეთა მიერ დამუშავებული საკითხის პრეზენტაციას.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რა არის პრეზენტაცია. მოსწავლეებში გავრცელებულია მოსაზრება, რომ პრეზენტაცია არის საპრეზენტაციო ფაილის (ელექტრონული ან სხვა ფორმატის) წარდგენა, რაც თავისთავად სწორი არ არის. თემის პრეზენტაცია მოსწავლის მიერ საკითხის წინასწარი შესწავლის შედეგად ხდება. უმთავრესია საკითხის დამუშავება, ინფორმაციის სტრუქტურიზება და დახარისხება, ჭარბი ინფორმაციიდან

Don't copy

მნიშვნელოვანის გამოყოფა და აუდიტორიის წინაშე წარდგენა. საპრეზენტაციო ფაილი მხოლოდ დამხმარე ვიზუალური მასალაა, რომელიც ეხმარება პრეზენტატორს, უკეთ აუხსნას აუდიტორიას საკითხი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ და დავაგეგმინოთ პრეზენტაცია ისე, რომ ჯერ განსახილველი საკითხი მოამზადონ და შემდეგ – საპრეზენტაციო ფაილი (ელექტრონულ ან სხვა ფორმატში).

წინასწარ განსაზღვრეთ პრეზენტაციის მსვლელობის დრო პრეზენტაციის შემდგომი კითხვა-პასუხის ფორმატთან ერთად, რაც თქვენს მოსწავლეებს დაეხმარება, წინასწარ განსაზღვრონ და გამოყონ თემის ძირითადი საკითხები ისე, რომ არ დაარღვიონ დროის ლიმიტი.

საპრეზენტაციო თემის დამუშავებისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ:

- წყაროების სანდოობას, საიდანაც მოიპოვებენ ინფორმაციას (ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, გადაამოწმონ სხვა წყაროს მეშვეობით);
- პრეზენტაციის კეთებისას გაითვალისწინონ, რომ პირველ რიგში უნდა ისაუბრონ, რას ეხება პრეზენტაცია. წარმოადგინონ გეგმა, რას მოისმენს აუდიტორია თემის შესახებ პრეზენტაციის დროს;
- პრეზენტაციის დროს ეცადონ, არ გადაუხვიონ თემას;
- ბოლოს შეაჯამონ წარსადგენი თემა.

მართალია, ვთქვით, რომ საპრეზენტაციო ფაილი დამხმარე მასალაა, რომელიც პრეზენტატორს თემის წარდგენისას ეხმარება, მაგრამ ფაილის ტექნიკურ და შინაარსობრივ გამართულობაზე დამოკიდებულია აუდიტორიის განწყობაც პრეზენტაციის მსვლელობისას.

ამიტომ საჭიროა, მოსწავლეებს მივცეთ მკაფიო ინსტრუქცია, როგორ შექმნან საპრეზენტაციო ფაილი. შეგიძლიათ, მათ ასევე გაუგზავნოთ ვიდეოინსტრუქტორი (მრავლადაა ინტერნეტში), თუ როგორ ეწყობა ელექტრონული თუ სხვა ტიპის საპრეზენტაციო ფაილი.

ელექტრონული სახის საპრეზენტაციო ფაილის კეთებისას მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- პირველი და ბოლო სლაიდი უნდა ეთმობოდეს მისალმებას (საკითხი, პრეზენტატორი, მასწავლებელი, კლასი, სკოლა) და დამშვიდობებას;
- მეორე სლაიდზე წარმოდგენილი იყოს პრეზენტაციის გეგმა;
- ყველა სხვა სლაიდზე ინფორმაცია ვერბალურად ისე იყოს ორგანიზებული (ბულეტებად), რომ აუდიტორიის ინტერესი არ გააქროს, ანუ მოსწავლეებს აუხსენით, რომ თუ ვრცელ ტექსტს მოათავსებენ, რომელსაც იდენტურად გაიმეორებენ, ინტერესი დაიკარგება. ინფორმაციამ უნდა გამოიწვიოს და დააინტერესოს აუდიტორია, რომ მოუსმინონ პრეზენტატორს;
- სხვა ვიზუალური მასალა (ფოტო, ცხრილი, დიაგრამა) არ იყოს ჭარბად განთავსებული სლაიდზე. საკმარისია ორი ფოტო ერთ სლაიდზე, ვინაიდან შეიძლება აუდიტორია გაიტაცოს „მრავალფეროვანმა“ ვიზუალურმა მასალამ და პრეზენტატორის მიმართ ინტერესი დაიკარგოს;

Don't copy

- აუცილებელია, ფერებისა და შრიფტების შერჩევისას გაითვალისწინონ, რომ ტექსტი უნდა იკითხებოდეს (კონტრასტული იყოს). შრიფტის ზომა საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ უკანა რიგებში მსხდომებმაც გაარჩიონ და წაიკითხონ იგი. ფერების სიმრავლემაც შეიძლება გაუფანტოს ყურადღება აუდიტორიას;
- კარგი იქნება, თუ ბოლოს წინა სლაიდზე განათავსებენ წყაროებს შემდეგი თანამიმდევრობით: სტატიის დასახელება, ავტორი, გამოცემის თარიღი ან ელექტრონულად განთავსების თარიღი, საიტი ან წიგნი, სადაც იყო სტატია და ბოლოს – თუ ინტერნეტში მოიძიეს, მათ მიერ წყაროს ნახვის დრო. წყაროების მითითება მოსწავლეებს გამოუმუშავებს მათი მოძიების, დახარისხებისა და სანდოობის განსაზღვრის უნარს.

4. კომიქსი

კომიქსი ვიზუალური ხელოვნების ფორმაა, რომელიც მოიცავს ტექსტებისა და გამოსახულებების კომბინაციას. მას ძალიან ხშირად გამოიყენებენ სასწავლო მიზნებისთვის, რადგან იგი, ერთი მხრივ, მოსაწავლეების ვიზუალური აზროვნების უნარი განვითარებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი, მოკლედ გადმოცემული ძირითადი აქცენტები, რომლებსაც ვიზუალური მასალაც ახლავს თან მოსწავლეს უმარტივეს საკითხის გაგებას. შესაბამისად, სასწავლო მიზნით ჩვენ თავად შევქმნათ კომიქსები ან მოვიძიოთ ამა თუ იმ თემაზე უკვე შექმნილი კომიქსები, ასევე, შეგვიძლია მოსწავლეებს ვთხოვოთ, თავად შექმნან ისინი.

რა უპიტარესობები აქვს კომიქსს?

- მოსწავლე, კომიქსის სტრუქტურიდან გამომდინარე, არჩევს ძირიათად ინფორმაციას, საკვანძო საკითხებს. შესაბამისად, იოლია იმის მიხვედრა, რამდენად მოახერხა მოსწავლემ ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის კატეგორიზაცია;
- კომიქსის შექმნისას მოსწავლემ აუცილებლად უნდა გამოიყენოს ვიზუალური ელემენტები, ამისათვის კი კარგად უნდა გაიაზროს ის საკითხი, რომლის წარმოჩენაც სურს;
- კომიქსის შექმნა ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ამავდროულად, ამ პროცესში ჩართულია ვიზუალური აზროვნებაც;

როგორ უნდა შევქმნათ კომიქსი?

- კომიქსი შეიძლება დავხატოთ ხელითაც ან გამოვიყენოთ შემდეგი პლატფორმა https://www.storyboardthat.com/;
- კომიქსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სიუჟეტი, ამისათვის კი საჭიროა, მოვიფიქროთ, ამბავი, რომლითაც გადმოვცემთ ჩვენ მიერ შერჩულ საკითხს;
- კარგი იქნება, თუ კომიქსში გვექნება დიალოგები;
- მნიშვნელოვანია, რომ ტექსტსა და ვიზუალურ მასალას შორის იყოს ბალანსი.

Don't copy

5. სატელევიზიო სიუჟეტის სცენარი

ანალიტიკური ჟურნალისტიკის არსი

(ამონარიდი)

ანალიტიკური ჟურნალისტიკა ინტელექტუალურ-პოლიტიკური ლანდშაფტის გაშუქების ერთ-ერთი საშუალებაა. ანალიტიკური ჟურნალისტიკა აღწერს და აანალიზებს ცხოვრებისეულ პრობლემებს თანამედროვე საზოგადოების ღირებულებების კონტექსტში. არაერთი ავტორის თვალთახედვით, სერიოზული ჟურნალისტიკა უნდა იყოს ანალიზური. მიიჩნევენ, რომ იგი ჟურნალისტიკის უმაღლესი სტილია. მისი კრიტერიუმები მთელ მსოფლიოში უნივერსალურია. უპირველეს ყოვლისა, ანალიტიკურ ჟურნალისტიკაში მთავარია ჟურნალისტის ინტელექტის ხარისხი, პრობლემურ სივრცეში მოვლენათა გააზრების უნარი, ასევე, აუცილებელია სიტყვის, ფრაზის ფლობა. რთული აზრები სავსებით გასაგებად და მკაფიოდ უნდა გადმოიცეს. ჟურნალისტი არ წერს ექსპერტებისათვის, მისი აუდიტორიის მასშტაბები შემოუსაზღვრელია და იდეალურ შემთხვევაში, ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც კითხვა შეუძლია, უნდა გაიგოს ჟურნალისტის სათქმელი. ანალიტიკურ ჟურნალისტიკაში აზრის გამოხატვის საშუალებებია ისეთი ჟანრები, როგორებიცაა: სტატია, მიმოხილვა (რევიუ), პორტრეტი, ფიჩერი, სვეტი, ბლოგი, რეპორტაჟი და სხვ.

ანალიტიკური ჟურნალისტიკა არა მხოლოდ აფიქსირებს ფაქტებს, არამედ განსაზღვრავს და ადგენს მოვლენათა შორის კავშირს. მკითხველი (მსმენელი, მაყურებელი) რომ ყველაფერში გაერკვეს, ჟურნალისტს უწევს დააზუსტოს მიზეზები და მოვლენების განვითარების პირობები, განსაზღვროს დაფარული მოტივები და დაასაბუთოს თვალსაზრისები და იდეები. ანალიტიკური ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელია თემატური მრავალფეროვნება. ეს თემებია: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სპორტი, სამხედრო თემა და სხვ, იგი შესაძლებელს ხდის ფაქტების შეჯერებას, ამავე დროს საკუთარი ვერსიის შეთავაზებას, ანდა ფაქტების წარმოჩენის შემდეგ თავად აუდიტორიამ უნდა გამოიტანოს საჭირო დასკვნები.

საზოგადოებრივ პროცესებზე დაკვირვება, მიზეზების ახსნა, სიტუაციების შეცვლის საფუძვლების, მოტივების, ინტერესების, განზრახვების, სოციალური ძალების მოქმედების, განვითარების წინააღმდეგობრივი ტენდენციების, სამართლიანობის, სხვადასხვა მოსაზრებით გამყარებული თვალთახედვების, განსხვავებული პოზიციების განსჯას.

თავისებურებანი:

1. ტექსტში უნდა გამოიკვეთოს მიზეზები, მოტივები, არგუმენტები;
2. პროცესის შემეცნება პირველ ადგილზეა. ამას ემსახურება ავტორთა განსჯა და დასაბუთება.

   შემეცნების ფართოდ გამოყენებული მეთოდებია:

- შედარება (განსხვავების გამოსავლენად);
- ანალოგია (მსგავსების გამოსავლენად);
- შეფასება (იდეალთან შესაბამისობის შესამოწმებლად);
- დეტალიზაცია (მნიშვნელოვანი დეტალების წარმოჩენა);

Don't copy

- ახსნა (მიზეზ-შედეგობრიობის ასახსნელად);
- ვარაუდი (ჰიპოთეზის აგება);
- განვრცობა (მოვლენათა საერთო რგოლის გამოვლენა).

ანალიზური ჟურნალისტიკის ფუნქციები:

იგი მასობრივ აუდიტორიას სოციალური ორიენტაციის შესაძლებლობას აძლევს. მხოლოდ ანალიტიკურ ტექსტს შეუძლია წარუდგინოს აუდიტორიას ფაქტები და მათი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირები. შესთავაზოს მას ახსნა, შეფასება, დაასაბუთოს მოვლენის შესაძლო განვითარების პროგნოზი.

თემების მოძიება:

რამდენიმე „კითხვათა" მეთოდი აღწერა გერმანელმა მედიაკონსულტანტმა იენს-უვე მეიერმა. მათგან ყველაზე მარტივი მეთოდია „მეხუთე წუთი", როდესაც ჟურნალისტი არჩევს მოვლენას, რომლის შესახებაც სურს დაწეროს, შემდეგ კი საკუთარ თავს უსვამს შემდეგ კითხვებს:

- როგორ ასოციაციებს იწვევს ჩემში ეს მოვლენა?
- რა განვიცადე, დავინახე და გავიგონე, ამასთან დაკავშირებით?
- რა არ ვიცი ამ მოვლენის შესახებ?
- როგორი კლიშეები არსებობს ამასთან დაკავშირებით მასობრივ ცნობიერებაში?
- რას იტყოდნენ ამ მოვლენის შესახებ ჩემი მეზობლები, ნაცნობები?

შეიძლება გამოვიყენოთ „თაშ"-მეთოდი, აბრევიატურა იშიფრება ასე: „თემა, ასოციაცია, შეკითხვები". თემა, – ეს არის რაღაც საკვანძო ცნება. მას წერენ ქაღალდის შუაგულში და მას ირგვლივ წრეს შემოავლებენ. შემდეგ ამ ცნების გარშემო მომცრო წრეებში ჩაწერენ ასოციაციებს – ყველაფერს, რაც კი თავში მოუვათ. როცა ასოციაციების შერჩევა დასრულდება, ჟურნალისტი იწყებს მათ შესახებ კითხვების მოფიქრებას.

მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია შეკითხვების გამოყენებაზე

მეთოდები: „სახეობის შეცვლა", „დროში გადანაცვლება", „სიღრმისეული" და „სპეკულაციური".

„სახეობის შეცვლა"

- როგორ ჩანს თემა სხვა მხრივ?
- როგორ შეიძლება ამ თემის სხვაგვარად ფორმულირება?
- როგორ იქცევიან სხვა ადამიანები ანალოგიური პრობლემის არსებობის შემთხვევაში?
- რა არ უნდა გააკეთონ მონაწილეებმა არავითარ შემთხვევაში?

„დროში გადანაცვლება"

- როდის გამომჟღავნდა პრობლემა?
- რაში გამოიხატებოდა ადრე?
- როგორ ცდილობდნენ ადრე პრობლემის გადაწყვეტას?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ პრობლემამ მოავალში?

Don't copy

„სიღრმისეული საკითხები“

- რატომაა ეს ასე?
- რომელ პრობლემებს ეხება ეს?
- რა მოტივები ჰქონდათ მოქმედ პირებს?
- რა შესაძლებლობები არსებობს სიტუაციის გადასაწყვეტად?

„სპეკულაციური“ კითხვები

ეს არის კითხვები შესაძლებლობების შესახებ.

- რა მოხდებოდა, რომ...

ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეკ ბანაჟინსკიმ აღწერა „ექვსი ბილიკის“ მეთოდი, რომლსაც პირობითად უწოდა: პროფილი, ახსნა, ტრენდი (ტენდენცია), გამოძიება, თხრობა და აღწერა. ამ „ბილიკებში“ დაჯგუფებულია შესაბამისი შეკითხვები.

1. პროფილი – იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც მოვლენების უკან დგანან;
2. ახსნა – ეს არის მოვლენის წინაისტორია;
3. ტრენდი – ესაა მოვლენა მთლიანობაში;
4. გამოძიება – ეს არის საკითხის ისტორიაში გარკვევა და ჭეშმარიტების დადგენა;
5. თხრობა – ეს არის ისტორია მთავარ გმირზე, სიუჟეტზე, კვანძის შეკვრა და კვანძის გახსნა;
6. აღწერა – ეს არის დღე გმირების ცხოვრებიდან.

   იმისთვის, რომ განვიხილოთ, თუ როგორ უნდა მოხდეს მოვლენათა ანალიზი და ანალიზის ელემენტების გამოყენება საგაზეთო პუბლიკაციასა და სატელევიზიო სიუჟეტში, აუცილებელია გავეცნოთ ზოგადი ანალიზის კომპონენტებს, რომლებსაც არამხოლოდ ჟურნალისტები იყენებენ. ამ კომპონენტების გაცნობის შემდეგ უფრო მარტივი იქნება დამატება იმ ელემენტებისა, რომლებიც საკუთრივ ჟურნალისტიკისთვისაა ნიშანდობლივი.

გამოჰყოფენ 5 ელემენტს და მასთან შესაბამის კითხვებს, რომლებიც აუცილებელია ტექსტის ანალიზისთვის.

5 ელემენტი კითხვა-განმარტება. ესენია:

1. ფაქტი – რა? რა არის მთავარი სათქმელი, რის ირგვლივაც იშლება მთელი მსჯელობა? ეს შეიძლება იყოს მოვლენა ან აზრი, რომელიც უნდა დასაბუთდეს ან უარიყოს;
2. მოტივი – რატომ? მოტივი არის იმ მიზეზთა ახსნა, თუ რატომ მოხდა ფაქტი, ან რამ განაპირობა აზრის ჩამოყალიბება;
3. არგუმენტი – საიდან ჩანს? არგუმენტი არის ის მტკიცებულება ან კონკრეტული მაგალითი, რომელიც აღნიშნულ მოტივს ასაბუთებს;
4. შეჯამება – რის თქმის საშუალებას გვაძლევს არგუმენტი? შეჯამება არის დასახელებული მიზეზების ერთგვარი ანალიზი და განზოგადება, ანუ ის, რის საშუალებასაც გვაძლევს არგუმენტები;
5. დასკვნა – საბოლოოდ, რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მსჯელობის გათვალისწინებით?

   დასკვნა არის მთლიანი მსჯელობის ერთგვარი შეჯამება.

Don't copy

მსჯელობის აგებისა და წერის ტექნიკის ათვისებაში აზრობრივი ჯაჭვის აგება ამ კომპონენტების დახმარებით (ფაქტი, მოტივი, არგუმენტი, შეჯამება, დასკვნა) ჟურნალისტსაც დაეხმარება ანალიტიკური მედიატექსტის, სტატიასა თუ სიუჟეტის, შექმნისას.
იხ. წყარო https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/tsereteli-analizisa-da-mosazrebis-tsera-reader.pdf.

6. სვოტ–ანალიზი

სვოტ-ანალიზი სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმაა. მას ხშირად მიმართავენ როგორც კომპანიები, ისე ორგანიზაციები თუ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების ერთი ეტაპის გაანალიზება და სხვა ეტაპზე გადასვლა სურთ. პირველ ყოვლისა, უნდა განვმარტოთ მისი აბრევიატურა. SWOT-ის ინიციალები იშიფრება როგორც ძლიერი მხარეები (Strength), სისუსტეები (Weakness), შესაძლებლობები (opportunity), საფრთხეები (threat). ანალიზის ეს მეთოდი სწორედ ამ ოთხ ძირითად კრიტერიუმს ეყრდნობა.

სვოტ-ანალიზისას სიღრმისეულად შეისწავლი საკითხს, ჩამოწერ მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, დაფიქრდები თითოეულის განმაპირობებელ ფაქტორებზე, შესაბამისად, განსაზღვრავ, რისი შეცვლაა აუცილებელი იმისთვის, რომ მომავალში თავიდან აირიდო საფრთხეები, ასევე, გააანალიზებ, თუ რა შესაძლებლობები, პოტენციალი აქვს ამა თუ გადაწყვეტილებას. სვოტ-ანალიზი შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორ პრობლემაზე დაფუძნებული, ქეისზე დაფუძნებული სწავლების დროს, ისე რეალური ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ანალიზისა თუ პირადი ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტისას.

სვოტ-ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, საკითხების კატეგორიზაციას გულისხმობს, ანალიზის პირველი ეტაპი სწორედ კატეგორიზაციამდე ხდება, ხოლო საკითხების დაყოფის შემდეგ ანალიზის მეორე ეტაპზე გადავდივართ. სვოტ-ანალიზი ხელს უწყობს კრიტიკური და კრეატიული აზროვნების განვითარებას.

7. რეფერატი

რა არის რეფერატი?

რეფერატი არის წერილობითი ნაშრომი, რომელიც იწერება რაიმე საკვლევი საკითხის/პრობლემის მიმოხილვისა და ანალიზისათვის. აუცილებელია, რომ მასში განვიხილოთ ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებები და კვლევები, საბოლოოდ კი, გამოვიტანოთ დასკვნა, რომელიც დასაწყისში საკვლევ კითხვაში წამოჭრილ საკითხს უპასუხებს.

Don't copy

სანამ წერას დავიწყებდეთ

- გამოკვეთეთ საკვლევი საკითხი;
- უმჯობესი იქნება, თუ საკვლევ საკითხს კითხვის ფორმით ჩამოაყალიბებთ;
- გაითვალისწინეთ, რომ საკვლევი საკითხი/კითხვა კვლევას, ანალიზს უნდა მოითხოვდეს და საჭიროებზეს.
- ის კითხვა თუ საკითხი, რაზეც პასუხი ისედაც ნათელია, ამ შემთხვევაში არ გამოგადგებათ.

თავფურცელი

თავფურცელი რეფერატის პირველი გვერდია, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას მომხსენებლის ვინაობის, მომხსენებლის ხელმძღვანელის, ორგანიზაციის, მოხსენების სათაურის, დაწერის დროისა და ადგილის შესახებ.

რეფერატის შესავალი

- შესავალ ნაწილში აუცილებლად ნათლად გამოკვეთეთ საკვლევი საკითხი. ისაუბრეთ მისი აქტუალურობის შესახებ, აღნიშნეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პრობლემის ანალიზი და განხილვა. ასევე, აღნიშნეთ თქვენ რატომ შეარჩიეთ ეს საკითხი.
- შესავალ ნაწილში უნდა გამოიკვეთოს ყველა ის საკითხი, რომელსაც განიხილავთ რეფერატში. თუმცა, შესავალ ნაწილშივე არ უნდა დაიწყოთ მათი ანალიზი. შეგიძლიათ მხოლოდ დაასახელოთ ის ავტორები, კვლევები, რომლებსაც დაეყრდნობით მსჯელობისას.

მოხსენების ძირითადი ნაწილი

- ძირითად ნაწილში უნდა განიხილოთ ამ საკითხის გარშემო არსებული თვალსაზრისები. ძირითადი ნაწილის პირველი ნაწილი სწორედ სხვების მოსაზრებებს უნდა დაუთმოთ. სანამ თქვენ დაიწყებდით კვლევას, მანამდე ვინ იკვლევდა ამ საკითხს და რა შეგვიძლია დავასკვნათ.
- კვლევებისა და მოსაზრებების განხილვისა და ანალიზის შემდეგ შეადარეთ ისინი ერთმანეთს და გამოიტანეთ დასკვნები.
- მნიშვნელოვანია, რომ, როდესაც მოიხმობთ ვინმეს მოსაზრებას, აუცილებლად მიუთითოთ მთქმელის ვინაობაც.
- რეფერატის მთავარი ღირებულება კი ისაა, რომ თქვენ თქვენი კვლევით რაღაც სიახლე შესძინოთ ამ პრობლემის ანალიზს. ამიტომ დაფიქრდით, რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისათვის, რომ კვლევამ ახალ ეტაპზე გადაინაცვლოს.

დასკვნითი ნაწილი

- დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ დასვით საკვლევი საკითხი;
- მოკლედ შეაჯამეთ განხილული თვალსაზრისები;
- ნათლად გამოკვეთეთ, თქვენ რა თავალსაზრისი შემატეთ კვლევას.

Don't copy

პლაგიატი

პლაგიატი აკადემიური სივრცის სერიოზული პრობლემაა. თეორიულად ყველამ იცის, რომ პლაგიატი ნებით თუ უნებურად სხვისი იდეების მითვისებაა, რაც თავისთავად არაკეთილსინდისიერი საქციელი და დანაშაულია, მაგრამ მაინც ვაწყდებით პლაგიატის შემთხვევებს.

პლაგიატი სამეცნიერო სფეროში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მათ შორის ძირითადია:

სრული პლაგიატი – სხვისი ნაშრომის სრულად მისაკუთრება;

ფრაგმენტული პლაგიატი – სხვისი ნაშრომიდან ცალკეული ნაწილების გამოყენება წყაროს დასახელების გარეშე;

თარგმანი პლაგიატი – უცხოენოვანი წყაროდან ტექსტის ან ტექსტის ნაწილების გადმოტანა და თარგმნა წყაროს მითითების გარეშე;

სტრუქტურული პლაგიატი – ნაშრომის სტრუქტურის, სარჩევის, თანმიმდევრობის გადმოტანა;

ვიზუალური მასალის პლაგიატი – სურათების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების გამოყენება წყაროს მითითების გარეშე.

ციტატა

ციტატა ლათინური სიტყვაა და საკუთარ ნაშრომში სხვა ადამიანის სიტყვების ან ორიგინალი ტექსტის ზუსტ, სიტყვასიტყვით გამეორებას ნიშნავს. აკადემიური წერის სპეციალისტები ციტატის გამოყენებას რამდენიმე შემთხვევაში გვირჩევენ, მათ შორის, როდესაც

- ციტატა იმდენად ორიგინალურია, რომ შეუძლებელია საკუთარი სიტყვებით ავტორის მოსაზრების მთელი სიზუსტით გადმოტანა;
- ციტატაში ჩადებულია საკვანძო იდეები და კარგ საფუძველს ქმნის მსჯელობის განვითარებისათვის;
- ციტატას არ ეთანხმებით და გსურთ გააბათილოთ მასში გამოხატული აზრი.

აკადემიურ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ციტატის მოყვანის წესების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ციტატა და ციტირება განსხვავებული მნიშვნელობის ტერმინებია და რომ ციტირება (ჩიტატიო) აკადემიურ წყაროს მითითების მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო ციტატა (ᶜუოტატიონ) კი სხვისი ნათქვამის ზუსტად გამეორების მნიშვნელობით.

პარაფრაზი

პარაფრაზი საკუთარ ნაშრომში სხვა ავტორის მოსაზრებების საკუთარი სიტყვებით გადმოცემას ნიშნავს. პარაფრაზირების ტექნიკა კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გადაცემის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ეფექტური საშუალებაა. თუ ციტირების შემთხვევაში ავტორის ფრაზა ზუსტად და უცვლელად გადმოგვაქვს, პარაფრაზის დროს იცვლება აზრის გადმოცემის ფორმა და ავტორის სათქმელი საკუთარი სიტყვებით გადმოიცემა.

პარაფრაზირების ტექნიკის გამოყენებისას ხშირად დაშვებული შეცდომებია:

- **წყაროს მიუთითებლობა** – წყაროს მითითება პარაფრაზირებისას ისეთივე აუცილებელი და მნიშვნელოვანია, როგორც ციტირების შემთხვევაში;

Don't copy

- **ბრჭყალების გამოყენება** – პარაფრაზის შემთხვევაში ბრჭყალების გამოყენება არ არის საჭირო;
- **სიტყვების გადაადგილება** – შეადარეთ პარაფრაზი დედანს, ციტატას ხომ არ ჰგავს (ბრჭყალების გარეშე) ანდა მხოლოდ სიტყვები ხომ არ არის გადანაცვლებული. გაითვალისწინეთ, რომ ორიგინალი ტექსტიდან მხოლოდ მნიშვნელოვანი ტერმინები შეგიძლიათ გადმოიღოთ უცვლელად, შინაარსი კი თქვენი სიტყვებით უნდა გადმოსცეთ.
- **შინაარსის შეცვლა** – დარწმუნდით, რომ პარაფრაზრებისას, უნებურად, ტექსტის შინაარსი/ ფრაზის მნიშვნელობა არ შეცვლილა.

ძირითადი დამხმარე ფრაზები პარაფრაზირების ტექნიკის გამოყენებისას:

- ავტორი აღნიშნავს ...
- ავტორი ადასტურებს ...
- ავტორი ასახელებს ...
- ავტორი აყალიბებს ...
- ავტორის აზრით ...
- ავტორი აცხადებს ...
- ავტორი ყურადღებას ამახვილებს ...
- ავტორი ეთანხმება ...
- ავტორი წარმოაჩენს ...
- ავტორი შენიშნავს ...
- ავტორი იმოწმებს ...
- ავტორს მაგალითად/არგუმენტად მოჰყავს ...
- ავტორის მიხედვით ...
- ავტორის მიზანია ...
- ავტორის არგუმენტები ...
- ავტორისთვის მისაღებია ...
- ავტორი უპირატესობას ანიჭებს ...
- ავტორი ფოკუსირებს ...
- ავტორი მიმოიხილავს ...
- ავტორის თვალსაზრისით ...
- ავტორი განსხვავებულად წარმოაჩენს ...
- ავტორი უპირისპირდება ...
- ავტორი უარყოფს ...
- ავტორი, ერთი მხრივ,... მეორე მხრივ ...
- ავტორი ჩამოთვლის ...
- ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ...
- ავტორი ხაზს უსვამს ...
- ავტორი ფიქრობს ...
- ავტორი იყენებს ...
- ავტორი განმარტავს ...
- ავტორი ეყრდნობა ...

Don't copy

8. სამოქმედო გეგმა

ნებისმიერ პროცესს, პროექტსა და გადაწყვეტილებას სჭირდება სამოქმედო გეგმის შედგენა. მისი მეშვეობით ჩვენ განვსაზღვრავს საბოლოო მიზანს და ვსახავთ იმ ნაბიჯებს, რომლების მეშვეობითაც საბოლოო მიზნამდე მისვლას შევძლებთ. იგი გვეხმარება, გავაანალიზოთ მიზნის მიღწევის რეალისტურობა და მისი მიღწევის ვადები.

რა უნდა გავითვალისწინოთ სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს?

- თავიდანვე განსაზღვრეთ თქვენი მიზნები, შედეგები და ამოცანები;
- განსაზღვრეთ რომელი ამოცანა რომელ შედეგს მიემართება და რა თანმიმდევრობით უნდა შესრულდეს ისინი;
- განსაზღვრეთ, რისი გაკეთებაა საჭირო თითოეული ამოცანის შესრულებისთვის;
- თითოეული ამოცანის შესრულებისთვის რა მცირე ნაბიჯების გადადგმაა საჭირო;
- შეეცადეთ, ჩამოთვლილი ნაბიჯები (ეტაპები) თანმიმდევრულად დააწყოთ;
- თანმიმდებრულად დაწყობის შემდეგ კი დროში გადაანაწილოთ.

სამოქმედო გეგმის შედგენისთვის აუცილებლად დაგჭირდებათ ვიზუალური მასალის გამოყენება. იგი, ერთი მხრივ, თქვენ დაგეხმარებათ გეგმის ორგანიზებაში, მეორე მხრივ კი, სხვები უფრო იოლად აღიქვამენ თქვენს სამოქმედო გეგმას.

9. სარეკლამო პოსტერი

რა არის სარეკლამო პოსტერი და როგორ უნდა შევქმნათ იგი?

პოსტერი, ძირითადად, გამოიყენება კომპანიის, ორგანიზაციის, პროდუქტების ან სერვისების გასაცნობად და პოტენციური მომხმარებლების ინფორმირებისთვის. მისი მიზანია პროდუქტის პოპულარიზაცია.

როგორ შევქმნათ ეფექტური სარეკლამო პოსტერი?

სანამ უშუალო რეკომენდაციებზე გადავიდოდეთ, საუკეთესო რჩევა ის იქნება, რომ თქვენი თავი მომხმარებლის პოზიციაში წარმოიდგინოთ. როგორი ტიპის პოსტერი მიგიზიდავდათ? დაფიქრდით ამაზე, და ჩამოწერეთ მახასიათებლები ან შექმენით პოსტერის ესკიზი.

არსებობს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ბროშურა. ორივე ტიპი ბროშურის შესაქმნელად შეგიძლიათ გამოიყენოთ ონლაინ პლატფორმა ცანვა.ცომ. ამავე პლატფორმაზე ნახავთ თემატურ პოსტერებსაც.

პოსტერზე აუცილებლად უნდა იყოს მოცემული ვიზუალური მასალა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს მცირე, მაგრამ ინფორმაციული. შეეცადეთ, წეროთ მარტივი წინადადებებით, რომ მკითხველს გაუადვილდეს ინფორმაციის აღქმა.

გაითვალისწინეთ, რომ ტექსტი და ვიზუალური მასალა ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს და ავსებდეს. ერთმანეთს შეუსაბამეთ ფერები. შეეცადეთ, რომ არც ძალიან გადატვირთული იყოს და არც ძალიან უხალისო.

გისურვებთ წარმატებებს!

Don't copy